ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

# ილორი

roland.jalagania@mail.ru

№344 (403) 15-22 დეკემბერი 2015 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

## გაზეთ “ილორის” ავტორთა საყურადღებოდ!

ჩვენგან დამოუკიდებელი და გაურკვეველი მიზეზების გამო მოხდა გაზეთის ვებ-გვერდის დაბლოკვა, რის მიზეზადაც საიტის ადმინისტრაცია ასახელებს უნებართვო შეღწევის მცდელობას.

აღნიშნულის გამო შეიცვალა ჩვენი ელექტრო-ფოსტის მისამართი და 2015 წლის 28 ოქტომბრიდან იგი იქნება:

roland.jalagania@mail.ru

გთხოვთ გაითვალისწინოთ აღნიშნული გარემოება

## როლანდ ჯალაღანია: ნაციონალური მოძრაობა არამზადათა ბანდაა

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე თვეებია დარჩენილი და ჩვენ ყოველ თვე შევახსენებთ ქვეყნის მოსახლეობას, თუ ვინ არიან სააკიანცი და მისი ნაცდაშნაკები, რათა მათ არცერთმა ნორმალურმა საქართველოს მოქალაქემ არ მისცეს ხმა!

გვ.2

## იგორ კეკელია: ედუარდ აიჭვალდის სამოგზაურო ჩანაწერებში დაცული ცნობები სამეგრელოს შესახებ

მოგზაურმა იცის, რომ სამეგრელოს უძველესი სახელი კოლხეთია. მოგვიანებით მისი ერთი ნაწილისთვის ლაზეთი უწოდებიათ, რომლის სახელწოდებაც, მოგზაურის აზრით, ალბათ, ლეჩხუმის სახელწოდებაშია საძიებელი... შემდეგ მან სახელად მიიღო ეგერია, როგორც ეს მოსე ხორენელთანაა, და ახლაც მმართველი საკუთარ თავს ეგერიის მბრძანებელს უწოდებს.

გვ.3

## დავით ქობალია: ფსიქიურად გაუწონასწორებელი ინტელექტუალური ხეიბარი — გვარამია — ივანიშვილის ინტერვიუს ეხმაურება

...კიდევ ერთხელ მოგმართავთ, თქვე ნაბიჭვრებო, რომლებიც იმაზე კამათობთ და „წუხხართ“ — „რატომ არ სჯიან იმათ, ვინაც წამების კადრები აჩვენა“ და ერთხელ არ წამოგცდენიათ, ვისი ბრძანებით კეთდებოდა ეს გაუგონარი სისაძაგლე!..

გვ.8



## კონსტანტინე კაპანელი (ქანტურაია)

ქართული ლიტერატურის მშვენიერი პერიოდი — პერიოდი კლასიკური პროზისა და რუსთაველის წყობილსიტყვაობისა — ქართული სოციალური ეპოსის ორკესტრია, მომართული წინა საუკუნეთა კულტურული მიღწევებით, ქართული კულტურისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციის ხანგრძლივი ურთიერთობით.

გვ.7



## კვალი გესლიანი

*პრეზიდენტის ბრძანებულებით*
*მიხეილ სააკაშვილს შეუწყდა*
*საქართველოს მოქალაქეობა*
*აღარ არის მოქალაქე,*
*მაგრამ დარჩა მოლაქლაქე*
*უამრავი ლაქიებით,*
*ბაცნებით და ბაქიებით!*

ალექსანდრე შენგელია

გვ.5



## პავლე ინგოროყვას დაბადებიდან 122 წელი შესრულდა

გვ.4



გვ.8

## ჩვენი სათაყვანებელი ვარძია სომხებმა “ვარძუნიკად” გამოაცხადეს

# ნაციონალური მოძრაობა არამზადა ნაცდაშნაკთა ბანდაა

ძალიან გთხოვთ, ნაცბანდაში შემთხვევით აღმოჩენილო ჩემო თანამემამულენო, გული არ გეტკინოთ ამგვარ მკვეთრ შეფასებაზე, რადგან იგი მხოლოდ იმ ნაცარამზადებს ეხება, რომლებიც დღესაც არ იშლიან თავისას და ვერაგობითა და დაშნაკური მოქმედებებით ცდილობენ ხელისუფლებაში დაბრუნებას, რათა ჩვეული მონდომებით გააგრძელონ ქვეყნის ნგრევა, რაშიც მათ დიდი ფული აქვთ აღებული გაამერიკელებული სომეხი დაშნაკი მილიარდერ კერკ კირკორიანისაგან, რომელმაც ამას წინათ ჩააბარა უფალს თავისი ცოდვილი მონოფიზიტური სული.

მაგრამ ერთი სომხის სიკვდილი არაფერს ნიშნავს, რადგან სულამოტრიალებული დაშნაკის ადგილს სხვა დაშნაკი იჭერს და ყველაფერს აკეთებს ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნის ღირსების დასაკნინებლად, რათა, რაც შეიძლება მალე აღგავონ საქართველო პირისაგან მიწისა და ხორცი შეასხან **"დიდი სომხეთის"** შექმნის მრავალსაუკუნოვან უტოპიურ, დანაშაულებრივ იდეას!

სწორედ ამგვარი ერთ-ერთი პირწავარდნილი დაშნაკი სომეხი გახლავთ მიხეილ სააკაშვილად წოდებული არარაობა – მიშა სააკიანცი.

ამბობენ, ცნობილი ქართველი მეცნიერი გურამ შარაძე სააკიანცის დაკვეთით მოჰკლეს, რადგან მან სკოლიდან ამოიღო საბუთი, რომლის მიხედვით დღევანდელი მიხეილ სააკაშვილი, გარეგინ სააკოვი იყო მეხუთე კლასამდე, სომეხი ეროვნების მოსწავლედ ითვლებოდა და მხოლოდ მეექვსე კლასში გამოუცვალეს მას სახელი, გვარი და ეროვნება და **"ქართველ მიხეილ სააკაშვილად"** მოუვლინეს სამყაროს!

ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია!

ჯერ კიდევ სახელმწიფო სამსახურში მყოფნო ჩემო თანამემამულე ნაციონალებო, გაიხსენეთ, როგორ მოექცა არანაციონალ საჯარო მოსამსახურეებს, კულტურის, მეცნიერების, სხვა დარგებისა და ინტელიგენციის წარმომადგენელ ქართველებს ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ სააკიანცის ბანდა – ყოველგვარი კონსტიტუციური ნორმებისა და ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვით, ერთ დღეში გაყარეს ქუჩაში ღვაწლმოსილი მეცნიერები, კულტურისა და განათლების დარგის მუშაკები, პროკურორები, მოსამართლეები, პოლიციელები და სხვანი და სხვანი.

თქვენ კი ვინმემ შეგაწუხათ ან შეგავიწროვათ? თქვენ ხომ ყველანი თანამდებობებზე დარჩით და ნუთუ არ უნდა გაავლოთ პარალელი ნაციონალურ და დღევანდელ ხელისუფლებას შორის. თქვენც რომ ისე თავხედურად მოგქცეოდათ ოცნების ხელისუფლება, როგორც ადამიანებს ავადსახსენებელი ნაციონალები მოექცნენ, ახლა ხომ ქუჩებში იხეტიალებდით უსაქმოდ და არ იქნებოდით გამოჭიმულები კაბინეტებში ალშვანგის ნოქარებივით...

დიახ, თქვენ გაიმარჯვეთ და არ დაკარგეთ სამსახურები, მაგრამ იმაზე თუ დაფიქრებულხართ, რომ თქვენ კი არ გაიმარჯვეთ, არამედ ქართულმა ოცნებამ გაიმარჯვა საკუთარ განცდებზე და სამაგიერო არ მიგიზღოთ იმ ნაცებს, რომელთაც დაუმსახურებლად დაიკავეთ მაშინ სამსახურებიდან უსამართლოდ გაძევებულთა თანამდებობები და არც დღეს გაწუხებთ არავინ სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით!

ნუთუ, ამის შემდეგ კიდევ გაქვთ იმის სურვილი, რომ ნაციონალებად იწოდებოდეთ?

თქვენი ამგვარი საქციელი ხომ ან დებილობის არც თუ მსუბუქ ფორმას უნდა მივაკუთვნოთ, ან თქვენში ჩაბუდებული დამნაშავის სინდრომის სიმძლავრეზე!

მომიტევეთ ამგვარი სიმკაცრე, მაგრამ თქვენ როგორ მოექცევით ადამიანს, რომელსაც არ სურს გაწყვიტოს კავშირი თავის დანაშაულებრივ წარსულთან?

ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ამ კატეგორიის ადამიანები სწორედაც რომ ჩემს მშობლიურ კუთხეში – სამეგრელოში ჭარბობენ!

ამას წინათ სტუმრად ვიყავი მიწვეული სამეგრელოს ერთ-ერთ რაიონში, სადაც მოსახლეობას შევხვდი. დარბაზში 200 ადამიანი იქნებოდა შეკრებილი. როცა საუბარი დავიწყე ნაციონალების მიერ ჩადენილ ზოგადსაკაცობრიო დანაშაულებზე, ვხედავდი, რომ მსმენელების გარკვეული ნაწილი ფეხაკრეფით მიიპარებოდა აუდიტორიიდან. შევწუხდი, რადგან მეგონა, რომ აუდიტორია ვერ დავაინტერესე, მაგრამ შემდეგ გავარკვიე, რომ დარბაზს თურმე ნაციონალები სტოვებდნენ, რომელთათვისაც ძნელი აღმოჩნდა მათი თანაგუნდელების მიმართ გამოთქმული სამართლიანი კრიტიკა. ყველაზე სამწუხარო კი სწორედ ის გახლდათ, რომ პირველმა აუდიტორია ჩემმა თანამოგვარე ნაციონალმა ქალბატონმა დატოვა. მე ბოდიშს მოვუხდი მას ამგვარი დისკომფორტისათვის, მაგრამ თუ სამართლიანი ვიქნები, უნდა ვუთხრა ამ ქალბატონს – ყოველდღე ასჯერ მაინც უნდა მოუხადოს მან ბოდიში ქართველებს იმ არაადამიანური საქციელისა და სიბოროტის გამო, რაც მისმა თანაგუნდელმა ნაცდაშნაკებმა დაატეხეს თავს საქართველოს. დიახ, ნამდვილად არ მემეტება ჩემი სისხლი და ხორცი ნაცდაშნაკებისათვის.

სამეგრელოს ისიც ეყოფა სირცხვილად, რომ 2003 წლის ნოემბრის ავბედით დღეს სწორედ სამეგრელო შემოუძღვა სააკიანცს თბილისში და სწორედ მეგრელების მხარდაჭერით აიღო ხელში ნაცმოძრაობამ ქვეყნის ხელისუფლების სადავეები. სანაცვლოდ კი რა მივიღეთ?

**– ქუჩებში ჩახოცილი უდანაშაულო ახალგაზრდები;**

**– პატიმრებით გადატენილი ციხე-კოლონიები;**

**– ადამიანების წამება, გაუპატიურება და სხვა ღირსების შემლახველი ქმედებები პოლიციის განყოფილებებსა და ციხეებში;**

**– გაცამტვერებული მეცნიერება და განათლების სისტემა;**

**– საგარეო ვალებით ხელფეხშეკრული და გაძარცვული სახელმწიფო;**

**– ქვეყნის გაპიდარასტებისა და გალესბოსელების ნაციონალური სტიმული;**

**– დარბეული მშვიდობიანი დემონსტრაციები და სახლის სახურავებზე შემოდებული ძალადობის მსხვერპლი ახალგაზრდები;**

**– საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანის რეალური საფრთხე, რათა აღმოსავლეთ საქართველო დარჩენოდათ სომხებს თუ სხვა ჯურის გადამთიელებს;**

**– ქალაქ ლაზიკის მშენებლობა, სადაც უნდა განეთავსებინათ სირიის ქალაქ ალეპოდან დევნილი 30.000 სომეხი ეროვნების ადამიანი;**

**– განადგურებული ეკონომიკა;**

**– დაკნინებული კულტურა;**

**– გაცამტვერებული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა;**

**– დანგრეული სულიერება, დაუნდობელი ბრძოლა მართლმადიდებლობასა და ულამაზეს ქართულ ეროვნულ ტრადიციებთან;**

**– ოპოზიციური მასმედიის ოფისების დარბევა და ტელეარხების "რუსთავი-2"-სა და "იმედის" კანონიერი მფლობელებისათვის წართმევა.**

**– ქართველებისაგან დაცლილი საქართველო;**

**– თურქების შემოსევა აჭარასა და სრულიად საქართველოში;**

**– დროებით დაკარგული ტერიტორიების სამუდამოდ გასხვისება;**

**– ასიათასობით ლტოლვილს დამატებული კიდევ ასი ათასი ლტოლვილი;**

**– კატასტროფული დემოგრაფიული სურათი...**

უსასრულოდ შეიძლება იმ უბედურებათა ჩამოთვლა, რაც თქვენმა თანაგუნდელებმა მოუტანეს საქართველოს 9-წლიანი ძალადობრივი მმართველობისა და განუკითხაობის მანძილზე. დიდად შეურაცხმყოფელი სამეგრელოსათვის კი ის არის, რომ უკანონო იარაღისა და მათი ავკაცობის დამადასტურებელი ვიდეომასალის შესანახად ნაცებმა **"ყველაზე საიმედო ადგილი"** – სამეგრელო ამოირჩიეს!

დიახ, ნაციონალური მოძრაობა პირწავარდნილი სისხლის სამართლის დამნაშავე დაშნაკთა თავყრილობაა, რომელსაც ბრალი ედება ქვეყანაში სისტემური დანაშაულის დამკვიდრებაში და მათ ამისათვის აუცილებლად მოეთხოვებათ პასუხი. სწორედაც არ გვინდა, რომ დაშნაკების გვერდით სასამართლო სკამზე აღმოჩნდნენ ჩემი სათაყვანებელი კუთხის შვილები.

ნუთუ, ამის შემდეგ კიდევ გაქვთ იმის სურვილი, რომ ნაციონალებად იწოდებოდეთ?

გაიხსენეთ, რა თქვა ჩვენს სათაყვანებელ საქართველოზე თქვენს მიერ ერთ დროს ესოდენ მოწონებულმა და გულში ჩახუტებულმა სანდრა რულოვსმა:

**– საქართველო არ არის სააკაშვილის ღირსი! საქართველო საერთოდ არ არის არსებობის ღირსი!**

და ეს თქვა ქვეყნის **"პირველ ლედიდ"** წოდებულმა არარაობამ, რომელიც თურმე ადამიანის ორგანოებით ვაჭრობდა, ამ ორგანოებს კი ციხეებში წამებით მოკლულ პატიმრებს აჭრიდნენ, ქალმა, რომელმაც მილიონები იშოვნა საქართველოში ჰოლანდიიდან ჩამოყვანილი ავტობუსების ბიზნესით, ქალმა, რომელიც დიდად ვერ დაიკვეხნიდა მორალური მრწამსით და არამც თუ თავისი მეორე სამშობლო – საქართველოსადმი, არამედ საკუთარი მეუღლისა და ოჯახისადმი ერთგულებითაც!

მაგრამ, როგორც ლათინები ამბობდნენ: **"ღმერთს ღმრთისა და კეისარს კეისრისა"!**

და საერთოდ არ ვეთანხმები მავანთა მიერ სააკიანცისადმი წაყენებულ ბრალდებას – ნაციონალებმა ქვეყნის საგარეო ვალი 12 მილიარდ დოლარამდე აიყვანეს და ეს ფული მთლიანად სააკიანცმა მოიპარაო.

არა, ბატონებო! სააკიანცს 12 მილიარდი დოლარი არ მოუპარავს. უფრო სწორედ, მან 12 მილიარდი დოლარი მოიპარა, მაგრამ აქედან მხოლოდ 6 მილიარდი დოლარი მიითვისა. დანარჩენი 6 მილიარდი დოლარი კი თავის ევროამერიკელ მფარველებს გაუგზავნა ქრთამის სახით და ახლა სწორედ ამიტომ ძვრებიან ნემსის ყუნწში ევროამერიკელი პედერასტები და ლესბოსელები: **"სააკაშვილი და მისი ნაცები სულით დემოკრატები იყვნენ და მათი გასამართლება და ციხეებში გამწესება არ შეიძლებაო"!**

გაიხსენეთ სააკაშვილისა და მისი ნაციონალების დანაშაულებრივი დამოკიდებულება ხალხის ჯიბიდან ფორმირებული საბიუჯეტო სახსრებისადმი, რომლის მეტი წილი უაზრო მშენებლობებსა და შოუებს ხმარდებოდა, ხოლო სტიქიისაგან დაზარალებული მოსახლეობისათვის კაპიკიც კი არ მოიძებნებოდა ხოლმე რეზერვში. განა ეს არ გახლავთ საკუთარი ხალხისადმი აგდებული და მტრული დამოკიდებულება?

ნუთუ, ამის შემდეგ კიდევ გაქვთ იმის სურვილი, რომ ნაციონალებად იწოდებოდეთ?

არავის ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ 2016 წლის არჩევნებში ნაციონალები სამარცხვინოდ ჩაფლავდებიან და მათ თქვენი მხარდაჭერა ვერ უშველით, რადგან დღეს მათი რეიტინგი ლამის ნულს უტოლდება. მხოლოდ იმის იმედად არიან, რომ ამერიკული ინსტიტუტების ხელშეწყობით ჩაიწერონ ყალბი სარეიტინგო ქულები, მაგრამ დღეს უკვე ამგვარი სიყალბით ვერავის შეიყვან შეცდომაში. ქართველი ხალხი ბრძენია და კარგად არჩევს ერთმანეთისაგან მტერ-მოყვარეს. მე, უბრალოდ, არ მინდა, რომ თქვენ, ჩემო მეგრელებო, პოლიტიკურ სამარეში ჩაჰყვეთ სააკიანცსა და მის ნაცბანდას. მაგრამ, იმაზეც დაფიქრდით, იცით კი, რა დღეში აღმოჩნდებით თქვენ, არჩევნებში კვლავ ნაციონალებმა რომ გაიმარჯვონ? მართალია, ეს არასოდეს მოხდება, მაგრამ მაინც წარმოვიდგინოთ – სააკიანცი და მისი ნაცბანდა ხომ არასოდეს გაპატიებთ თქვენ იმას, რომ **"ქართული ოცნების"** ხელისუფლების სამსახურში დარჩით. მათთვის თქვენ უკვე არასანდო ხალხი ხართ, მათი დაშნაკური პრინციპების მოწინააღმდეგე კოლაბორაციონისტები. სწორედ ამიტომ, მუდამ ეჭვიანობის შიშით ატანილი ნაცბანდა პირველ რიგში თქვენ გაგაბუნძულებთ სამსახურებიდან და ბევრ თქვენგანს ციხეებში მიუჩენს ადგილს!

ნუთუ, ამის შემდეგ კიდევ გაქვთ იმის სურვილი, რომ ნაციონალებად იწოდებოდეთ?

სააკიანცი, ბოკერია, თარგამაძე, ბარამიძე, დარჩიაშვილი, კანდელაკი, გაბაშვილი, ვაშაძე, თაქთაქიშვილი, ბობოხიძე... – მხოლოდ ამ გვარების ჩამოთვლაც კი საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რაოდენ ბოროტი ძალა მართავდა საქართველოს ცხრა წლის განმავლობაში. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ საქართველო ჯერ კიდევ ითვლება მსოფლიოში ერთ-ერთ არშემდგარ სახელმწიფოდ. აბა, რომელ სახელმწიფოებრიობაზე შეიძლება საუბარი იმ ქვეყანაში, სადაც მისი აღმაშენებელი მეფის ძეგლს ქალაქის ცენტრიდან გარეუბანში გაიტანენ, ნაძეგლარზე კი ველოსიპედის უგემოვნოდ აჩორჩხლილ საშინელებას დაამონტაჟებენ. თელავში კი, სადაც ყოველი ადგილი დიდ ერეკლეს უკვდავების მიმანიშნებელია, ლოკოკინის ძეგლს წამოყანთრავენ...

ავადმყოფური წარმოსახვა ჟონავდა და ჟონავს სააკიანცისა და მისი გარემოცვის ყოველი ნააზრევიდან, იქნებოდა ეს ხალხის მიერ **"ზენდუქიძის ოყნად"** წოდებული შადრევანი, კვერცხებზე შემართული **"შლოპანცები"** თუ გმირთა მოედანზე ავბედითად წამომართული ფალოსის ქანდაკება...

ნეტავი სად დაიბადნენ და სად გაიზარდნენ ასეთი მახინჯი სულისა და გონების მქონე არსებები?!

ქართველების სიძულვილით გაბოროტებულმა სააკიანცმა და მისმა თანამზრახველებმა საბოლოოდ ამოუწურეს ქართველ ხალხს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების იმედი, ფარისევლურად პირდებოდნენ რა დევნილებს საკუთარ სახლებში დაბრუნებას, თანაც ავანტიურისტ სააკიანცის მიერ გაჟღერებული ამბიციური დევიზით: **"ჩვენ კი არ მივალთ აფხაზებთან და ოსებთან, არამედ აფხაზები და ოსები მოვლენ ჩვენთან"!** მათმა დამღუპველმა პოლიტიკამ კი იმდენად დათრგუნა და გააღატაკა სრულიად საქართველო, რომ ამ გაუბედურებულ ქვეყანაში აფხაზები და ოსები მოვიდოდნენ კი არა, აბორიგენი მოსახლეობა დიდიან-პატარიანად უკანმოუხედავად გარბოდა საზღვარგარეთ, რათა შიმშილით არ დახოცილიყვნენ ან სააკიანცის პენიტენციალური სისტემის მსხვერპლად არ ქცეულიყვნენ, რისგან თავის დახსნა მხოლოდ მრავალათიათასიანი საპროცესო გარიგებით თუ შეიძლებოდა!

სამართალდამცავები სპეციალურად აწამებდნენ ადამიანებს ციხეებში, რათა შიშის სინდრომი დაეთესათ მოსახლეობაში და შიშისაგან ლამის გონდაკარგული ადამიანები მზად იყვნენ სახლ-კარი გაეყიდათ და საპროცესო შეთანხმება გაეფორმებინათ ხელისუფლებასთან, რათა ციხის წამებას ასცდენოდნენ!

დევნილებს კარგად ახსოვთ, თუ როგორ იყიდებოდა ბაზრობებზე მათთვის გამოგზავნილი კვების პროდუქტები, შემდეგ კი, როცა დევნილთა დასახმარებლად დაიძრა ფულადი ნაკადები, სააკიანცისა და ნაცბანდის მიერ მათი მითვისება ხდებოდა ნაძირალურად გათვლილი სქემებით და ფინანსური დახმარების მეტი წილი ჩინოვნიკთა ჯიბეებში ხვდებოდა, დევნილები კი იმდენ დახმარებას იღებდნენ, რომ შიმშილისაგან არ მოკვდარიყვნენ, რათა დევნილთა ყოფას მასობრივი გენოციდის სახე არ მიეღო.

განა სააკაშვილი და მისი დანაშაულებრივი გარემოცვა მიზანდასახულად არ ახორციელებდნენ ამ მზაკვრულ გეგმას საქართველოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ?

პასუხი თქვენთვის მოგვინდია, ჯერ კიდევ ნაციონალთა ბანდის ხიბლით დაჰიპნოზებულო და გონებადაბინდულო, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო!

არა მგონია, ამის შემდეგ კიდევ შეგრჩეთ იმის სურვილი, რომ ნაციონალებად იწოდებოდეთ! თუმცა, როგორც ამბობენ, ოჯახი არ არსებობს მახინჯის გარეშე და ვეებერთელა სამეგრელოს რომ მახინჯები ჰყავდეს, ამაში გასაკვირი არაფერია. საწყენი მხოლოდ ისაა, რომ სამეგრელოში ჯერ კიდევ დიდია იმ მახინჯების რიცხვი, რომლებიც ჯერ კიდევ სააკიანცისა და მისი ნაცბანდის მზეს იფიცებენ და იმედოვნებენ, რომ ეს დაშნაკური ძალა კვლავ დაბრუნდება ქვეყნის ხელისუფლების სათავეში!

ჩვენ ამ წერილს ყოველ თვეს გამოვაქვეყნებთ ხოლმე ნაციონალების მიერ ჩადენილი ყოველგვარი უმსგავსოების დამატებით და მათი ავკაცობის სრული ლუსტრირებით, რათა ყოველმა პოლიტიკურად არამდგრადმა ქართველმა შეიგნოს, რომ მიხეილ სააკიანცისა და მისი ნაცბანდისნაირი დაუძინებელი მტერი საქართველოს არ ჰყოლია ლამის თავისი არსებობის მანძილზე და მათ ვერაგობასა და სისასტიკეს მხოლოდ ბუღა-თურქის, ჯალალედინის, შაჰ-თამაზისა და აღა მაჰმად-ხანის არანორმალურ სიძულვილს თუ შევუდარებთ მართლმადიდებელი ქრისტიანობის მიმართ.

**როლანდ ჯალაღანია,**
**"აია"-ს და "ფაზისი"-ს აკადემიების წევრი**

# ედუარდ აიჰვალდის სამოგზაურო ჩანაწერებში დაცული ცნობები სამეგრელოს შესახებ

სამეგრელოს პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნოგრაფიული, გეოლოგიური, ფიზიკურ-გეოგრაფიული და სხვა სახის ვრცელი აღწერილობა მოცემულია ცნობილი გერმანელი ბუნებისმეტყველისა და მოგზაურის, მედიცინის დოქტორის, ყაზანის უნივერსიტეტის მეანობისა და ზოოლოგიის პროფესორის, პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის პროფესორ **ედუარდ აიჰვალდის** (1795-1876 წწ.) სამოგზაურო ჩანაწერებში. 1825-1826 წლებში საქართველოში მოგზაურობის შემდეგ მან გამოსცა კაპიტალური ნაშრომი ორ ტომად. სამეგრელოს შესახებ ცნობები თავმოყრილია ძირითადად მისი ნაშრომის II ნაწილის III თავში (**„მოგზაურობა იმერეთსა და სამეგრელოში“**), რაც 1837 წელს გამოქვეყნდა შტუტგარდში. წიგნის ქართული თარგმანის გამოცემა განხორციელდა 2005 წელს, გია გელაშვილის მიერ (ედუარდ აიჰვალდი საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი მესამედი). თბილისი, 2005). დიდ ინტერესს იწვევს დასახლებული პუნქტების, ციხე-სიმაგრეების, ეკლესიების, სავაჭრო გზების, მდინარეების, ხიდების, ფლორის, ფაუნის, სხვადასხვა სახის დაავადებებისა და სხვ., აიჰვალდისეული საფუძვლიანი აღწერა. მოგზაურმა საკუთარი თვალით დანახულ სინამდვილესთან ერთად ჩანაწერებში თავი მოუყარა სხვა პირთა მიერ მოწოდებულ ცნობებს; ასევე გააანალიზა ძველ ბერძენ, რომაელ თუ სომეხ ისტორიკოსთა და გეოგრაფოსთა – არიანეს, პლინიუსის, სტრაბონის, ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს, მოსე ხორენელის, აგრეთვე თავისი წინამორბედი მოგზაურების – ძამპის, შარდენის, გიულდენშტედტის, რაინეგსის, კლაპროტის, გამბას ნაშრომები (გელაშვილი გ., შესავალი აიჰვალდის წიგნისა – ედუარდ აიჰვალდი საქართველოს შესახებ, 11-12). მისი ვრცელი პოლიტიკური ცნობები სამეგრელოს სამთავროს შესახებ ფრიად ფასეულია, რამდენადაც, ყველა ცნობას, იგი, როგორც ლევან მეხუთე დადიანის სტუმარი, პირადად მისგან და ნიკო დადიანისგან იღებდა (გელაშვილი გ., შესავალი აიჰვალდის წიგნისა – ედუარდ აიჰვალდი საქართველოს შესახებ, გვ. 19).

წინამდებარე ნაშრომში ყურადღებას გავამახვილებთ საკითხზე, თუ როგორ აისახა სამეგრელოს ისტორიული წარსული გერმანელი მეცნიერ-მოგზაურის ჩანაწერებში.

აიჰვალდი იცნობს სტრაბონისა და აპიანეს ცნობებს კოლხეთის, ოქროს საწმისისა და **„ფაზისზე მდებარე აიას ტყეში ჩამოკიდული ვერძის ტყავის“** მოსატაცებლად, იაზონის მეთაურობით მოსული არგონავტების შესახებ (ედუარდ აიჰვალდი საქართველოს შესახებ, 163-164). თუმცაო, შენიშნავს მოგზაური, 1821 წელს სამთო საქმის უფროსმა ტფილისში, კარპინსკიმ, ოქროს მარცვლების ვერავითარ კვალს ვერ მიაკვლიაო მთელ გურიასა და მის მოსაზღვრე სამეგრელოს ერთ ნაწილში (იქვე, 164).

აიჰვალდი ჩანაწერებში გვთავაზობს სამეგრელოს აღწერას აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. მოგზაური მიიჩნევდა, რომ **სამეგრელო** ორ დიდ პროვინციად – **ლეჩხუმად** და **ოდიშად** იყოფა: **ოდიში** ცოტა დიდია პირველზე, თუმცა **ლეჩხუმი** უფრო დასახლებულია. ორივე პროვინციას სამეგრელოს სახელის ქვეშ აერთიანებენ. ამიტომ ლეჩხუმს არ უნდა შევხედოთ როგორც ცალკე პროვინციას, თუკი დადიანს სამეგრელოს ბატონს ვუწოდებთ. სამეგრელო პროვინციის ძველი სახელწოდებაა, რადგან ამჟამად მეგრელები მას ოდიშს უწოდებენ. მეგრელები ქართლელთან ან სხვა უცხოელთან საუბრისას თავის თავს ყოველთვის მეგრელს უწოდებენ, რადგან ისინი მათთვის მხოლოდ ამ სახელითაა ცნობილი (იქვე, 184).

ქორონიმი **სამეგრელო** პირველად მოიხსენიება XI საუკუნის I ნახევრის ძეგლში, რაც ცნობილ საეკლესიო მოღვაწესა და მწერალს – ექვთიმე ათონელს ეკუთვნის. იგულისხმება მაქსიმე აღმსარებლის ქართული კიმენური რედაქცია, რაშიც ვკითხულობთ: **„წარგავლინეს სამარადისოსა ექსორიობასა და პყრობილებასა კერძოდ სამეგრელოსა... წარავლინა ექსორიობად სამეგრელოს“** (ბერაძე თ., **„მეგრელი“, „სამეგრელო“, „ოდიში“**. კრ. **„საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“,** თბილისი, 1993, 459). სამეგრელო ბიზანტიური ეპოქის ლაზიკის, მთელი დასავლეთ საქართველოს მნიშვნელობით დასტურდება ნიკიფორე კონსტანტინეპოლელის **„ისტორიის“** ქართულ, 1142 წლით დათარიღებულ რედაქციაში, ხოლო XII ს. I ნახევრით დათარიღებულ **„დავით და კონსტანტინეს ცხოვრებაში“** ქორონიმი **„სამეგრელო“** ვიწრო მნიშვნელობითაა ნახმარი და მეგრელებით დასახლებულ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის ნაწილს აღნიშნავს. მაშასადამე, XI საუკუნეში სამეგრელოში მოიაზრებოდა როგორც მთელი დასავლეთ საქართველოს, ისე საკუთრივ მეგრელებით დასახლებული ტერიტორია (ბერაძე თ, **„მეგრელი“, „სამეგრელო“, „ოდიში“,** 459-460).

სამეგრელო მხარის სახელწოდებაა დასავლეთ საქართველოში. იგი მდებარეობს კოლხეთის დაბლობზე, კავკასიონის ქედის მთისწინა და ნაწილობრივ მთიან ზოლში. მისი ფართობი დაახლოებით 4339,2 კმ$^2$-ს შეადგენს. სამეგრელოს ტერიტორია მოქცეულია შავ ზღვასა და ცხენისწყალს შორის. ჩრდილო-დასავლეთით ძირითადად მდ. ენგური ესაზღვრება; სამხრეთი საზღვარი ძირითადად მდ. რიონზე გადის, ხოლო ჩრდილოეთით ეგრისის ქედამდე ვრცელდება. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით სამეგრელო შვიდ მუნიციპალიტეტს მოიცავს.

მოგზაურმა იცის, რომ სამეგრელოს უძველესი სახელი **კოლხეთია**. მოგვიანებით მისი ერთი ნაწილისთვის **ლაზეთი** უწოდებიათ, რომლის სახელწოდებაც, მოგზაურის აზრით, ალბათ, ლეჩხუმის სახელწოდებაშია საძიებელი... შემდეგ მან სახელად მიიღო **ეგერია,** როგორც ეს მოსე ხორენელთანაა, და ახლაც მმართველი საკუთარ თავს ეგერიის მბრძანებელს უწოდებს. ამის შემდეგ აიჰვალდი მსჯელობს სახელწოდება **„სამეგრელოს“** წარმომავლობაზე და აცხადებს, რომ თურქთა მოგვიანო ხანის ბატონობის პერიოდში ქვეყანამ მიიღო სახელწოდება **მინგრელია**. **მინგ** თურქულად 1000-ს, ხოლო **რეულ** – წყაროს, ნაკადულს ნიშნავს. სანამ ის იბერიაზე (იმერეთზე – ი. კ.) იყო დამოკიდებული, ეწოდებოდა **სადადიანო,** რადგან მაშინ ამ მხარეს მართავდა იბერიის მეფის ერთ-ერთი უმაღლესი მოხელე, მეღვინეთუხუცესი დადიანი. **„ამიტომ მისი პატივი და თვით პროვინცია სადადიანოდ იწოდება. თუმცა ერთხელ სამეგრელოს მეღვინეთუხუცესი იბერიას განუდგა და ამ სამფლობელოს დამოუკიდებელი მმართველი გახდა, მაინც ამ პროვინციის სახელწოდება კვლავ სადადიანო დარჩა და ყველა მთავარი თავის თავს უწოდებს დადიანს, ისე რომ არ არის იბერიის მეღვინეთუხუცესი“** (იქვე).

სამეგრელოს ძველ ისტორიასა და სახელწოდების ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას, აშკარაა, რომ ედუარდ აიჰვალდი წყაროდ იყენებს წინამორბედის, იაკობ რაინეგსის სამოგზაურო ჩანაწერებს, რაშიც სახელწოდება **„სამეგრელოს“** შესახებ ასევე მცდარი ეტიმოლოგიაა წარმოდგენილი. რაინეგსის ცნობითაც ხომ პართელების ენაზე **მინგ-რეულ**, თურმე, **„ათას წყაროს“, „აყვავებულ მიწას“** ნიშნავს (რაინეგსი იაკობ, მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბილისი, 2002).

ქუთაისიდან ხონის გავლით, სამეგრელოს ტერიტორიაზე ედუარდ აიჰვალდი ასახელებს **გორდის ციხეს** და იძლევა რელიეფის დახასიათებას. გორდი ამჟამად სოფელია ხონის მუნიციპალიტეტში, ზ. დ. 560 მ-ზე. ადმინისტრაციული ერთეულში შედის სოფლები: საკუთრივ გორდი, ბანგვეთი, გამოღმა ნოღა და გაღმა ნოღა. სოფელში შემორჩენილია ციხის ორი ნაშთი. პირველი დგას ზედა გორდში, მაღალ, მოშიშვლებულ ბორცვზე. მას **ველის ციხეს** ეძახიან. შემორჩენილია ოთხკუთხა კოშკის პირველი სართულის ნანგრევები, რომლის სიმაღლეც 2 მ-ს აღწევს. კოშკის დიამეტრი 6 მ, ხოლო გარშემოწერილობა 19 მ-ია. კოშკის კედლის სისქე 2,2 მ-ია. შემორჩა ციტადელის, ანუ შიდაციხის ნაშთიც, რომლის სიგრძეც 13 მ-ს, ხოლო განი დაახლ. 8 მ-ს აღწევს (მსჯელობისათვის ვრცლად იხ. ფაილოძე ა., მატიანე ხონისა, 2008, ბათუმი, 94-96). მეორე ციხე დგას ქვედა გორდში, სალაურში, ნოღის ტერიტორიაზე. შემორჩენილია ორი კოშკი. მეორე, დიდი ზომის კოშკის პირველი სართული ყრუა. ამჟამად შემორჩენილია 12-13 მ სიმაღლის ნაშთი. ციხის ზომა 30-20 მ-ია. აქვს ოთხკუთხედის ფორმა და აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენაა წაგრძელებული. სამხრეთის და ჩრდილოეთის კოშკები ზედა ქიმზე შეკრულია მომცრო ზომის ცილინდრული კოშკით, რომლის შემორჩენილი სიმაღლეც დღეს 4 მ-ია. სალი კლდის ქიმზე დაბჯენილი კოშკების კედლების სისქე 2,2 მ-ს აღწევს. გორდის ციხე ხშირად მოიხსენიება ისტორიულ წყაროებში (ფაილოძე ა., მატიანე ხონისა, 100-107). XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის, გეოგრაფის, კარტოგრაფისა და საზოგადო მოღვაწის – ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, **„გორდიდამ ვიდრე კავკასამდე არს ხეობა ლეჩხუმისა, რომელსა უწოდებენ თაკუერად“** (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 750). ვახუშტის რუკებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ გორდის სამხრეთით, ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს მდებარე ტერიტორია ოდიშის შემადგენლობაშია, მარცხენა მხარე კი იმერეთში შედის: **„ხოლო ისულეთიდამ ხაზი ცხენისწყლის კიდისა, ვიდრე გორდამდე, არს დასავლის მხარე ოდიშისა, და აღმოსავლეთის კერძო იმერეთისა“** (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 750).

იაკობ რაინეგსი ჰიპოსის (ცხენისწყლის) მარჯვენა მხარეს ასახელებს სამეგრელოს მთავრის ქალაქსა და რეზიდენციას – **რეცია,** სადაც თურმე ბევრი აბრეშუმი მოჰყავთ (რაინეგსი იაკობ, მოგზაურობა საქართველოში, 121). პუნქტი ამ სახელწოდებით ცხენისწყლის ხეობაში ამჟამად არ დასტურდება, მაგრამ რაინეგსის მიერ წარმოდგენილი გეოგრაფიული აღწერილობის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს სწორედ სოფელი გორდი უნდა იყოს.

მარანსქვემოთ აიჰვალდი მიუთითებს ფონს მდ. ცხენისწყალზე, სადაც შესაძლებელი იყო ამოფუღრული ხით მდინარეზე გასვლა; წყლის დაბალი დონის დროს კი მასში გავლა ცხენითაც მოხერხებულად შეიძლებოდა.

მარანი ამჟამად ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრია აბაშის მუნიციპალიტეტში, ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს, და აბაშას 10 კმ-ით არის დაშორებული. აერთიანებს სამ სოფელს – საკუთრივ მარანს, გუგუნაყათს და მარანჭალას. მარანი მოხსენიებულია სოლომონ II-ის 1803 წლით დათარიღებულ წყალობის წიგნში: **„...წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ შნ სანაძეს გოგიას და შენს ძმას კიკოლას... წყალობა გიყავთ და... ჩნი სახასო მიწა გიბოძეთ ოთხი ქცევა სამოსახლოთ მარანთან ნავენახარი, ოთხი ქცევა დობილო ბრელიძის ფონზედ ჭალაშიდ, სამოცი ქცევა საყანე ჯოლოხინში, ოცდაათი ქცევა საშეშე და საწკნელე არგუანში...“** (კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, ტფილისი, 1921, 142). გამბა აღნიშნავს, რომ აბაშასა და მარანს შორის ოცდაშვიდი ვერსია. მას ჩამოუდის მდ. ცხენისწყალი. ხშირი წვიმების შემდეგ კავკასიის მთებიდან ჩამოტანილი და ალაგ-ალაგ კუნძულებად და რიფებად თავმოყრილი უზარმაზარი ქვების, კენჭებისა და ხეების გამო ცხენისწყალი მარანს ზემოთ გამოუსადეგარია. გამბას მდინარე კაიუკით გადაულახავს და მარანში 24 საათი დარჩენილა, ეგერთა პოლკის აფხაზ პოლკოვნიკთან. პოლკოვნიკის ფერმკრთალი სახე იმის აშკარა მანიშნებელი იყო, რომ იმერეთის ამ სოფლის კლიმატური პირობები ჯანმრთელობისთვის მავნებელია (გამბა ჟაკ ფრანსუა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში. ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბილისი, 1987, 129-130).

მარანს მოიხსენიებს გამოჩენილი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა (1803-1870 წწ.) თავის შთაბეჭდილებათა წიგნში კავკასიის შესახებ. დიუმა დღიურში გვაუწყებს, რომ ახალი მარნის კოლონიას შეადგენენ საჭურისები, რომლებიც მდ. რიონზე ზამთრის განმავლობაში ნავებს ატარებენ, როცა წყლის დაშრობის გამო გემი ველარ მოძრაობს. კოლონიის უფროსი ყოფილა თავადი დიდიძე (დიუმა ალ., კავკასია, მოგზაურობის შთაბეჭდილებანი, ტ. III, თბილისი, 2014, 108).

მარნიდან წასული აიჰვალდი **მეოგალებს** სწვევია, სადაც იეგერთა 22-ე პოლკი ყოფილა დაბანაკებული. უწინ მათი შტაბ-ბინა მარანში ყოფილა, მაგრამ შემდეგ წყალდიდობისგან შედარებით დაცულ მხარეში – მეოგალებში გადაუტანიათ (იქვე, 167, 168). პოლკის მეთაური აფხაზოვი (პოლკოვნიკი თავადი ივანე ნიკოლოზის ძე აფხაზი) აქ ცხოვრობდა უკვე ოთხი წელია, მშვენიერ სახლში. ჯარისკაცთა საცხოვრებელი ხის, ან დაწნული წვრილი ტოტებისგან გაკეთებული პატარა ქოხები განლაგებული ყოფილა ორ მწკრივად, პატარა მდინარის ორივე ნაპირზე. დანარჩენები ვაკეზე გაზნეულ დიდ ყაზარმაში ცხოვრობდნენ. შტაბ-ბინიდან ერთგვარი მოშორებით, გაშლილ მოედანზე, აიჰვალდის ცნობით, დიდი საავადმყოფო მდგარა, რომლის წინაც დარგული იყო უმშვენიერესი ზეთისხილის, დაფნისა და ბროწეულის ხეები (იქვე, 168). სამოგზაურო ჩანაწერების მიხედვით პოლკში 3000 კაცია, რომელთა უმეტესობაც მეოგალების შტაბ-ბინაზე დგას, ხოლო დანარჩენი ასეულები – სუხუმ-კალეში, ანაკლიასა და რედუტ-კალეში. ყველგან არაჯანსაღი ჰავის გამო ყოველწლიურად სიკვდილიანობა 600-800 კაცს შეადგენს. აქ გაბატონებული ყოფილა უმთავრესი ავადმყოფობა ციება, რაც დიდხანს გრძელდება და საბოლოოდ ცხელებაში გადადის და უმეტესად წყალმანკით თავდება. ზაფხულის ცხელ დღეებში ზოგჯერ ხუთი-ექვსი კაცი კვდება, რედუტში უფრო მეტი და მღვდელს დრო არ ჰყოფნის გარდაცვლილთა დასამარხავად. საგუშაგოზე დაღუპულ ჯარისკაცებს გუშაგები გახსნილი სერთუკებით და ზუმბით გარს უვლიან. ლაზარეთში მიყვანილი ახლად დავარდნილი ავადმყოფები ხშირად შემტანის ხელზე კვდებიან (იქვე, 168).

ჯარისკაცები მეოგალებს მეტწილად **ნოვოგალებს** ან ხუმრობით **ნოვაგიბელს**, ე. ი. ახალ სიკვდილს ეძახიან, რადგან მათი შტაბ-ბინა ახლახანს გადმოიტანეს წყალდიდობისგან დაუცველი მარნიდან ამ ტერიტორიაზეო, – აცხადებს მოგზაური (იქვე, 169).

აიჰვალდისეული მეოგალები იგივე **ნაოღაენია**. ასე ეწოდება მდინარეებს – აბაშასა და ინჩხიას შუა მდებარე ვრცელ ტერიტორიას (კეკელია ი., მარტვილის რჩეული გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბილისი, 2008, 46; მისივე, მარტვილის ტოპონიმია (ეტიმოლოგიურ-განმარტებითი ლექსიკონი), თბილისი, 2009, 87). გ. ელიავას ცნობით, ხალხურ მეტყველებაში მარტვილს **ნაოღალევსაც** ეძახდნენ, გვიან კი, მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან დოკუმენტებშიც ასე მოიხსენიება (ელიავა გ., აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბილისი, 1977, 99). მკვლევარი გვთავაზობს ლოკალიზაციასაც: **ნაოღალევი//ნაოღაენი** – ფართო ვაკე, რაც აღმოსავლეთით აბაშის კალაპოტით არის შემოზღუდული, ხოლო აღმოსავლეთით – ინჩხიის ვრცელი ჭალებით. ეს ვაკე ტაბაკელას მთისძირამდე გრძელდება და რაიონის ცენტრისკენ სამკუთხედის წიბოსავითაა მიმართული (ელიავა გ., აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 101). პარალელურ ფორმად დადასტურებულია აგრეთვე **ნოუღაენი, ნოვოღაენი, ნოვოღალევი, ნაოღალენი** (კეკელია ი., მარტვილის ტოპონიმია, 87).

პოლკის შტაბ-ბინა, როგორც ჩანაწერებიდან ირკვევა, პატარა მდინარის ორივე ნაპირზე ორ მწკრივად ყოფილა განლაგებული. აქ უნდა იგულისხმებოდეს მდ. ინჩხია, რაც სოფ. ინჩხურში, ტაბაკონას მთის სამხრეთ ფერდობზე იღებს სათავეს და მარჯვნიდან შეერთვის მდ. აბაშას, ქალაქ მარტვილის ტერიტორიაზე. მდინარის სიგრძე დაახლოებით 5-6 კმ-ია.

შტაბ-ბინიდან რამდენიმე ვერსზე, მთაში, აიჰვალდი მიუთითებს მეოგალების (ნაოღალევის) დიდ ეკლესიას, რომლის ასაშენებლად, მოგზაურის აზრით, გამოუყენებიათ ირგვლივ მდებარე მთებში ძალზე დიდი რაოდენობით არსებული სტალაქტიტები. ზოგი სტალაქტიტი მკლავის სიმსხო და წყრთის სიგრძეც კი ყოფილა.

შტაბ-ბინიდან 3 ვერსის მოშორებით, აბაშის წყალვარდნილთან, მოგზაურისთვის თავად აფახაზოვის ბრძანებით სუფრა გაუშლიათ, სადაც მთელი კორპუსის ოფიცრობა ყოფილა დაპატიჟებული. წყალვარდნილიდან 2 ვერსზე მდინარეზე არსებულ თავთხელზე გასვლა ცხენითაც ყოფილა შესაძლებელი, ხოლო თვით მდინარე, მოგზაურის ცნობით, ამ ადგილიდან 20 ვერსზე, მთებში იღებს სათავეს. **„წყალვარდნილის სიმაღლე სულ ცოტა 15 საჟენია; შემდეგ მდინარე კიდევ მეორე წყალვარდნილს ქმნის, რომელიც არაა ისე ლამაზი და მაღალი. იქ, თავის დინებაში კლდეებისგან ისე ვიწროვდება, რომ ძალით გამოდის მათ შორის და ხან გვერდით, ხანაც შუაში იმ კლდეებზე ხმაურით ვარდება“** (იქვე, 170). როგორც ჩანს, მოგზაური აქ გულისხმობს ჩანჩქერს ინჩხურ-გოჭკადირის საზღვარზე, ოფუცხოეს ჩრდილოეთით.

** იგორ კეკელია,**
**ისტორიის დოქტორი,**
*(გაგრძელება იქნება)*

# ახლახან პავლე ინგოროყვას დაბადებიდან 122 წელი შესრულდა



შესაძლოა, სულ მალე მსოფლიოს ყურადღება საქართველომ პავლე ინგოროყვას მიერ ხეთური იეროგლიფების გაშიფვრის ფაქტის გამო მიიპყროს... ამ საკითხზე მკვლევრისა და მეცნიერის შვილიშვილი, გიო მგელაძე მუშაობს. ინგოროყვას შემოქმედებისა და ისტორიული მნიშვნელობის დამსახურების შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, პავლე ინგოროყვას ორი (მეორე და მეხუთე) ტომის გამომცემელი, დავით გალეგაშვილი საუბრობს, ხოლო ცხოვრებისეულ ეპიზოდებს **გიო მგელაძე** და შვილთაშვილი, ჟურნალისტი **ნინია ახვლედიანი** იხსენებენ...

**დავით გალეგაშვილი:** – ამ მასშტაბის მკვლევარი და მეცნიერი ბევრი არ გვყოლია, მაგრამ მათ შორის ყველაზე მივიწყებული პავლე ინგოროყვა გახლავთ. ეს უდიდესი მეცნიერი, თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება, სამშობლოს ისე ემსახურო, რომ იმპერიას, რეჟიმს ან სხვა ნებისმიერ ბნელ ძალას ძღვენი არ მიართვა. საოცარი მემკვიდრეობა დაგვიტოვა, რომელიც დღეს საქართველოში სანახევროდაც კი არ არის შესწავლილ-შეფასებული და მით უმეტეს, დაფასებული...

**– რთულია ერთ ინტერვიუში პავლე ინგოროყვას მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებ ყველაფერი ითქვას. მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მცირე, თუმცა, მეტად მნიშვნელოვან ნაწილზე ვისაუბროთ...**

– პავლე ინგოროყვა 20 წლისაც არ იყო, როცა აღმოაჩინა, რომ ის ჰიმნოგრაფიული ტექსტები, რასაც ჩვენ პროზად მივიჩნევდით, პოეზია ყოფილა. X საუკუნის საგალობლების ამოცნობა მისი პირველი უდიდესი აღმოჩენა გახლდათ. 40 წლის შემდეგ მან იმავე ტექსტებში წითელი შრიფტით ჩაწერილი სანოტო ნიშნებიც ამოიცნო. მის მიერ გაშიფრული მიქაელ მოდრეკილის კრებულის XI საუკუნის რამდენიმე საგალობელი სახელმწიფო საგუნდო კაპელას შესრულებით, სიონის საკათედრო ტაძარში ჩაიწერა. მეორე დღეს ჩანაწერი პავლე ინგოროყვას გამოსვლის ტექსტთან ერთად, **"იუნესკოში"** გაიგზავნა და 1962 წელს მთელი მსოფლიოს გასაგონად აჟღერდა... მის კიდევ ერთ მიგნებას – **"ძველ ქართულ წარმართულ კალენდარს"** ივანე ჯავახიშვილმა **"უაღრესად საინტერესო გზის გამკვლევი მონოგრაფია"** უწოდა.

**– მკვლევრის ისტორიული შრომებიდან ყველაზე მნიშვნელოვნად "გიორგი მერჩულე" მიიჩნევა. 60-იან წლებში გამოსულ პავლე ინგოროყვას ტომეულების გამოცემისას, "გიორგი მერჩულეს" პოლიტიკური ნაწილი არ დაიბეჭდა...**

– **"გიორგი მერჩულე"** შუქს ჩვენი ისტორიის ყველაზე ნაკლებად შესწავლილ მონაკვეთს – VII-IX საუკუნეებს ჰფენს. უამისოდ როგორ იქნებოდა და, გარკვეულ წრეებში ნაშრომის მიმართ არაჯანსაღი განწყობა გაჩნდა. სამშობლოდან მოწყვეტილმა გრიგოლ რობაქიძემ ჟენევიდან დას, ლიდა რობაქიძეს წერილი გამოუგზავნა: **"...ეს წიგნი დიდი გამარჯვებაა, დიდი. თავისებურება მისი, არაჩვეულებრივი: კითხულობ მას და ხედავ: საქართველო იზრდება, ვითარ ცოცხალი არსი, ვრცელდება თანდათან, მკვიდრდება ნელინელ, დგინდება, მტკიცდება. წიგნი ციხე-სიმაგრედაა აღმართული, ისეთ ციხე-სიმაგრედ, რომელსაც ვერარა შელახავს და ვერარა აიღებს. ამას ესეც უნდა დაერთოს: ამ მძლავრ ხელებში დიდი მადლიცაა".**

ამგვარი შეფასება: **"...გამოკვლევა პავლე ინგოროყვასი "გიორგი მერჩულე" დიდი მარჯია საქართველოსი".** პავლეს ასევე შენახული ჰქონდა ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი სწავლულის, ალექსანდრე მანველიშვილის ნაწერიც: **"აქ ავტორი გვევლინება, როგორც მეცნიერი მხედარი, რომელიც იცავს მამა-პაპათა მიერ სისხლით მორწყულ მიწას. და მათ გაპოხიერებულ ნიადაგზედ შექმნილ ქართულ კულტურას, სიმართლისა და ისტორიული ჭეშმარიტების საფუძველზე..."** ვინ იცის, რამდენ უბედურებას ასცდებოდა საქართველო, ქვეყნის ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს მტკიცედ რომ დაეცვათ ინგოროყვასეული პრინციპები აფხაზეთთან მიმართებაში.

**– რაც შეეხება "რუსთველიანას", ამაზე რას გვეტყვით?**

– ჩემთვის ყველაზე ძვირფასი მაინც **"რუსთველიანაა", "განსაცვიფრებელი "რუსთველიანა",** – როგორც ამას ნოდარ დუმბაძე იტყოდა. თუკი ვინმეს აინტერესებს, ვინ იყო სინამდვილეში მსოფლიო პოეზიის მწვერვალის, **"ვეფხისტყაოსნის"** ავტორი, მან სწორედ ეს ნაშრომი უნდა წაიკითხოს. მასში მოცემულია ინფორმაცია რუსთაველის წარმოშობის, ოჯახის შესახებ; აღწერილია მისი ბრძოლა მონღოლების წინააღმდეგ, მონაწილეობა კოხტასთავის აჯანყებაში; იერუსალიმის მონასტრისადმი მისი დამსახურება და ფილოსოფიური შეხედულებები. ამ მონოგრაფიის გამო, საბჭოთა პოლიტიკურმა და სამეცნიერო ელიტამ პავლე ინგოროყვა მორალურად გაანადგურა. წიგნი დაიბეჭდა, მაგრამ იგი უსაფუძვლოდ იქნა უარყოფილი.

**– ამის მიზეზი რა იყო?**

– მისი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეობა. საბჭოთა პერიოდში, ფილიპე მახარაძის პირველკაცობისას, პავლე ილიას პირველი ათტომეულის გამომცემელი, ჟურნალების დამაარსებელი გახლდათ. ასევე, მან დააარსა ხელნაწერთა განყოფილება სახელმწიფო მუზეუმში, რომლის საფუძველზეც, მოგვიანებით, ხელნაწერთა ინსტიტუტი შეიქმნა. ცნობილია მისი დავა სერგო ორჯონიკიძესთან საქართველოს ტერიტორიების შესანარჩუნებლად. პავლემ და მისმა მეგობრებმა 20-იან წლებში მიხეილ ჯავახიშვილი დახვრეტას გადაარჩინეს, მაგრამ 30-იანებში, სამწუხაროდ, ეს ვეღარ მოახერხეს. სწორედ ამ **"რეაქციონერობის"** გამო გამორიცხეს ის მწერალთა კავშირიდან.

1931 წელს კონსტანტინე გამსახურდია დაიჭირეს. წარმოიდგინეთ, პავლე რუსეთში ჩავიდა და ციხის წინ ქართული ჩოხით დააბიჯებდა... ციხის უფროსმა თქვა: ან ეს კაციც ჩასვით, ან გამსახურდია გაუშვით და კონსტანტინე გაათავისუფლეს. 30-იან წლებში ანუ მაშინ, როცა სტალინი უკვე ძალაუფლების ზენიტში იყო, გადაწყდა, რომ მოსკოვში ქართული კულტურის დღეები ჩატარებულიყო. მაშინდელი მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მიერ მომზადებული ქართული მწერლობის ისტორია სტალინს არ მოეწონა და მისი გადაწერა პავლეს დაევალა. პავლემ ორ ღამეში გადაწერა და გაგზავნა. ორჯერ იყო დაკითხვაზე, სადაც მისი დაკავება-განადგურების საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო, თუმცა, გადარჩა. მართალია, ფიზიკურად არ გაანადგურეს, მაგრამ მუდმივად შევიწროებული იყო. პავლე ინგოროყვამ სიცოცხლის ბოლოს ასე შეაფასა თავისი სამეცნიერო დანატოვარი – **"ქართული ცივილიზაციის ისტორია".** მე ამას დავუმატებდი: ქართველ მეცნიერთაგან პირველმა პავლე ინგოროყვამ შეაღო ის კარიბჭე, რომლის მიღმაც ყველასათვის უცნობი და უხსოვარი საქართველოს წარსული იყო.

**– რა წვლილი აქვს პავლე ინგოროყვას აჭარის ბედის გადაწყვეტაში საქართველოს გასაბჭოების შემდეგ?**

– ბრესტ-ლიტოვსკის ზავით ლენინმა თურქეთს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ტერიტორიების ნაწილი, მათ შორის, ბათუმის ოლქის მიწები დაუთმო. აჭარლებისა და გენერალ მაზნიაშვილის გმირული ბრძოლების შედეგად, თურქები განდევნილ იქნენ ბათუმიდან. მაგრამ თურქეთი ზავის პირობების შესრულებას და შესაბამისად, ართვინისა და არტაანის მსგავსად ბათუმის გადაცემასაც მოითხოვდა. საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის ხელისუფალთა გადაწყვეტილებით შექმნილ კომისიაში გასაბჭოებული საქართველოს მხრიდან ახალგაზრდა მეცნიერი, 24 წლის პავლე ინგოროყვა ჩართეს. მან თურქულ ტექსტში მიაკვლია ცნობას, რომ სასაზღვრო მდინარედ განსაზღვრული თურქულად ჩაწერილი სიტყვა – **"ჩოროქ"** არა ჩოლოქს (როგორც ამას თურქული მხარე ამტკიცებდა), არამედ ჭოროხს ნიშნავდა, რომელიც გაცილებით უფრო სამხრეთით მდებარეობდა. საბოლოოდ, საზღვარმა ამ ცნობის მიხედვით გაიარა. შედეგად კი, აჭარა დღეს საქართველოა...

**ნინია ახვლედიანი,** პავლე ინგოროყვას შვილთაშვილი:

– პავლე დედის მხრიდან ჩემი დიდი ბაბუა იყო. როცა დედაჩემის დედას მამა გარდაეცვალა, მამის ძმამ, პავლემ საკუთარი ძმისშვილები შვილებივით გაზარდა. თვითონ შვილი არ ჰყავდა. მართალია, თავად ამას აპროტესტებდა, მაგრამ ძმისშვილები მამას ეძახდნენ. 2 წლის ვიყავი, როცა პავლე გარდაიცვალა. საოცრებაა და ალბათ დაუჯერებელი, მაგრამ როცა გოგებაშვილის ქუჩაზე, ჩვენს სახლში მივდიოდი, კადრად მახსოვს, როგორ ეჯდა ბებია საწოლთან თეთრწვერა პავლეს და მაწონს აჭმევდა. პავლეს ლურჯი ქუდი ეხურა. დედას მონათხრობიდან ვიცი პავლეს სიყვარულის ამბავი, რამაც ის სულ სხვა ჭრილში დამანახვა ანუ ასეთ დიდ საზოგადო მოღვაწეს, ადამიანს, რომელმაც სამშობლოს და ქართულ ენას შესწირა მთელი ცხოვრება, როგორი სიყვარული შეძლებია ქალის მიმართ. მას ქეთევან ბაქრაძე, არაჩვეულებრივი, ულამაზესი, არისტოკრატიული გარეგნობის, დახვეწილი, ევროპულად მოაზროვნე ქალი უყვარდა. როცა ის ცოლად სხვას გაჰყვა, პავლემ სასოწარკვეთისგან თვითმკვლელობა სცადა: ტყვია გულში ისროლა. რთული წარმოსადგენია, მაგრამ ტყვია გულთან გაჩერდა და პავლე გადარჩა. ის ტყვია კი სიცოცხლის ბოლომდე არ ამოაღებინა სხეულიდან, სიყვარულის ნიშნად დაიტოვა. მოგვიანებით, ქეთო ქმარს გაშორდა და ცოლად პავლეს გაჰყვა. სამაგალითო და ბედნიერი ცოლ-ქმრობა ჰქონდათ სიცოცხლის ბოლომდე. ქეთო არაჩვეულებრივი მთარგმნელი იყო. მან დიკენსის **"დევიდ კოპერფილდი"** თარგმნა, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო თარგმანად მიიჩნევა. ქეთომ ზუსტად იცოდა, ვინ იყო პავლე, ვის გვერდით ცხოვრობდა და საოცრად აფასებდა მას...

**– მკაცრი ხასიათი ჰქონდა?**

– დედასგან ვიცი, რომ უფრო თბილი იყო, ვიდრე – მკაცრი. მუდმივად საქმეში ჩაფლული, მილიონი ფურცლითა და წიგნით გარშემორტყმული... თურმე, გამოვიდოდა თავისი ოთახიდან და იკითხავდა: **"მე დღეს ვჭამე?"** ანუ ჭამა მხოლოდ იმისთვის სჭირდებოდა, რომ არ წაქცეულიყო. ვიცი კიდევ ბაბუას, გუგული მგელაძის მონათხრობი: **"ცეკას"** მდივანი შევარდნაძე უკვე ძალიან მოხუც და სკლეროზით დაავადებულ პავლეს მონახულებას აპირებდა. გუგული იუმორით გვიყვება: შევდიოდი და **"ვავარჯიშებდი", – შევარდნაძე რომ გკითხავს, ხომ არაფერი გნებავთო? უნდა უთხრა, რომ ბინა გვჭირდებაო. ერთხელაც, გუგულიმ პავლეს "გამოცდა" მოუწყო და ვითომ, შევარდნაძე იყო, ოთახში თავად შევიდა. მოიკითხა, გაესაუბრა და გასვლისას მიუბრუნდა: ხომ არაფერი გჭირდებათო?.. პავლემ მიიხედ-მოიხედა თურმე და ჩუმად იკითხა: ჩემი სიძე აქ ხომ არ არისო? მერე კი "შევარდნაძეს" უთხრა: "საქართველოს მიმიხედე, საქართველოს!"** ინტერვიუზე მისულს ერთხელ თამაზ ჩხენკელმა მითხრა, სარფი დღეს ჩვენი რომ არის, ეს პავლეს დამსახურებააო.

– 14 წლამდე პავლესთან ვიზრდებოდი. შეიძლება ითქვას, ასკეტურად ცხოვრობდა. 24 საათიდან 20-ს მუშაობაში ატარებდა. მხოლოდ იმ პერიოდში შეწყვიტა საქმიანობა, როცა მისი მეუღლე ავად გახდა. ლოგინად მყოფი ქეთოს მოვლა პავლემ იკისრა და ის დრო საყვარელ მეუღლესთან ერთად გაატარა. მახსოვს, უყვარდა სიტყვა **"მაშასადამე".** ხშირად მეუბნებოდა: კომუნისტებს არ დაუჯერო, ბაბუ, **"ჟულიკები"** არიანო... ძალიან მძიმე პორტფელით დადიოდა. ავტობუსშიც კი ამოიღებდა ხოლმე თავის ფურცლებს და მუშაობდა ან კითხულობდა... თუ სადმე ვინმეს დალოდება მოუწევდა, დროს არ კარგავდა. ახლაც კი მაოცებს ხოლმე მის წიგნებში გაკეთებული შენიშვნები, ნებისმიერ მეცნიერებაზე ჰქონდა თავისი წარმოდგენა, აკეთებდა ანალიზს... პავლე ნებისმიერი მთავრობისგან დევნილი იყო. რეპრესიების პერიოდში ოთხი წელი ქეთოსთან ერთად, მეუღლის სოფელში გაატარა. ალბათ არც უნდოდათ მისი ფიზიკური განადგურება, თორემ ბუნებრივია, იქ მისი მიგნება არ გაუჭირდებოდათ... ერთ ამბავს გავიხსენებ, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე: მესამე კლასში ვიქნებოდი. კარზე ზარი დარეკეს. გავაღე და ზღურბლთან ძალიან მაღალი სასულიერო პირი დავინახე. პავლე იკითხა. ოთახში შევუძღვი. პავლე იწვა. ეს ადამიანი მეუფე აღმოჩნდა. პავლეს ოთახში შესულმა საწოლთან დაიჩოქა და ბაბუას ბიბლია გადასცა. უთხრა, რომ პატრიარქისგან ჰქონდა ასეთი კურთხევა. ეს ძალიან ემოციური სურათი გახლდათ...

**– პარადოქსია, მაგრამ პავლე ინგოროყვა ისე გარდაიცვალა, აკადემიკოსის ხარისხი არ ჰქონდა...**

– ვისაც პავლეს პიროვნებასა და ცხოვრებაზე წარმოდგენა აქვს, იცის, რომ ეს ფაქტი მისი პერსონისთვის, მისი ცხოვრების მრწამსისა და წესისთვის ორგანულია. პავლეს საკანდიდატოც არ ჰქონდა დაცული. სახლში გვაქვს 40-იანი წლების 4 აკადემიკოსის წარდგინება. კონსტანტინე გამსახურდიამ, გალაკტიონმა და გოგლა ლეონიძემ წარადგინეს აკადემიკოსად, მაგრამ ბოლშევიკებმა არ მიიღეს ეს წინადადება. იზა ორჯონიკიძემ ლიტერატურის მუზეუმში პავლეს 85 წლის იუბილე გამართა. მიუხედავად იმისა, რომ იუბილე არაფორმალურად ჩატარდა, მეორე დღეს იზა თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მე ვესწრებოდი ამ იუბილეს, სადაც იმ ეპოქის მნიშვნელოვანი მოღვაწეები საოცარ ამბებს იხსენებდნენ, აღიარებდნენ პავლეს გენიალურობას. მაშინვე გამიჩნდა კითხვა საკუთარ თავთან: ასეთ გენიოსად თუ აღიარებდნენ, რატომ არავინ მოსულა მასთან სახლში, არ უკითხავს როგორ იყო, რაზე მუშაობდა?! უკვე შეუძლოდ გახლდათ, ამ საღამოს არ დასწრებია და ყველაფერი მე ვუამბე. იუბილეზე კაკო ბაქრაძე გამოვიდა წინადადებით, – პავლესთვის აკადემიკოსობის მინიჭების მოთხოვნით აკადემიასთან ტრანსფარანტებით მისულიყვნენ. მაშინ რეზო თვარაძემ თქვა: ვეთანხმები კაკოს, მაგრამ დღევანდელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემია არის კი ღირსი პავლე ინგოროყვა მისი წევრი იყოსო?! შეთანხმდნენ, რომ – არა. კარგიც არის, რომ აკადემიკოსი არ გახდა. მისი ნებისმიერი, ერთი პატარა მონოგრაფიაც კი სადოქტორო დისერტაციაა. რეგალიებს, სტატუსებს არ ჰქონდა მისთვის მნიშვნელობა. ჰოდა, იმას, რასაც არ სცნობდა, არც ფლობს...

**– სიცოცხლის ბოლომდე ახერხებდა მუშაობას?**

– ბოლო 5 წელი ავად იყო, ვერ მუშაობდა. გონება ხშირად ღალატობდა, მაგრამ მე ყოველთვის მცნობდა... ეჭვი მაქვს, რომ მას უბრალოდ, უფროსებთან ურთიერთობა მობეზრდა და **"ვერცნობას"** მხოლოდ იმიზეზებდა. ერთი თვალით საერთოდ ვერ ხედავდა, მეორეთი – ძალიან ცუდად. ერთხელ, მის ოთახში შევედი, შუქი ავანთე. საწოლში მჯდომს წინ გადაშლილი წიგნი ედო, – ვკითხულობო. მჯერა, მართლა კითხულობდა, მხოლოდ – არა თვალებით... მგონია, რომ მეტაფიზიკური კონტაქტი ჰქონდა – ხან იოანე ზოსიმესთან, ხან რუსთაველთან, ხან გიორგი მერჩულესთან ურთიერთობდა... 14 წლის ვიყავი, როცა გარდაიცვალა. მისი დაკრძალვის დღეს ასევე, თვითმფრინავის გატაცებისას გარდაცვლილ აეროპორტის თანამშრომლებს კრძალავდნენ. უმაღლეს სასწავლებლებს ავტობუსები მიაყენეს და იძულებით წაიყვანეს სტუდენტები მათ დაკრძალვაზე მხოლოდ იმ მიზნით, რომ პავლეს დაკრძალვას არ დასწრებოდნენ. ნეშტი მწერალთა კავშირიდან გამოასვენეს. დისიდენტი მწერლები ითხოვდნენ, რომ მთაწმინდაზე დაეკრძალათ. ბოლშევიკი მწერლები კი ამბობდნენ, – დიდუბეში უნდა დაიკრძალოსო. ბოლოს, დისიდენტებმა მოილაპარაკეს: ფეხით გამოვასვენებთ და მთაწმინდის ასახვევს რომ მივუახლოვდებით, გავთხრით საფლავს და დავასაფლავებთო. თავს უფლება მივეცი და მე, პატარა ბიჭი ჩავერიე: მართალია, მთაწმინდა ეკუთვნის, მაგრამ ფორმა მიუღებელია! სათამაშო ხომ არ არის, ასე ატარონ-მეთქი?! დიდუბის ეკლესიაში, ბოლოს და ბოლოს, თამარ მეფეს აქვს ჯვარი დაწერილი. ასე რომ, მწერალთა კავშირიდან პავლე ფეხით მიასვენეს დიდუბის ეკლესიამდე. პანთეონის კარიბჭესთან, სასახლეს მამაკაცები გამოეცალნენ და ქალები შეუდგნენ; მანამდე ასეთი ფაქტი ნიკოლოზ ბარათაშვილის გადმოსვენებისას მოხდა.

**– ბოლო დროს რაზე მუშაობდა?**

– ხეთურ იეროგლიფებზე. როგორც იცით, მან საგალობლების 60% გაშიფრა. ეს იყო მსოფლიო მოვლენა. ვფიქრობ, მხოლოდ მეცნიერული ლოგიკით ამის ახსნა წარმოუდგენელია. მგონია, რომ მას გარკვეული **"მეტაფიზიკური გასაღები"** მიეცა არამატერიალური სამყაროდან... პავლე თავად ამბობდა, რომ ხეთური იეროგლიფები ანუ კაცობრიობის მიერ დღემდე წაუკითხავი ტექსტები ამოხსნა. ამ საკითხებზე ვმუშაობთ. როცა საბოლოოდ დამტკიცდება, ეს იქნება უმნიშვნელოვანესი საჩუქარი კაცობრიობისთვის.

**შორენა ლაბაძე**

# ძლიერი საზოგადოება ძლიერი სახელმწიფოს საფუძველია

**„ვერასოდეს გადაწყვეტ პრობლემას, თუ ისე იფიქრებ, ვინც ეს პრობლემა შექმნა"**

**აინშტაინი**

რომელი იქნება ის დიდებული ქართველი, დღეს არსებული პოლიტიკური მორევიდან მშვიდობიანად რომ გამოიყვანს საქართველოს?! ეს არის ჩვენი ანი და ჰოე, ყველა ქართველის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი საფიქრალი, რაზეც ალბათ ურთიერთგანსხვავებული პასუხი იმდენივე იქნება რამდენი ქართველიც ცხოვრობს ცისქვეშეთში.

განგების ნებით და გონიერი მწყემსის წინამძღოლობით ჩვენმა ხალხმა 2012 წლის 1 ოქტომბერს მოიგო ბრძოლა რომელმაც წერტილი დაუსვა ერის ფიზიკური განადგურების მცდელობას და ნაცვლად ქართული სახელმწიფოს გაქრობისა, ქვეყანა ცხოვრების მომდევნო ეტაპზე, აღორძინებისა და აღმშენებლობის ეტაპზე გაიყვანა.

ჟამთა მდინარება ჩვენი მართლმადიდებელი ქვეყნის წინაშე ახალ-ახალ პრობლემებს ქმნის, ხოლო საკუთარი ინტერესების ყოველგვარი უზნეო მეთოდებით აღმსრულებელი, გლობალიზმისა და ახალი წესრიგის მესვეურთა ყოვლისშემძლე მსახვრალი ხელი მძიმედ აწვება ჩვენისთანა მცირე ერს, გარეშე და შინა მტრებით გარშემორტყმულს.

ქართველი ხალხის ისტორიის ათასწლეულები იმის ნათელი მაჩვენებელია, რომ ქვეყანას მცირე გამონაკლისის გარდა ორი-სამი წელი თუ ჰქონია მშვიდობიანი. დამპყრობთა უღელქვეშ საუკუნეები გაუტარებია, მაგრამ სამშობლოს სიყვარული, სახელმწიფოებრივი აზროვნება, ეროვნული ღირებულებები და ღირსება არასდროს დაუკარგავს.

ქართველი მამულიშვილების პატრიოტული აღზრდის, აზროვნების და განათლების შედეგია ყველაფერი რაც დღეს საამაყო გაგვაჩნია, დაწყებული ქართული ანბანით, ქართული პროზით, პოეზიით, რკინის და ოქროს დნობის ტექნოლოგიით, ქვევრის ღვინის დაყენების წესით, ქართული პოლიფონიური სიმღერით და ცეკვით, ვარძიის, გელათის, სვეტიცხოვლის ძეგლებით და ა. შ., რითაც საფუძველი ჩავუყარეთ და შემდგომშიც ფასდაუდებელი წვლილი შევიტანეთ ევროპის და მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში.

ცივილიზაცია არის პროგრესი ადამიანის გონების სრულყოფის, ბუნების კანონზომიერების შემეცნების და ბუნების ძალების ხალხის სამსახურში ჩაყენების გზაზე, რომლის მიღწევისა და გადარჩენის საქმეში ქართველთა წინაპრების როლი დაუფასებელია. მაპატიოს მკითხველმა თუ ადრე გამოქვეყნებული წერილებიდან მომიწევს აზრის გამეორება. ქართველები ერთმანეთს ღმერთებად მოვიხსენიებთ, (გაზ. **"ილორი"** 25.06-2.07 2013 წ. **"სამშობლო ზრუნვის მთავარი ობიექტი"**), ღმერთი და რომელმან – წარმოადგენენ სინონიმებს. რომელი ხარ შენ? – ვეკითხებით ერთმანეთს და ამით ვეუბნებით – ღმერთი ხარ შენ! ამდენად, წინაპრებიდან დიდი აზრი და ნდობა გვაქვს ნაანდერძევი, ღმერთს ღვთისმშობლის წილხვედრილი ქვეყნის თანამმართველად გაუხდია ქართველი ადამიანი. შესძლებს კი ადამის შთამომავალი კაცი თანამედროვე ეტაპზე სახელის შესაბამისი ღირსებით ამ მისიის შესრულებას რასაც სამშობლოს მსახურება ჰქვია?! ჩვენ არ გვაქვს უფლება დავაკნინოთ ეროვნული მენტალიტეტი რომელიც გახლავთ არა მხოლოდ აზროვნება, არამედ ლიბო, საფუძველი აზროვნებისა. ნუთუ ვთმობთ პოზიციებს და ქართველი კაცი ხდება **"ადამიანი რომელიც არ შედგა?"** (დომატისი).

წინაპართაგან ნაანდერძევი ვალდებულების იგნორირებამ გვაჩუქა **"309 სირცხვილი"** (ლ. სანიკიძე), რომელსაც ბოლო ათწლეულებში სხვაც მრავალი მივუმატეთ, დაწყებული თბილისის სამოქალაქო ომით, საყდრისის აფეთქებდით, სტალინის ძეგლების განადგურებით და არდამთავრებული ღვაწლმოსილი ადამიანებისადმი გამოჩენილი უმადურობით, მათზე ღვარძლის ნთხევით. უნებურად გვახსენდება ჩვენი სასიქადულო პოეტის რ. ამაშუკელის სიტყვები: რატომ სძულთ ასე ერთმანეთი ქართველებს?

მასებს უჭირთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე აზროვნების ლაბირინთებში გარკვევა. ნაპოლეონს თუ დავუჯერებთ, – **"მასის ჭკუა არ აღემატება ვირის ჭკუას"**, რომლის დამადასტურებელი ფაქტები, თუნდაც ბოლო ათწლეულების სქართველოში მრავლად მოიპოვება, ხოლო თუ ადამიანების გარკვეულ გაერთიანებას, ერს, ქვეყანას გამარჯვებისთვის მიუღწევია, მხოლოდ გონიერი ლიდერის წინამძღოლობით. ისტორია ამტკიცებს, რომ **"ქვეყნის გადასარჩენად საკმარისია ერთი დიდი ადამიანი"** (ვოლტერი), რაც სამყაროს კანონზომიერებაა. ამ კანონზომიერების და განგების ნებით იშვა ღვთისმშობლის წილხვედრილ ქვეყანაში ფარნავაზი, გიორგი ბრწყინვალე, ვახტანგ გორგასალი, დავითი, თამარი, გიორგი სააკაძე, ერეკლე, ილია, სტალინი..... თავიანთი ინდივიდუალური მონაცემებით, საქმეებით, რომელთა ღვაწლი მათი სიცოცხლის პერიოდში სათანადოდ არასდროს დაფასებულა, განსაკუთრებით ქართველთა მხრიდან. თითოეულ ადამიანს თავისი საყარო, თავისი გადასახედი გააჩნია, მაგრამ თუ ლიდერმა შეძლო აზრებში და სურვილებში მათი გაერთიანება, სასწაულის მოხდენა ძალუძთ.

ოქტომბრის გამარჯვება დიდი ადამიანის შემოქმედების ნაყოფია თავგანწირულ ქართველ მამულიშვილებთან და ჩვენს **"სტრატეგიულ"** პარტნიორებთან ერთად, სხვა შემთხვევაში ვერც საქართველო გადაურჩებოდა განადგურებას და ამერიკაც ბოლომდე დაკარგავდა დემოკრატის იმიჯს საქართველოში (თუმცა ამერიკა ამაზე არც ფიქრობს), რომლის დაცემა **"ნაციონალების"** მხრიდან კვლავ ენერგიულად მიმდინარეობს. საქართველოს პოლიტიკურმა რეალობამ, განსაკუთრებით **"რუსთავი-2"**-ის და საგარეჯოს რ-ში შუალედური არჩევნების დროს განვითარებულმა მოვლენებმა საბოლოოდ მოახდინა ალენ დალესის სულიერი ნაშიერების ლუსტრაცია, რამაც **"ნაცების"** და მათი სატელიტების მხრიდან მომავლის შიშის გამო იმდენად გაზარდა 1 ოქტომბრის გამარჯვების სულისჩამდგმელის ბ. ივანიშვილის დისკრედიტაციის აუცილებლობა, რომ შ. ნათელაშვილიც ველარ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, ამდენად ბოლო თვეებში არა მარტო ჟურნალისტები, პოლიტოლოგები, ექსპერტები და ა. შ. არამედ ტელემაუწყებელი **"ობიექტივის"** ზოგიერთი წამყვანიც და თვით ეროვნული ხელისუფლებიდან მომავალი განათლებული და წიგნიერი წარმომადგენელიც ჩაერთო **"ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარის"** სახით, რამაც ნაციონალების მიერ დადებული უზნეობის და თავხედობის თამასა მნიშვნელოვნად ასწია. ჩანს, ვერ ვაცნობიერებთ, რომ წიგნიერება და მაღალპროფესონალიზმი ნებისმიერ სფეროში სახელმწიფოს მართვის ცოდნის და უნარის აუცილებელი გარანტია არ არის, მითუმეტეს თუ აზროვნების ერთ რომელიმე დონეზე შექმნილ პრობლემას უფრო ამაღლებული, პროგრესული აზროვნებით არ განვიხილავთ.

რა კანონზომიერებაა, რა მადლია ბუნებისა როცა გარკვეული მისიის შესასრულებლად იბადება ადამიანი და ხელს უწყობს განგების ნების აღსრულების პირობების შექმნას. ზემოხსენებულ ქართველ ისტორიულ პირთა დამსახურებაა საქართველოს დღევანდელი არსებობა, საფუძველი მათი შორსმჭვრეტელი აზროვნება და ყოველწუთიერი საქმიანობაა. ალბათ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ქვეყნის დღევანდელ მართვაში გიორგი ბრწყინვალეს და სტალინის აზროვნების სტილი შეინიშნება. ამიტომ არ გაგვიკირდეს თუ პოლიტიკური უდაბნოდან საქართველომ გააღწიოს 30 წელიწადში და არა 40 წელიწადში, როგორც ებრაელმა ხალხმა.

რომ არა ბ. ივანიშვილის გონივრული შემოსვლა ქართულ პოლიტიკაში, რომ არა მაღალი გააზრებით შექმნილი კოალიცია და ზედმიწევნით ზუსტად გათვლილი წინასაარჩევნო კამპანია, საქველმოქმედო საქმიანობის აფიშირებით, წინასაარჩევნო დაპირებებით და კოაბიტაციით რასაც თან დაერთო ი. ინაშვლის, დ. თარხან-მოურავის და ვ. ბედუკაძის თავგანწირული საქმიანობა, შეიძლება მიგვეღო ისეთივე სურათი, **"დინების საწინააღმდეგოდ"** წასულ საქართველოს რომ დამართეს 90-იან წლებში, მეორე ბაზალეთის მოწყობით, რაც საქართველოს აღგვიდა მიწისაგან პირისა. ამის გააზრება არ არის ძნელი თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ხელისუფლების სტრუქტურებში არსებულ მეხუთე კოლონის ფართო ქსელს, ხოლო საზღვარგარეთ ლიბიის, სირიის, იუგოსლავიის, უკრაინის და სხვათა მაგალითს, მოწყობილს **"ნაციონალების"** პატრონების მიერ.

**"ამერიკასთან მტრობა სახიფათოა, ხოლო აშშ-სთან მეგობრობა სასიკვდილოდ სახიფათო"** (კისინჯერი). ვფიქრობ, ძნელი არ უნდა იყოს მაღალი რანგის ამერიკელი პოლიტიკოსის აღიარების მნიშვნელობის გააზრება. ამერიკელთა მიერ შექმნილი მეხუთე კოლონის და მათი ფლაგმანის – **"ნაცების"** დამსახურებაა როგორც ქართველთა გენოციდის მოწყობა, ისე ყველა პროვოკაცია და საბოტაჟი, რაც საქართველოს წინააღმდეგ დღესაც ხორციელდება. სააკაშვილი და მისი გუნდის წევრები, მხარდამჭერებთან ერთად, დღესაც ყველაფერს აკეთებენ, რათა ქვეყანა დიდ გაჭირვებაში ჩააგდონ, გამოიწვიონ მასების უკმაყოფილება მთავრობის მიმართ, რაც მათ საშუალებას მისცემთ თავისი პარტნიორების, ამერიკელების მეშვეობით კვლავ ხელისუფლებაში მოვიდნენ. თუმცა აშკარაა, ისინი **„რესპებმა"** ჩაანაცვლეს.

ბოლო ათწლეულებში ამერიკა თავის მხარდამჭერებთან ერთად მსოფლიოს წარუდგა როგორც უზნეო მხდალი ქუჩის ბიჭი, რომელიც თავისი უგუნურობის გამო იარაღის ძალით ცდილობს სხვათა დამორჩილებას და არც ორმაგი სტანდარტით ცხოვრება უტოკებთ შუბლის ძარღვს. ამერიკამ შემოიტანა ყოველივე, რაც რყვნის და სპობს ერს ფიზიკურად და სულიერად. ამერიკის ხელით ხდება სიძველეების განადგურება, როგორც საქართველოში ისე სხვა ქვეყნებში, ისტორიული წარსულის მოსპობის მიზნით. ამერიკა ებრძვის სტალინსა და მის ხსოვნას, რათა შური იძიოს გასული საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთში მასონური ძალების განადგურებისთვის და ინგლისთან ერთად მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება თვითონ მიიწეროს. ამერიკა თავისი ელჩის სახით საქართველოში და მათი სატელიტები პოლონეთიდან, ბალტიისპირეთიდან, იმდენად თავხედები და ღირსებადაკარგულები არიან, თავიაანთი ვალდებულებებიდან გამომდინარე, რომ გორში სტალინის ძეგლის დადგმის უფლებას არ აძლევენ ადგილობრივ ხელისუფლებას, ერევიან მათივე მხრიდან აღიარებული სუვერენული ქვეყნის საშინაო საქმეებში, ხოლო საზოგადოება იმდენად სუსტი და გათითოკაცებულია, თავისი სამართლიანი სიტყვის თქმის და დაცვის უნარი არ გააჩნია.

სამყაროს კანონზომიერებიდან გამომდინარე, როდესაც ადამიანი აცნობიერებს, რომ **"ბედს უნდა უსმინო, რაც გიწერია ის ზეცაშია დაგეგმილი"** (ნაპოლეონი), კაცობრიობის განვითარების პროცესში შეიძლება ცხოვრებისეული მოვლენების მაშტაბების და მნიშვნელობის გათვალისწინებით, ლიდერის მისიით მოევლინოს პიროვნება, რომელიც ნიჭითა და საქმინობით მიმდინარე პროცესებს არეგულირებს, ანუ, იგი წინასწარ არის ჩართული გარკვეული შედეგების მიღების თანაავტორად. დასტურად ნოსტრადამუსის, კეისის, მესინგის და ვანგას წინასწარმეტყველებებიც იკმარებდა. პატარა ქრისტიანულმა საქართველომ მუსულმანურ სახელმწიფოთა გარემოცვაში მყოფმა, კრიტიკულ პერიოდში გონიერი და შორსმჭვრეტელი მეფის ნება-სურვილით მიიღო ერთად-ერთი სწორი გადაწყვეტილება და თავისი მომავალი ერთმორწმუნე რუსეთს დაუკავშირა, რამაც ერი ფიზიკური განადგურებისგან იხსნა. საქართველოს შემდეგი, ურთულესი პერიოდი ჰქონდა მე-20 საუკუნის დასაწყისში. რომ არა სტალინი და მის მიერ შექმნილი მსოფლიოს ერთ მეექვსედზე უდიდესი ე. წ. საბჭოთა იმპერია, სადაც იძულებით გააერთიანეს პატარა საქართველოც, რა შედეგის მომტანი იქნებოდა გერმანული ფაშიზმი მსოფლიოსთვის და თვით საქართველოსთვის. ნიურბერგის პროცესზე გაცხადდა. რომ არა სოციალიზმისა და ფაშიზმის დაპირისპირება, მოხდებოდა კი მეცნიერების, ტექნიკის და ა.შ. განვითარება იმ ტემპებით და მასშტაბებით როგორც მოხდა, ან მიაღწევდა საქართველო იმ წარმატებებს რაც მას საბჭოთა პერიოდის ბოლო წლებში ჰქონდა?

**ქართუ არაგველი,**
**ავთანდილ ციხისთავი;**

*(დასასრული შემდეგ ნომერში)*

## პოეზიის კუთხე

სათრეველა ვაიპოლიტიკოსებზე

### კოზაკი

*აქლემები წაიკიდნენ და, ვაი,*
*კოზაკის ბრალიო!*

**აღმოსავლური სიბრძნე**

რუსეთი რომ უტევს თურქეთს,
ამერიკა თურქს ჯარს უქებს
და რუსს ურქენს, მიტომ ურქენს,
ამით ფერებს გაამუქებს.
თან კარგად რომ გაიბლატოს,
დავალებებს მისცემს „ნატოს".
უბარბალებს დანას პირი,
მაგრამ ჩვენთვის დანაპირი
არც „ნატო" ჩანს, არც ნაპირი.
განმკითხავიც არ ჩანს ჯერა
და მე მათი აღარ მჯერა,
რომ წაიგდეს აქ ენები...
ღმერთო, აღარ გათენდება?
ხსნის გზა ვნახოთ ქართველებმა;
ტლინკაობენ აქლემები!

### კვალი გესლიანი

*პრეზიდენტის ბრძანებულებით მიხეილ სააკაშვილს შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა*

აღარ არის მოქალაქე,
მაგრამ დარჩა მოლაქლაქე
უამრავი ლაქიებით,
ბაცნებით და ბაქიებით!

**ალექსანდრე შენგელია**

### მუგემძგნანგ თე შხვაშა

მუგემძგნანგ თეშხვაშა,
შხვა მიდმაიღანს იროშუშო,
მუსხი ვორეთ გგნათქვაშანჷ
ვადგმაგურეს სადღამუშოთ.
ერჩქინა შეჩქინიჭარა
ღულათინგთნა ხაზარე
ბრელი მარგალ, მეტიჩარა
ამდღა გური აფხაზარე.
ამარდეშა ვაგმაგინეს
სოუჩირთით ნდურიასგ,
სვენავარენჷ, სხვაშქანიშა
გლახათ მიშაიტურუანს.
აკვანთხითგრა გვიშორო,
აკიმჭალით მელე-მოლე,
უჩა ღართამი ქვერსე მინტერი
აკორთასგო ცადგხოლო.
ანწი ვარა გევონჯათ
თოლჷ უჩათგ გეწკურილი.
წორო აკოპკათუათგ
ჩქინი წკონდა ბჟეწყურგილი.
ვარა, ქოიჩქგ, მუმელგნი,
ართმაჟირა შინჩხალუასგ,
ხომაფა კარს მერინელი
მივოტენთგ ფალუასგ.
ვეგეგონე ჩქინჷო ზესგ
ჸიაფი დო ლალუასგ,
უკული მისგ ეკვოდვანთგ
ჸათე დიხა შჷნწალუასგ?
ჩქინჷრინაში წუწელჷბჟასგ
შხვაშჷ კვეთჷქგ დანაწუანსგ,
ძუძუს დამითხინუანა
ართჷკქდგრ შენაწუასგ.
მუგემძგნა,ნგტე,შხვაშა,
შხვა მიდაიღან სირომუშო,
მუსხ ივორეთგ გგნათქვაშანჷ,
ქიფრჩქინათგ სადღამუშოთ.

### ვაჯუნუქუ

თქვა ვაზოჯგნთ თი ქგლორი, –
მა ჭოფუა მუმდომენი,
ყვარჷას მუჭო მურჩქილუა
მაფშალია ონდო რენი.
გურჷ ზოჯითო? გურიშჷ გურსუ
ინოწკანტ შხვა წუწელი.
შურსუ მუჭო გუვორგუა
ვარჷ ძგგრი, ვარჷ ჭუჭელი.
მოკოს რენო მიზოჯგნთგნი,
გგნოხიში დგნაჩინას:
„ტატალს ჯუნა ქოხვადგ და
ჭუჭელს ოკო მიკოჯინა?!"
ქო, პატგნი, ქგმოძირით,
სინთელეშა ჸვერეთჷ ურქუ,
ჩამინჷ ვაუჩქგდასგნი
ჭუჭელს ხოლო ვაჯუნუქუ.

**კოტე ნაჭყებია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეგრული (იბერიული) ენის ფენომენი

## სამეტყველო ბგერების წარმოშობა და ებრაული ასონიშნების შექმნის საფუძვლები

*„ბგერების წარმოშობის გადაჭრას შეუძლია გადამწყვეტი სიტყვა თქვას, საერთოდ, მეტყველების წარმოშობის საკითხში, რამეთუ არაფერი არსებობს ისეთი საერთო რამ ყველა ენისათვის, როგორც ფიზიკურ-ბიოლოგიური ბგერის გამოყენება სამეტყველო მასალად“.*

**აკად. გიორგი ახვლედიანი**

ნეგატიური შედეგის აღკვეთა აუცილებელია, მაგრამ საბოლოოდ მაინც არაა გამოსავალი, რადგან, სანამ ყველა უბედურების გამომწვევი უმთავრესი მიზეზი არ აღმოფხვრილა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის ისევ გამოიწვევს ახალ უბედურებას.

ჩვენი აზრით, გააფთრებულ ანტიეროვნულ საქმიანობას იმიტომ ეწევიან, რომ მათ არ იციან რამდენად მეტი ენით აუწერელი სიკეთის მოცემა შეუძლია არამარტო ქართველი ერისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის იბერიული ფესვების გახსენება-აღდგენა-გათავისებას, ვიდრე იბერიული ენის როლის დაკნინებითა და მოკვდინებით ჰგონიათ მიიღებენ.

ჩვენი აღმოჩენები, ალბათ, ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც იბერიულ ენას შემოუნახავს და დღეს ნაცარმიყრილია.

ამიტომ, ქართველო ერო, ნუ დაუშვებ იბერიული ენის მოკვდინებას მანამდე მაინც, სანამ ქართველი ერის ეროვნულობის განმსაზღვრელი უზენაესისგან ნაჩუქარი იბერიული ენის მონაცემები სალიტერატურო ქართულში არ აღდგენილა!

კონკრეტულად რა შეიძლება მოგვცეს უკვე დავიწყებული ღვთიური საჩუქრის ჩვენს ცნობიერებაში აღდგენამ და ჭეშმარიტების აღიარებამ?

სანამ ამ კითხვას პასუხს გავცემდეთ, გავეცნოთ – რაა ის ღვთიური საჩუქარი, რომელიც ესოდენ ძვირფასია ეროვნული ენერგიის მოსაკრებლად.

ორფეხა ველური ცხოველი მოაზროვნე არსებად – ადამიანად იქცა მას შემდეგ, რაც მან შეძლო ბუნებაში არსებული ფიზიკურ-ბიოლოგიური ბგერების აღქმა-განმეორება და მათი არსის გააზრება. ბუნებაში არსებულ საგნებს და მოვლენებს ორფეხა ველური ცხოველი მათ მიერ გაღებულ ბგერებზე ხმაბაძვით არქმევდა სახელებს. ეს ბიბლიაშიც დადასტურებულია. ე.ი. უზენაესი შემოქმედი (ფიზიკურ რეალობაში – უსასრულო სამყარო, ადამიანის გონებრივი შემეცნების არეალში – ბუნება) კარნახობდა ორფეხა ველურ ცხოველს სამეტყველო ბგერებსა და სამეტყველო ბგერათა ჰარმონიულ კომპლექსებს. მაგრამ, სარწმუნოა, სიცოცხლე თავიდან ისეთ პირობებსა და არეალში ისახებოდა, სადაც შესაძლებელი იყო თავი მოეყარა მრავალ სხვადასხვა ბგერათა (ხმიანობათა) გამღებ საგნებსა და მოვლენებს. ბგერათა მრავალხმიანობა კი ვლინდებოდა ბუნების მრავალფეროვნებაში. დედამიწის სხვადასხვა ტერიტორიაზე ბუნების მრავალფეროვნებაც განსხვავებული იყო. ალბათ, ამიტომაა, რომ სხვადასხვა ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა ერებს სამეტყველო ბგერათა რაოდენობა განსხვავებული აქვთ. მაგრამ დედამიწაზე მცხოვრებ სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს ძირითადი სამეტყველო ბგერები ერთნაირი აქვთ და ყველა ისინი მიღებულია (წარმოშობილია) ბუნების საგანთა და მოვლენების მიერ გაღებულ ბგერებზე ხმაბაძვით.

საინტერესოა, რომ, მიუხედავად იმისა, ირაციონალური , ბგერა დღეს ბევრი ერის ენაში გამოყენებული არ არის, ვერცერთი ერის წარმომადგენელი ვერ წარმოთქვამს ცალკე აღებულ თანხმოვან ბგერას მის გარეშე. ამიტომ მეგრულ (იბერიულ) ენაში ყველა თანხმოვან ბგერას, ცალკე აღებულს, აქვს სრული სიტყვის მნიშვნელობა და ბევრ მათგანს რამდენიმე ომონიმიც გააჩნია. ამდენად, ყველა ისინი **ბგერა-სიტყვებად** წარმოგვიდგებიან.

მთელი საოცრება, სწორედ, ისაა, რომ მეგრულ (იბერიულ) ენაში არსებულ ოცდაათივე თანხმოვან ბგერა-სიტყვაში (და მათ ომონიმებში) ასახულია ყველა ის თვისება, რომელმაც ორფეხა ველური ცხოველი ადამიანად აქცია და ამ თვისებათა რაციონალურ გამოყენებაში ადამიანის განღმრთობის შესაძლებლობა დევს.

ალფავიტური მიმდევრობით განვიხილოთ მეგრულ (იბერიულ) ენაში არსებული ბგერა-სიტყვების შესაძლო წარმოშობის და მათში ასახული მნიშვნელობების მიღების საფუძვლები. მაგრამ, უნდა აღვნიშნოთ, რომ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ბგერა-სიტყვებში ასახული ყველა მნიშვნელობის მიღების საფუძვლები არა გვაქვს მოძიებული. ეს მომავალი თაობის მკვლევართა უწმინდესი ვალია. მანამდე კი მოკლედ გავაანალიზოთ რის საფუძველზეა შექმნილი ებრაული ასონიშნები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძირითადი სამეტყველო ბგერები ყველა ერისა და ენისათვის საერთოა და ერთია, ხოლო დამწერლობა (ანბანური ასო-ნიშნები) 250-ზე მეტია. ამასთან, ცნობილია, რომ ებრაულ და ნებისმიერ სხვა ენაში, გარდა მეგრული (იბერიული) ენისა, არ არსებობს თითო თანხმოვნით გამოხატული სიტყვები. არადა, თუ გავეცნობით პროფ. მიხაილ ლაიტმანის **„ზოარში“** განხილული საბა ამნონას ასონიშნებს, დავინახავთ, რომ **ებრაული ასონიშნები, „გასართობი უზენაესი შემოქმედისათვის“, მატარებელია იმ თვისებებისა, რომლებიც ასახულია ებრაული ასონიშნების შესაბამის მეგრულ (იბერიულ) ბგერა-სიტყვებში.** მაგრამ ასონიშნები წარმოადგენენ ბგერების აღმნიშვნელ, ადამიანის მიერ შექმნილ გრაფიკულ გამოსახულებებს და როგორ მოხდა, რომ იბერიულ ენაზე ამა თუ იმ ბგერა-სიტყვაში ასახული თვისებები აისახა იმავე ბგერის აღნიშვნელ ებრაულ ასონიშანში, როცა, გარდა იბერიული ენისა, ვერცერთ სხვა ენაში დედამიწაზე თითო თანხმოვნით გამოხატული სრული მნიშვნელობის სიტყვები არ არსებობენ?

ღმერთო დიდებულო! სად არის შენგან ბოძებული ჩვენი უპირველესი სიბრძნის წყარო – **ეფუთი**? რატომ დაეძებდა **„II მსოფლიო ომის”** დროს, ვითომ **„ლილების გამყიდველი” არონ ურია**, სოფელ-სოფელ, სამეგრელოში ამ წიგნთა წიგნს და, აღმოჩენის შემთხვევაში, მის მფლობელს ზღაპრულად გამდიდრებას რატომ სთავაზობდა? ხომ არ ჩაწვდნენ ძვ.წ.აღ.-ით მე-6 საუკუნიდან იბერიაში მცხოვრები ებრაელი ბრძენები ჩვენს ენაში არსებულ ამ ღვთიურ საუნჯეს და იბერიულ ბგერა-სიტყვებში ასახული ღვთიური და ადამიანური თვისებების შესაბამისად და გათვალისწინებით, ხომ არ გამოიგონეს პირობითი ნიშნები, რომ შეექმნათ თავიანთი ასონიშნები, რომლებსაც მოგვიანებით **„წმინდა ასონიშნები”**, ებრაულ ენას **„წმინდა ენა”**, ხოლო ებრაელ ერს კი **„ღვთის რჩეული ერი”** უწოდეს?

ძალზე გაბედული და, თითქოსდა, სახიფათო კითხვებია, მაგრამ ამით ქართველ და ებრაელ ერებს შორის ისტორიულად არსებულ მეგობრობაში ბზარის გაჩენა კი არ მსურს, არამედ, პირიქით მინდა ხაზი გავუსვა იმ ჭეშმარიტებას, რომ ნებისმიერი ჭკუათმყოფელი ერი ზემოხსენებულ, ღვთითბოძებულ საუნჯეს ეფექტურად გამოიყენებდა, როცა მას თვითონ მფლობელი უგულებელყოფს და ივიწყებს. მათ, ებრაელმა ძმებმა უდიდესი ღვთიური საქმე გაგვიკეთეს, როცა თავიანთ ასონიშნებს მიანიჭეს ის თვისებები, რომლებიც ასახული იყო იბერიულ ბგერა-სიტყვებში და ამით შემოგვინახეს ის უსაზღვრო მნიშვნელობის ღვთიური ფესვები, რომლებიც მივიწყებას იყო მიცემული იბერთა დაცემის შემდეგ. რომ არა საბა ამნონას ასონიშნები, ვინ იცის როდის მიხვდებოდა, ან საერთოდ, მიხვდებოდა კი იბერთა მემკვიდრეები, უკვე მივიწყებული, უზენაესთან დამაკავშირებელი რა სიბრძნე იდო ამ ღვთით ნაკარნახევ ბგერა-სიტყვებში და რა შეუდარებელი მნიშვნელობა ჰქონდა მათ სამყაროს და უზენაესი ნათელის შესაცნობად. იბერიული ენის მიერ შემონახული ბგერა-სიტყვებით შესაძლებელია იბერთა და ებერთა (ებრაელთა) სულიერი ნათესაობა და სიახლოვე აღმოაჩინო, რადგან ზოგი ებრაული სიტყვების ეტიმოლოგია, რომელთა დადგენა ებრაული ენით ვერ ხერხდება, იბერიული ენითაა შესაძლებელი. მაგალითად, ებრაულმა სიტყვებმა **ემეტ** (სიმართლე), **მევეტ** (სიკვდილი), **პდუტ** (განთავისუფლება), რის საფუძველზე მიიღეს აღნიშნული მნიშვნელობანი, შესაძლებელია მეგრული (იბერიული) ენით დადგინდეს, როცა თვით ივრითზე ეს შეუძლებელია.

არქაულ ხანაში, ანუ ბაბილონის გოდოლის დანგრევამდე, როცა **„ერთპირი იყო მთელი ქვეყანა, ერთ ენაზე მეტყველი”**, ეს სიტყვები ჩაიწერებოდა (გამოითქმებოდა) ფორმით **[ქ]**, **მ**, **ტ**, , **მ**, **ვ**, **ტ**, და **პ**, **დ**, **ტ**, , სადაც **ქ**, //**ქე** კი-ს ნიშნავს, **მ**, – **მე**-ს, **ტ**, – **ტოვა**-ს და **შვა**-საც, **ვ**, – ვაებას, წუხილს, **პ**, – **მყო** (მქმნა)-ს, **დ**, , კიდევ, **დო**-ს. ე.ი. **ქ**, **მ**, **ტ**, (→ქემეტ→ემეტ) ნიშნავს **კი მემ ტოვა**, ანუ თუ თვალსაჩინოდაა დატოვებული რაიმეს კვალი, იმ არეალში რაიმე რეალობის არსებობა საეჭვო არ არის, **სიმართლეა**.

**მ**, **ვ**, **ტ**, (→მევეტ) – **მემ ვაება (წუხილი) ტოვა,** ანუ მოკვდა, რადგან, ცხადია, ღირსეული ადამიანის, ანუ **მეს სიკვდილი** ვაებისა და წუხილის დამტოვებელია.

**პ**, **დ**, **ტ**, (→პდუტ) – **მყო და მშვა,** ანუ [ღმერთმა] **მყო** (მქმნა) **და** [დედამ] **მშვა**, ანუ **გამანთავისუფლა** მუცელში დამწყვდეული ტყვეობისაგან. შობა ხომ **განთავისუფლებაა,** გინდ ეს იყოს ახალი სიცოცხლის შობა, გინდ ახალი აზრისა.

არც ის არის საიდუმლო, რომ ბრძენი ებრაელი ერი, თავისი გამორჩეული სიბრძნის გამო, პირველობას არავის უთმობს და ამას არც ისინი მალავენ, ანუ ეგოიზმის მწვერვალზე იმყოფებიან, მაგრამ იგივე სიბრძნითა და ჭეშმარიტების სიღრმეებში წვდომის წყალობით, ვფიქრობთ, უფრო ღრმად შეიცნობენ ღვთიურ (ბუნებრივ) კანონზომიერებებს და ამ კანონზომიერებებთან ჰარმონიული თანაცხოვრების აუცილებლობას, რომ განხორციელდეს უზენაესი შემოქმედის მიზანი: **„...შეექმნა კაცი ხატად თვისად“.**

ყველა დამწერლობაში, ანბანთ მწკრივში, პირველ ნომრად ზის ასონიშანი **ა**. საბა ამნონას მიხედვით ასო-ბგერა **ა** წარმოადგენს სხვა ბგერის თანმხლებ ბგერას და მას (სხვა ბგერას, ალბათ, ერთობლიობაში **ა** ბგერასთან) აკისრია ყველა სხვა ასონიშანთა თვისებების მართვა. მეგრულ (იბერიულ) ენაში კი **ა** ბგერა მოიაზრება როგორც **მა** (ქართულად, მე), ანუ, ზოგან ა ბგერა გაიგივებულია **მა (მე)**-სთან. მაგალითად, მეგრულში იტყვიან: **„აშო ქომუჩი“** (აქეთ მომეცი). ე.ი. იბერიული **აშო**-ს შესატყვისია ქართული **აქეთ**, მაგრამ იბერიულში გვაქვს ქართული **აქეთ**-ს უფრო ზუსტი შესატყვისი **ათაურე**. **აქეთ (ათაურე)**, შეიძლება იყოს ჩემს მხარეს, მაგრამ ჩემგან მარჯვნივ, ან მარცხნივ, ხოლო **ა-შო**, პირდაპირ მიუთითებს ჩემი **მე**-სთვის და ეს ჟესტითაც (თითების მკერდის ცენტრში მიდებითი) ნათლად ჩანს. ე.ი. სიტყვა **ა-შო**, იგივე **მა-შო**, ზედმიწევნითი თარგმანით ნიშნავს **ა**-სთვის ანუ მა (მე)-სთვის.

ცხადია, უზენაესმა შემოქმედმა სამყაროს გვირგვინს – ადამიანს დააკისრა დედამიწაზე ყველაფრის, ყველა თვისებების და ყველა ძალების მართვა, ხოლო საბა ამნონას მიხედვით, საწყის ასონიშანს **ა**-ს ღმერთმა შემოქმედმა დააკისრა ყველა სხვა ასონიშნებში ასახული თვისებების მართვა. როგორც საბა ამნონას ასონიშნებში ვკითხულობთ, „ასოები სხვა არაფერია, თუ არადა სურვილები, თვისებები, აზრები, რომლებიც, როგორც ფიქრობენ მიდიან შემოქმედთან, რომ შეაღწიონ სულიერში, თხოვონ მას მათში ასახული თვისებებით შექმნას სამყარო, მაგრამ ადამიანის **მე**-ში დასაბამიდან ბატონობს ორი რადიკალურად ურთიერთ საწინააღმდეგო რეალობა: ღვთიური საწყისისა და თვისების მქონე სიკეთით სავსე **შინაგანი მე** და ფიზიკური სხეულისთვის დამახასიათებელი ამბიციური და **ეგოისტური მე**. ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო რეალობა მუდმივ ბრძოლაშია ერთმანეთთან და ადამიანი ღვთისკენ აღმავალ ძნელად სავალ გზაზე, ძალზე ტლანქად, მაგრამ მაინც მიიწევს წინ და ვითარდება.

ამდენად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 30 იბერიულ თანხმოვან ბგერა-სიტყვაში ასახულ თვისებათა რაციონალური მართვა ანვითარებს ადამიანს და, ალბათ, ამიტომ დასვა ანბანთ რიგში ე.წ. ქართული ასომთავრულის შემქმნელმა ბრძენმა ასონიშანი **ა** პირველ ნომრად, რამეთუ ასო-ბგერა **ა** სამყაროს გვირგვინის გამომხატველი სიტყვის **მა** ნაწილია.

როგორ წარმოიშვა და რა თვისებებია ასახული იბერიულ ბგერა-სიტყვებში?

სანამ ამ კითხვას პასუხს გავცემდეთ, აუცილებელია შევნიშნოთ, რომ ვერცერთი ერის წარმომადგენელი ვერ შეძლებს წარმოთქვას რომელიმე თანხმოვანი ბგერა ირაციონალური (მამანტი ძაძამიას მიხედვით ნახევარხმოვანი) , ბგერის თანხლების გარეშე, მაგრამ ბევრი ერის წარმომადგენელი ამას, ალბათ, ვერ გრძნობს და ამიტომაც არა აქვთ მეტყველებაში. მეგრულში (იბერიულში) კი , ბგერას მსაზღვრელის, ზღვარმდების ფუნქცია აკისრია და თანხმოვნებს თანმხლები, მათ (თანხმოვნებს) წარმოგვიდგენს ბგერა – სიტყვებად. ამ ბგერა-სიტყვებიდან არიან წარმოშობილი სამეტყველო ბგერები (ფონემები).

1. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუ მკვრივ ბაწარს სწრაფად გავქაჩავთ, გავიგონებთ ბგერათა კომპლექსს **ბ**, ,, ან კიდევ, კარგად გაჭიმულ ბაწარს შევაშფოთებთ, გავიგონებთ იგივე ბგერათა კომპლექსს **ბ**, , , , ,. ე.ი. ნამდვილი ბმის განხორციელებისას, ან შეშფოთებისას გვესმის ბგერათა კომპლექსი **ბ**, , ,. სწორედ ამ რეალობის დროს გაღებულ ბგერათა კომპლექსზე ხმაბაძვით ეწოდა ორ წერტილს, თუ საგანს შორის **ბმას, კავშირს** ბ, .

ბგერა-სიტყვა **ბ**, (აბია, ბმულია, ზოგადად, ბმა, კავშირი) ფიგურირებს წინადადებებში: **გუდა ჯას მუკო-ბ**, (გუდა ხეზე ჰკიდია); **ჩიტიქ მახეს კუჩხით ქიმკი-ბ**, (ჩიტი მახეზე ფეხით ჩამო-ეკიდა); ან კიდევ, პირდაპირ, **ჩხოუ ბოსელც ბ**, (ძროხა ბოსელში აბია). როგორც ვხედავთ, სამივე წინადადებაში განხორციელებულია **ბმა, კავშირი** (კიდია, ეკიდა, აბია).

ბგერა-სიტყვაში **ბ**, სამყაროსეული მნიშვნელობის არსი დევს, რადგან ადამიანისა და სამყაროს შექმნისა და არსებობის საფუძველია ბმა, კავშირი. რომ არ ყოფილიყო ბმა (კავშირი), არ იქნებოდა მარადიული მოძრაობა, სამყაროსეული წესრიგი და სიცოცხლე, ადამიანი; რადგან არ იქნებოდა მოაზროვნე არსება – ადამიანი, სამყაროსა და შემოქმედის არსებობის შემმეცნებელი არავინ იქნებოდა და, თუნდაც, რომ არსებულიყო სამყარო, სამყაროსა და შემოქმედის არსებობას, ადამიანის არსებობის გარეშე, არავითარი აზრი არ ექნებოდა, რამეთუ არავის ეცოდინებოდა მის არსებობაზე. და კიდევ, თუნდაც, ყველაფერი რომ ყოფილიყო, ადამიანის ბუნებასთან კავშირისა და მისი არსის შემეცნების გარეშე, იგი ველურ ცხოველად დარჩებოდა. ე.ი. მთელი ეს უსასრულო სამყარო აგებულია **ბმის (ურთიერთკავშირის)** საფუძველზე. სამყაროში არსებული მარადიული მოძრაობა და სიცოცხლე დაბალანსებულია პლანეტებისა და გალაქტიკების სპირალურ გზაზე მოძრაობისას წარმოშობილი ცენტრიდანული ძალებითა და მათ შორს მიზიდულობის ძალებით. სწორედ, პლანეტებისა და გალაქტიკების მარადიული მოძრაობითა და ურთიერთკავშირით არსებობს ეს უკიდეგანო სამყარო და **ეს ჭეშმარიტება ფიზიკურ-ბიოლოგიურ რეალობაში გამოიხატება ბგერა-სიტყვით ბ**, .

2. **გ**, **გ**, **-გ**, **გ**, **-გ**, **გ**, ... გვესმის ფრინველის ხმა, რაზეც ხმაბაძვით ამ ფრინველს **გუგული** (←გუგულე←გუგურე←გ, გ, რე←გ, გ, +რე) ჰქვია; გ, -გ, -გ, ... და ა.შ. ბგერათა კომპლექსს გამოსცემს მეორე ფრინველი, როცა ნესტიან-ჭაობიან ტყეში ჭიას დაეძებს. ამიტომაც ჰქვია მას **გ**, (ქართულად, ტყის ქათამი); **გ**, **გ**, **-გ**, **გ**, **-გ**, **გ**, **-...** და ა.შ. გვესმის ადამიანისა და სხვა ფილტვებიანი ცხოველების გულისცემის ხმა. ამიტომაც ჰქვია ამ ორგანოს **გული** (←გულე←გურე←გ, რე←გ, +რე); გ, -გ, -გ, ... და ა.შ. პერიოდულად გავიგონებთ ბგერათა კომპლექსს ყორე ქვით, ან აგურით კედლის ამოგებისას, ამ მასალათა დუღაბზე დაგების მომენტში, ამიტომ ჰქვია ამ პროცესს (ქმედებას) **გ**, (გო).

ბგერა-სიტყვა **გ**, ფიგურირებს წინადადებებში: **გიორგიქ მეზობელც „უდე აუ-გ**, (გიორგიმ მეზობელს სახლი აუ-გო); **კათაქ ღირსეული გერგეზებც მარდი გინა-გ**, (ხალხმა ღირსეულ გმირებს მადლი მიაგო); **დავით მაფაქ, ღორონთი დო კოჩიში წოხოლე, ადამიანური ვალი ღირსეულო გინი-გ**, (დავით მეფემ, ღვთისა და კაცის წინაშე, ადამიანური ვალი ღირსეულად გადა-იხადა); **გოჩაქ საქმე მი-გ**, (გოჩამ საქმე მო-იგო); **ვასოქ გაუაზრებელო დოჭყაფელი საქმე წა-გ**, (ვასომ გაუაზრებლად დაწყებული საქმე წა-აგო); **ხვიჩაქ არდება ვემითვინ დო გოჩას ხე ქიმიო-გ**, (ხვიჩამ [აბუჩად] აგდება ვერ მოითმინა და გოჩას ხელი გა-არტყა).

**კუკური ფიფია,**
**“აია”-ს და “ფაზისი”-ს აკადემიების წევრი**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# კონსტანტინე კაპანელი (ჭანტურაია)



## სიყვარული რუსთაველის გაგებით

ქართული იდეოლოგია მრავალ მიზეზთა შედეგია. სიყვარული და ექსტაზი, რომელსაც ქადაგებს რუსთაველი, საქართველოს გრძელი ისტორიის პულსაციას გამოსახავს. რუსთაველის მიჯნურობა იდეალური ფორმაა ბრძოლის სოციალური ფსიქოლოგიისა, რომელიც ვითარდებოდა წარსულში ქართული კულტურის ისტორიული დეტერმინაციით; მიჯნურობის იდეა ისეთივე ექსპრესიაა ქართული სოციალური განცდისა, როგორც ბარათაშვილის თავგანწირული მერანი. მიჯნურობა განსაკუთრებით იმით განსხვავდება სიძვისაგან, რომ სიძვა ბილწი და მრუშია. სიძვა უგულო სიყვარულია და **"ხვევნა-კოცნა, მტლაშა-მტლუში"**. **"მძულს უგულო სიყვარული"** – ამბობს რუსთაველი. უგულო სიყვარული, რუსთაველის წარმოდგენაში, ნიშნავს უექსტაზო სიყვარულს – სიყვარულს, რომელიც ადამიანში არ იწვევს გატაცებასა და ერთგვარ სიგიჟეს. რუსთაველი წინააღმდეგია იმისა, რომ ადამიანს **"დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა"**, სიყვარული ყოველთვის სავსე უნდა იყოს ექსტაზის გრძნობით; სიყვარულის ობიექტი ხშირად არ უნდა იცვლებოდეს. ეს ორი დებულება სიყვარულის ფსიქოლოგიისა შორეულ ტრფიალებას მოითხოვს: **"შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა"** (27) – აი, მიჯნურობის რეალური არსი.

## "ვეფხისტყაოსნის" ფაბულა

ქართულ ლიტერატურაში დღემდე ჩვენ გვაქვს არაერთი ცდა **"ვეფხისტყაოსნის"** მეცნიერულ-ლიტერატურული შესწავლისა. ნიკო მარის, პავლე ინგოროყვას და კორნელი კეკელიძის მეცნიერულ ძიებათა საგანს წარმოადგენს უფრო **"ვეფხისტყაოსნის"** წარმოშობა და რუსთაველის ვინაობა, ხოლო თვით **"ვეფხისტყაოსანი"**, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები და ამ ნაწარმოებში გამოსახული იდეები, ჯერჯერობით სრულად არ არის გაშუქებული. ცხადია, **"ვეფხისტყაოსნის"** ლიტერატურულ-იდეოლოგიური ანალიზისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნიკო მარის, ალექსანდრე ხახანაშვილის, სოლომონ იორდანიშვილის, შალვა ნუცუბიძის, პავლე ინგოროყვას, კორნელი კეკელიძის, კონსტანტინე ჭიჭინაძის და სხვათა შრომებს. ჩვენს ხელთაა, ერთის მხრით, **"ვეფხისტყაოსნის"** ორიგინალური მკვლევრებისა და კომენტატორების, მეორე მხრით, ქართული კულტურის მსოფლიოსთან სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიული ურთიერთობის ამსახველი მასალა. რაც უფრო დიდია მდინარე, მით უფრო მრავალი აქვს მას შენაკადი. ასეთია კულტურის ისტორიაც: რაც უფრო შინაარსიანია რომელიმე ისტორიული პერიოდის კულტურა, მით უფრო მრავალნაირია ამ პერიოდის კულტურის წყარო. ამიტომ დიდი კულტურული და იდეოლოგიური მოვლენა არასოდეს შეიძლება უშუალოდ გამომდინარეობდეს ერთი რომელიმე მოვლენიდან. უბრალო მაგალითი: ერთი ერის ლიტერატურის თარგმნა მეორე ერის ენაზე განსაზღვრულია მთელი რიგი სოციალური და ფსიქოლოგიური მიზეზებით. არ კმარა მარტო მთარგმნელის სურვილი, თუმცა თვით ეს სურვილიც არ არის ავტონომიური და დამოუკიდებელი. არც ერთი კერძო სურვილი ისტორიაში არ ეღირსება განხორციელებას, თუ მდგომარეობა და პირობები სათანადოდ არ არიან განწყობილნი. რუსთაველის **"ვეფხისტყაოსანი"**, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, იმდენ თავისებურებას შეიცავს, რომ მისი დაკავშირება ერთ რომელიმე იდეოლოგიურ-ლიტერატურულ წყაროსთან ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ ვიცით მსოფლიო ლიტერატურაში მრავალი თვალსაჩინო მოვლენა, რომელსაც დიდი კავშირი აქვს ცალკე შემთხვევებთან. მაგრამ არავის აზრად არ მოუვა, რომ გოეთეს **"ფაუსტის"** ლიტერატურულ-ესთეტიკური ღირებულება დაუკავშიროს ქრონიკულ თქმულებას, ან შექსპირის **"ჰამლეტის"** მნიშვნელობა შემოზღუდოს ლორდ დორნლეისა და ბოსველის რომანით. ისეთი დიდი ლიტერატურული კონცეფციებისათვის, რომელთა განსახიერებას წარმოადგენენ **"ვეფხისტყაოსანი"**, **"ილიადა"**, **"ოდისეა"**, **"ფაუსტი"**, **"ჰამლეტი"** და **"ღვთაებრივი კომედია"**, – არ კმარა ერთი რომელიმე წყარო, ერთი რომელიმე ფაქტი: თავისთავად ფაბულა ლიტერატურისა არ არსებობს.

ამიტომ, ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით, დაუშვებელ შეცდომად მიგვაჩნია ითქვას **"ვეფხისტყაოსანი"** ნათარგმნია, **"ვეფხისტყაოსნის"** ორიგინალი სპარსულია და სხვა. შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ იდეოლოგიური გავლენის შესახებ. შეიძლება ლაპარაკი იმაზე, თუ რა წყაროები ჰქონდა ხელთ რუსთაველს, როდესაც იწყებდა თავის პოემას; მაგრამ თუნდაც ამ წყაროებში მთლიანად აღმოჩნდეს **"ვეფხისტყაოსნის"** ფაბულა, ამით პოემას და მის იდეოლოგიას არცერთი ღირსება არ ჩამოერთმევა.

კულტურის ყველა პერიოდი ერთგვარ მსოფლიო გარემოცვაშია. დიდი სოციალური ეპოსი, თავისი ლეგენდებით და თქმულებებით ყოველთვის შედეგია ხალხთა დიდი მასების მოძრაობისა. ბეოვულფისა და როლანდის ამბები შუა საუკუნეთა ლიტერატურის ისტორიაში შეთხზულია დიდი სოციალურ-ისტორიულ მოძრაობათა შედეგად. თქმულება ბეოვულფის შესახებ ხალხთა დიდი გადასახლების მოგონებას წარმოადგენს, ხოლო როლანდის სიმღერა სარაცინებითა და შარლემანით – ფრანკებისა და მავრების ერთმანეთთან შეხვედრის რომანტიკული გამოთქმაა; ყველგან, სადაც ისტორიაში მოძრაობენ ხალხები და კლასები, იქმნება სოციალური ფსიქოლოგია, ესთეტიკური და მორალური განცდებით. ებრაელების ბიბლია ხალხთა მასების სოციალურ ბრძოლათა და განცდათა ისეთივე კოდექსია, როგორც ყურანი არაბეთის ბედუინების ორგანიზაციული შეკავშირებისა და სოციალურ-ეკონომიკური რეფორმებისა. ყველა ხალხის ისტორიაში ლიტერატურულ იდეებს წინ უძღვის სოციალური ძალების ჩამოყალიბება და პათოსი, საზოგადოების განცდების სისტემატიზება.

ქართული ლიტერატურის მშვენიერი პერიოდი – პერიოდი კლასიკური პროზისა და რუსთაველის წყობილსიტყვაობისა – ქართული სოციალური ეპოსის ორკესტრია, მომართული წინა საუკუნეთა კულტურული მიღწევებით, ქართული კულტურისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციის ხანგრძლივი ურთიერთობით. რუსთაველის მეტყველება და იდეოლოგია გამოსახავს ქართული სოციალური ფსიქოლოგიის დიაპაზონს, საქართველოს ისტორიული ქარტეხილებისა და ქართული ემოციების რიტმს. **"ვეფხისტყაოსანი"** წარმოადგენს **"ბარამიანისა"** და **"ამირანდარეჯანიანის"** სახის სადევგმირო ამბავს. ერთი მხრით, დგანან ადამიანური სრულყოფისა და ძლიერების გამომსახველი გმირები, ხოლო, მეორე მხრით – ქაჯები და დევები. მეფე ჯონშერი, რომელსაც ჰყავს ერთადერთი ასული და მისი გაზრდილი სპასალარი ბარამი, იგივეა, რაც როსტევან მეფე თავისი თინათინით და სპასპეტ ავთანდილით, რომელიც მისი გაზრდილია; ბარამის მოუსვენარი ხეტიალი და ავთანდილის მოგზაურობა თინათინის დავალებით, ბარამის შეხვედრა მოქარავნე ვაჭრებთან და ავთანდილის გარევა ვაჭრებში, მათი გაძღოლა, ბარამის მიერ დევის მოკვლა და ჯურღმულების აღება, ტარიელის მიერ გამოქვაბულის აღება და დევების განადგურება, გაბედნიერებული ბარამის გახელმწიფება და ტარიელისა და ავთანდილის გამეფება, ბარამის ნადირობა ქურციკზე და როსტევანის ნადირობა, ავთანდილის გამიჯნურება და ბარამის გულანდამისათვის დღედაღამ სიარული, ომი ქაჯებთან – აი, **"ბარამიანისა"** და **"ვეფხისტყაოსნის"** ფაბულათა საერთო და ფრიად დამახასიათებელი მომენტები. **"ამირანდარეჯანიანის"** ფაბულაც დაახლოებით ასეთია: ინდოეთის მეფეს, აბესალომს. რომელიც მორჭმულია და განგებიანი, ჰყავს ერთადერთი ქალი, მსგავსი მზისა. აბესალომიც ისე ნადირობს, როგორც როსტევანი. **"ამირანდარეჯანიანში"** გამოყვანილია მოქარავნე ვაჭრები; ვაჭრების დახასიათება ამირანს ავთანდილის მსგავსად აქვს მოცემული. **"ამირანდარეჯანიანში"** წარმოდგენილია ბრძოლა დევებთან, დევების დამარცხება და მათი სიმდიდრის ხელში ჩაგდება ისე, როგორც **"ვეფხისტყაოსანში"**. ამგვარად, **"ვეფხისტყაოსანსა"** და **"ამირანდარეჯანიანს"** შორის არის სიუჟეტური მსგავსება, რაც სამართლიანად იყო აღნიშნული ქართველი მკვლევარების მიერ, მაგრამ არის მნიშვნელოვანი განსხვავებაც. ამაღლებული სიყვარული, განცდები, ექსტაზი, დამახასიათებელი რუსთაველის მიჯნურთათვის, სრულიად უცხოა **"ამირანდარეჯანიანის"** გმირებისათვის.

მიუხედავად ამ განსხვავებისა, განა შეიძლება კიდევ დაისვას საკითხი **"ვეფხისტყაოსნის"** სპარსული ორიგინალის შესახებ? განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ მოინახოს რომელიმე ძველი ერის ლიტერატურაში ნაწარმოები, რომელიც **"ბარამიანსა"** და **"ამირანდარეჯანიანზე"** უფრო ახლოს იყოს **"ვეფხისტყაოსნის"** ფაბულასთან?

კონსტანტინე კაპანელი

*(გაგრძელება იქნება)*

# გაზეთ „ილორის" რედაქტორს, ბატონ როლანდ ჯალაღანიას

ბატონო როლანდ!

მიუხედავად თქვენს გაზეთში ადგილის სიმწირისა, გავკადნიერდები და უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი გაზეთის დახმარებით ღვთისნიერი მადლობა და პატივისცემა გამოვხატო საყოველთაო ჯანდაცვის დეპარტამენტის ვაჟა-ფშაველას სერვისცენტრის თანამშრომლებს:

სერვის ცენტრის მენეჯერს, ქალბატონ თამარ კალანდარიშვილს. ქალბატონს, რომელსაც როგორც სახელი – თამარი, ქვეყნის დედოფლობაც დამშვენდებოდა. ქალბატონს, რომელსაც თუ დააკვირდებით, მთელი სამუშაო დღის მანძილზე წუთიერი უქმე არ მოეძებნება, რათა მის სამუშაო ადგილთან კედელზე მანათობელ ხატებს თვალი შეავლოს. ქალბატონს, რომელსაც თითოეული მასთან მისულის პრობლემა, გასაჭირი გათავისებული აქვს. ქალბატონს, რომელიც მაქსიმალურად მობილიზებულია მოუსმინოს და სათანადოდ დაეხმაროს, ზედმიწევნით კორექტურობის დაცვით, როგორც სტუმარს (არასდროს აკადრებს **„მთხოვნელს"**), ასევე სერვისცენტრის ნებისმიერ თანამშრომელს. აგრეთვე არეგულიროს წესრიგი, დისციპლინა, რიგიანი რიგის დაცვა, ყოველი გაჭირვებულის ტკივილის შემსუბუქება, მისი გამხნევება, სითბოთი მოპყრობა ისე, რომ ცენტრიდან გასულს თან გაჰყვეს ღიმილი, იმედი, სიხარული... აი, ამისთვის დროს თამარი აუცილებლად პოულობს. მარტო ის რად ღირს, ქალბატონი თამარის მიერ დაიმედებული სტუმარი, ხალისით და სითბოთი გამსჭვალული, იმედის მიმტანია სასოწარკვეთილ მომლოდინე ავადმყოფთან.

ცენტრის უფროს სპეციალისტს, ანანო მჟავიას. გოგონას, რომელიც თავისი მიღებით, ღიმილით, სითბოთი, რუდუნებით, მოფერებით, ზედმიწევნით და ამომწურავად პასუხის გაცემით უსათუოდ კარგ ხასიათზე დააყენებს ნებისმიერს. ამავე დროს ის გაფრთხილებთ, რომ შემდგომი ცენტრში ვიზიტისას რა საბუთები იქონიოთ თან, პრობლემების თავიდან ასაცილებლად. გოგონა, რომელიც სიცოცხლეს ახალისებს და ათასფრად ამზეკეთილებს მას. ქალბატონ თამარის დარიგება უსათუოდ ჩანს ანანოს ადამიანებთან მოპყრობაში...

ცენტრის დაცვის თანამშრომელს, ბატონ გიორგი ფანჩვიძეს. ადამიანს, რომელიც ნებისმიერ დროს მზად არის ყოველ გაუთვიცნობიერებელ სტუმარს ზედმიწევნით ამომწურავად აუხსნას ყველა ის ნიუანსი, რომელიც მას შეუმსუბუქებს საკმაოდ ხანგრძლივი დროით რიგში დგომას. იგი ამავდროულად, თავისი უშუალო მოვალეობის შესრულებისას ასწრებს დახმარებას ყველასთვის, როგორც გონებრივად, ასევე ფიზიკურადაც და ამ ყველაფერს აკეთებს იმდენად ბუნებრივად, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო.

ბატონო რედაქტორო! სერვისცენტრის თანამშრომელთა ღიმილიანი მიღება, ყურადღება, სითბო, თანადგომა, იმედი ერთ მშვენიერ დღეს ჩვენც გვერგო, თითქოს ჩვენი უანგარო გარჯა მოკეთის დასახმარებლად დაინახეს და სიკეთის წილ სიკეთე დაგვახვედრეს! დაგვეთანხმებით, მსგავს მოპყრობას გადაჩვეულებს, რაოდენ სასიამოვნოდ გაოცებულნი, თვალებგაფართოებულნი, აღფრთოვანებულნი დაგვტოვა ამ დიდებულმა ქართველებმა. დაბრუნებიათ ქართველებს ქართველობა. დაბრუნებიათ სითბო და თანადგომა, როგორი ჩვეული გაუხდიათ აქ შეჯიბრი სიკეთის კეთებაში, სითბოს გაცემაში, თანადგომაში... ბოლო ორი წლის მანძილზე არ გვქონია შეხება მსგავს სამსახურებთან, მათ წარმომადგენლებთან. გვახსოვს, როგორ ჩხუბობდნენ, ადამიანებად არ თვლიდნენ არც დიდს და არც პატარას, იყვნენ ცივები და გაუცხოებულნი.

ამ ცენტრში კი, ჰოი საოცრებავ!

დაე მუდამ იყოს ასე, დაე მუდამ!

საქართველოს ჯანდაცვას და საერთოდ, საჯარო სამსახურს უმრავლოს მსგავსი სითბოს, ღიმილის, სიყვარულის, იმედის გამცემი თამარები, ანანიკოები, გიორგები... ასეთ ადამიანებზე იდგა მუდამ საქართველო.

აქვე აუცილებლად გვსურს ავღნიშნოთ, რომ არც ერთმა ჩვენმა წერილის გმირმა არ იცის, თუ მსგავსი წერილით, მსგავსი თხოვნით მოგმართავდით თქვენ, ბატონო რედაქტორო. არც ის უწყიან, როგორ მოვიპოვეთ მათი გვარ-სახელი, მათი თანამდებობები.

საქართველო გაბრწყინდება უსათუოდ, მერწმუნეთ, გაბრწყინდება!

ომარ ნანავა

# სვანური ტურიზმი თეთნულდის ტრასის გახსნის იმედადაა

სვანეთში ზამთრის საკურორტო სეზონის გამოცოცხლება თეთნულდის ტრასის გახსნის იმედადაა. სასტუმროს მეპატრონეები მესტიაში წელსაც ტურისტების სიმცირეს ვარაუდობენ. არასაკმარისი რეკლამირება და მესტიიდან უშგულამდე რთულად მისასვლელი გზა – ეს ის მთავარი პრობლემებია, რომლებსაც ადგილობრივი სასტუმროს მფლობელები ასახელებენ. **„თეთნულდის ტრასის გახსნას ველოდებით და ვფიქრობთ, რომ ვიზიტორების რაოდენობაზე ეს ფაქტი დადებითად აისახება,"** – ამის შესახებ მესტიაში მდებარე ერთ-ერთი სასტუმროს მფლობელმა, ნინო წულუკიანმა განაცხადა.

**ნინო წულუკიანი: "ჩემი აზრით, ნაკლებად ხდება ამ კუთხის რეკლამირება, რაც, თავისთავად, მოქმედებს ჩვენი სტუმრების რიცხვზე. მესტიიდან უშგულამდე 45 კილომეტრიანი გზის გავლას სატრანსპორტო საშუალება 2 საათნახევარს ანდომებს. დაახლოებით ათი კილომეტრი ბეტონის სწორი გზაა, მაგრამ ძირითადი ნაწილი ქვიანი და დაზიანებულია. შესაბამისად, ეკონომიურადაც ძვირი უჯდება ტურისტს უშგულამდე მისვლა. ტაქსის დაქირავება 200 ლარი ღირს, მძღოლები უფრო ნაკლებად ვერ მიდიან, რადგან გზა ძალიან ცუდია. არავის აქვს გარანტია, რომ მანქანას რამე არ გაუფუჭდება. სასტუმროებსაც აქვთ საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები და ამ შემთხვევაში ტურისტს გადაადგილება 20%-ით იაფი უჯდება. ბოლო დროს ძალიან ბევრი ე.წ გესთჰაუზი აშენდა, კონკურენციაც დიდია. ზაფხულის სეზონზე მესტიას უამრავი ტურისტი სტუმრობდა, მათი უმრავლესობა უცხოელი იყო, მაგრამ ზამთრის სეზონი შარშანაც არ გვქონია. წელსაც პესიმისტური განწყობა გვაქვს. რაც შეეხება წინა წლებს, ზამთარ-ზაფხულ გვყავდა ვიზიტორები".**

ნინო წულუკიანის თქმით, მოუწესრიგებელი გზის გარდა, მესტიაში ნარჩენების მართვის კუთხითაც სავალალო მდგომარეობაა.

ქრისტინე გამთენაძე

# ჩვენი სათაყვანებელი ვარძია სომხებმა "ვარძუნიკად" გამოაცხადეს



საქართველოს ისტორიაზე, ქართულ დამწერლობასა და ისტორიულ ძეგლებზე რომ დიდი ხანია თვალი რჩება სომეხ ვაიმეცნიერთა ნაწილს, ძველი ამბავია, მაგრამ ანტიქართული განწყობით გამორჩეული **"მეცნიერთა"** ერთი ჯგუფი იმდენად გავიდა თავს, რომ ჩვენი სიამაყე ვარძია სომხურ არქიტექტურულ ძეგლად გამოაცხადა და **"ვარძუნიკად"** მონათლა. უფრო მეტიც, სომხეთში დაბეჭდილი 14-ტომიანი **"სომხური არქიტექტურული ძეგლების"** რამდენიმე ტომში თბილისში, კახეთში, ჰერეთში, აჭარასა და ჯავახეთში არსებული უძველესი ქართული ძეგლები სომხურ ტაძრებად არის გამოცხადებული. რით პასუხობს სომეხ მეცნიერთა შემოტევას ქართული მხარე? – ამ საკითხზე ისტორიკოს **ჯაბა სამუშიას** ვესაუბრეთ:

– სომხეთში გამოცემული ეს მრავალტომეული უცხოეთში არსებულ სომხურ ძეგლებს ეძღვნება და საკმაოდ მაღალი პოლიგრაფიული დონის გამოცემაა. გამოცემის ავტორი სამველ კარაპეტიანი ანტიქართული განწყობითა და არაპროფესიონალიზმით არის ცნობილი. ხელთ ჩამივარდა ამ გამოცემის IX ტომი, რომლის სახელწოდებაცაა **"ჯავახქი"** და არა ჯავახეთი. წიგნის სახელწოდებაშივე ნათქვამია, რომ ჯავახეთი სომხეთის ტერიტორია იყო. ეს წიგნი ვარშავის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტმა გადმომცა და მითხრა, სომხური დიასპორა ამ წიგნებს ვარშავის უნივერსიტეტში არიგებსო. სომხური თემი ცდილობს ინგლისურენოვანი გამოცემები ევროპაში გაიტანოს. სამწუხაროდ, ასეთი მოცულობითი და მაღალი პოლიგრაფიული დონის ნაშრომი ჯავახეთზე ჩვენ ქართულ ენაზეც არ გამოგვიცია.

უპირველესად ხელისუფლების ბრალია, რომ ვერ მოხერხდა საერთაშორისო დონეზე ჩვენი ძეგლების გატანა. ეს ეხება ტაოკლარჯეთსა და სომხეთში არსებულ ქართულ ძეგლებსაც. ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი ტომეული **"საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა"**, რომლის მხოლოდ ორი ტომი (სადაც შევიდა შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი და კახეთის ძეგლები) გამოიცა, შემდეგ კი დაუფინანსებლობის გამო შეწყდა.

წიგნის წინასიტყვაობაში სომეხ ავტორებს მოხმობილი აქვთ ძვ. წ.-ით დათარიღებული წყაროები. ძირითადად, ისტორიულ წყაროებში შემონახული სომეხ მმართველთა განცხადებები, რაც ვითომ ადასტურებს, რომ ჯავახეთი სომხეთის ტერიტორია იყო და საქართველომ მისი ანექსია მოახდინა.

– იმას, რაც ამ წიგნში წერია, ისტორიასთან კავშირი არა აქვს. ეს სომხური პოლიტიკაა. ჯავახეთი არასოდეს ყოფილა სომხეთის განუყოფელი ნაწილი. ურარტუს მეფე არგიშტ I-ის მიერ ჩრდილოეთის დაპყრობისას, 785 წელს გაკეთებულ წარწერაში იხსენიება **"ზაბახა"**, რომელიც, ქართველი მეცნიერების აზრით, უნდა იყოს **"ჯავახეთის"** შეცვლილი ფორმა. ქართული წყაროების მიხედვით, ეს სივრცე ყოველთვის იყო ქართული და იქ ქართველები სახლობდნენ. როდესაც ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულს ფარნავაზმა საქართველო საერისთავოებად დაყო, შექმნა წუნდის საერისთავო, რომელიც ჯავახეთს მოიცავდა, მაგრამ ამ სომხურ გამოცემაში შეტანილი წუნდის ეკლესია გამოცხადებულია სომხურ არქიტექტურულ ძეგლად, რომელიც ქართველებმა მიიტაცეს. ძვ. წ. I საუკუნეში სომხეთი გაძლიერდა და შეიქმნა დიდი სომხეთის სამეფო, რასაც მოჰყვა ანექსია სამხრეთ საქართველოში. ჯავახეთისა და ქართლის ნაწილი სომხეთის შემადგენლობაში შევიდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს ტერიტორია სომხეთად გამოაცხადო. საქართველომ ახ. წ. I საუკუნეში ეს ტერიტორია დაიბრუნა და საქართველოს მეფე ფარსმან I-მა თავის წარმომადგენელი დასვა სომხეთში. ამ დროს ისევ არსებობდა სომხეთის სამეფო, მაგრამ მას ქართველი უფლისწული მართავდა. ახ. წ. II საუკუნეში სამხრეთ საქართველოზე კლარჯეთის ჩათვლით კონტროლი დაამყარა ფარსმან ქველმა, რომელმაც ზღვაზე გასასვლელი მოუპოვა ქართლის სამეფოს. ამიტომ ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, ამ დროს ჯავახეთი იყო თუ არა ქართლის სამეფოს შემადგენლობაში.

XII-XIII საუკუნის პირველ ნახევარში სომხეთის 60%-ზე მეტი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ ვინმეს მოუვა ფიქრად, ამდროინდელი სომხური ძეგლები ქართულად გამოაცხადოს? დავითისა და თამარის პერიოდში ჯავახეთი იყო სამეფო დომენი. ჯავახეთში უამრავ ქვაზეა ამოტვიფრული ხელი (ხელი იყო სიმბოლო მამულებრივი ფლობისა), რაც პირდაპირ მიუთითებს, რომ ეს ადგილები სამეფო მამულები იყო. მათზე ქართული წარწერებია.

ქართულ წარწერებზე წიგნის სომეხ ავტორებს ორგვარი ახსნა აქვთ: ეს ტერიტორია დაიპყრეს ქართველებმა და კიდევ, აქ ცხოვრობდნენ ქალკედონიტი (მართლმადიდებელი) სომხები, რომლებიც ქართულ ენაზე წერდნენო. სამველ კარაპეტიანს ქართველები აგრესორებად გამოჰყავს. ამ წიგნებში შესული **"სომხური"** არქიტექტურული ძეგლების 90% სინამდვილეში ქართული ძეგლებია, ქართული წარწერებითურთ, მაგრამ სომხებს ამაზეც აქვთ პასუხი. ერთ-ერთი ქართული წარწერის შესახებ ვკითხულობთ, ამ კედელზე არის წარწერა მესროპ მაშტოცის მიერ შექმნილ ანბანზეო. გამოდის, ქართველებს არც ანბანი შეგვიქმნია და არც ძეგლები აგვიშენებია.

ამ წიგნის მიხედვით, სომხურად არის გამოცხადებული თმოგვის ეკლესიაც (და სომეხად – სარგის თმოგველი) და კუმურდოს ტაძარიც, რომელზეც არაერთი ქართული წარწერაა, მეტიც, გამოსახულია გურანდუხტ დედოფალი, ბაგრატ III-ის დედა; სომხურად არის გამოცხადებული განძაკი და ამის დამადასტურებლად მოჰყავთ არგუმენტი, ტაძრის ირგვლივ სომხები ცხოვრობენო. თუმცა, გვერდს ვერ უვლიან იმ წარწერას, რომელიც ქართულ ენაზეა: **"ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე შინა ცხოვრებასა მეჭურჭლეთუხუცესი შალვა, ძითა, ძმითა მათითა. ცოცხალთა ვაშენეთ წმინდა ესე საყდარი"**.

ბარალეთის ტაძარი შესანიშნავი ხუროთმოძღვრული ძეგლია შესანიშნავი ქართული წარწერებით. ტაძარი ლაშა გიორგის გამეფებასთან დაკავშირებით აიგო, მაგრამ XIX საუკუნეში აქ სომხები დასახლდნენ და ამიტომაც გაჩნდა სომხური საფლავის ქვები. ამის საფუძველზე დაობენ დღეს სომეხი ისტორიკოსები და გაიძახიან, დღესაც აქ ძირითადი მოსახლეობა სომეხიაო.

არსებობს ისტორიული ცნობები და მიმოწერაც მეფისნაცვალ პასკევიჩსა და პეტერბურგს შორის, რომ სომხები მეფის რუსეთის დროს ჩამოასახლეს ჯავახეთში. პასკევიჩი წერდა: **"ჩამოსახლებულთა რაოდენობა ისე დიდი ჩანს, რომ იძულებული ვარ, დასასახლებლად გამოვყო ის ადგილები, რომლებიც განკუთვნილი იყო მალოროსიის სამხედრო კაზაკებისათვის, შემოსული სომხები და ბერძნები საქართველოსა და მის გარშემო პროვინციებშიც კი აღარ ეტევიან"**. მართლაც, საქართველოში ჩამოსახლებულ სომეხთა რაოდენობამ XIX საუკუნის 30-იან წლებში 14.044 ოჯახი შეადგინა. ესენი იყვნენ არზრუმიდან გამოსული სომეხი ლტოლვილები, რომლებმაც აქ გადმოსახლების მოტივად არზრუმისა და ჯავახეთის ჰავის მსგავსება დაასახელეს. არზრუმელ სომეხთა 2.000 ოჯახი ახალციხეში ან მის შემოგარენში დაეფუძნა. სხვები, ძირითადად, ჯავახეთში დამკვიდრდნენ. ასე რომ, 1830 წლისთვის ახალშექმნილ ახალციხის ოლქში მცხოვრები 38.730 სულისგან სომხები უკვე 25.545 იყვნენ. ქართველები უმცირესობაში აღმოჩნდნენ. 1828 წლამდე ჯავახეთში ქართველი მოსახლეობა თუ 90%-ს აღემატებოდა, 1830 წელს რუს მოხელეთა წყალობით უმრავლესობად სომხები იქცნენ.

ჯავახეთში სომხების ჩასახლებამდე იქ ქართველი მოსახლეობა შემცირდა.

– XVI საუკუნის მიწურულს, როდესაც ახალციხის საფაშო დაარსდა, ჯავახეთიდან ქართველების მიგრაცია დაიწყო. ქართველები ვეღარ ურიგდებოდნენ ოსმალთა ბატონობას, საცხოვრებლიდან იყრებოდნენ. მაშინ ამ ტერიტორიაზე უამრავი ნასოფლარი გაჩნდა. ამიტომაც გადაწყდა იქ XIX საუკუნის დასაწყისში სომხების ჩასახლება. ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ XVI საუკუნეში ჯავახეთში ქართველი მოსახლეობა და ქართული სოფლები იყო. ასეთი ისტორიული წყაროა **"გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი"** (XVI ს.), რომლის მიხედვით ჯავახეთში 450 ქართული სოფელია.

ევროპელ მეცნიერებს ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით უნდა გავაგებინოთ, რომ ეს ტერიტორია მუდამ ქართული იყო, ამ ტერიტორიაზე მცხოვრებნი აზროვნებდნენ, წერდნენ და ლოცულობდნენ ქართულად, ქმნიდნენ ქართულ კულტურას და როგორ შეიძლება მათზე თქმა, რომ ქართველები არ არიან.

**– სომეხი მეცნიერების ამ ჯგუფის პროპაგანდის მიზანი რა არის?**

– უნდათ, ჯავახეთში მცხოვრებ სომხებს გაუჩინონ პრეტენზია, რომ ამ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობენ, რომ ეს მათი მიწაა.

ამ წიგნს ქართულმა სახელმწიფომ უნდა გასცეს პასუხი ჯავახეთზე ასეთივე მაღალი პოლიგრაფიული დონის, მეცნიერული არგუმენტებით გაჯერებული წიგნის გამოცემით, სადაც ნაჩვენები იქნება, სად იყო ქართული სოფლები და რა ქართული ტოპონიმები იყო.

ვახანის (ანუ ვანის ქვაბების) მონასტერი სომხურ გამოცემაში მოხსენიებულია ვახანავანკად. ეს უნიკალური ძეგლი ვარძიასავით კლდეშია ნაკვეთი და თავზე ქათქათა თეთრი ტაძარი ადგას. ეს არის ადგილი, სადაც შემორჩენილია XIV საუკუნის წარწერა, რომელშიც **"ვეფხისტყაოსნის"** რითმებია. ტაძრის კედელზე ამოკაწრულია წარწერა: **"ციხესა ვზი ეზომ მაღალსა"**, რაც ძალიან ჰგავს ნესტან-დარეჯანის წერილს; ასევე არის წარწერა: **"ლომი განაღამც მიყვარხარ, შენებრ ვერავინ სადარად, წყალად ევფრატად გიტყვიან, გულად როსტომის სადარად"**. ეს არის ქალის სამიჯნურო წერილი. როგორც ჩანს, ერთ-ერთი შემოსევის დროს ამ ტაძარში მოსახლეობამ, ძირითადად, ქალებმა შეაფარეს თავი და **"ვეფხისტყაოსნის"** სტროფების მოხმობით წერდნენ თავიანთ მეუღლეებზე, რომლებიც საბრძოლველად იყვნენ.

აღმაშფოთებელია, რომ, ამ გამოცემის თანახმად, ვარძიაც სომხურ ძეგლად არის გამოცხადებული. თურმე ვარძია ვარძუნიკი ყოფილა და მართლმადიდებელ სომხებს აუშენებიათ.

არის ასეთი წიგნი **"რუსეთის ისტორია – სომხური კვალი"**, რომელიც ბრიტანეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ვნახე. ამ წიგნში ყველა ქართველი ბაგრატიონი მეფე, მათ შორის – დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე, გამოყვანილი არიან სომხებად. ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწიც, რომელიც ბულგარეთში, პეტრიწონის მონასტერში მოღვაწეობდა, სომეხი ყოფილა. სომხად არის გამოცხადებული პეტრიწონის მონასტრის ამშენებელი გრიგოლ ბაკურიანის ძე, რადგანაც ის ტაოდან იყო. სომხებს კი ტაო სომხეთის ტერიტორიად მიაჩნიათ, მაგრამ ამ **"მეცნიერებმა"** ვერ გაითვალისწინეს, რომ იოანე პეტრიწის ნაშრომები ქართულადაა შემორჩენილი და ჩიხიდან გამოსვლა უცნაური არგუმენტით სცადეს, – სომხური ნაწერები დაიკარგა და სომხურიდან რაც ქართველებმა თარგმნეს, ის შემორჩაო.

აუცილებლად უნდა გამოიცეს ქართველი მეცნიერების ნაშრომები ინგლისურ ენაზე და დარიგდეს ყველა ქვეყნის ბიბლიოთეკაში. მსოფლიომ უნდა გაიგოს, რომ ჯავახეთი, რომელიც სომხეთის ტერიტორიად არის გამოცხადებული, არის საქართველოს მიწა. ის ოდითგანვე საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო.

# "ფსიქიურად გაუწონასწორებელი ინტელექტუალური ხეიბარი" – გვარამია ივანიშვილის ინტერვიუს ეხმაურება

**"შაბათის ქრონიკის"** ეთერში ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები შეაფასა. საკუთარი პოზიცია დააფიქსირა **"რუსთავი2"**-ის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე.

ივანიშვილის განცხადებებს სოციალურ ქსელში გამოეხმაურა **"რუსთავი2"**-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია.

**"დასკვნა პირველი: მხოლოდ "რუსთავი2"-ს უყურებს;**

**დასკვნა მეორე: მხოლოდ "რუსთავი2" აინტერესებს;**

**დასკვნა მესამე: "რუსთავი2"-თან დაკავშირებით მიმდინარე ყველა პროცესში უშუალოდაა ჩართული;**

**დასკვნა მთავარი: ფსიქიურად გაუწონასწორებელი ინტელექტუალური ხეიბარია";** – წერს გვარამია.

## კიდევ ერთხელ „პირფანჩარა" გვარამიაზე!

წინა პოსტის გამოქვეყნების შემდეგ უამრავმა ადამიანმა დამირეკა. ნაძირალა გვარამია ნაკლებად აინტერესებდათ. თითქმის ყველა მათგანი, უკრაინულ საიტებზე გამოქვეყნებულ, **„მიშა-შეურაცხადის"** თაოსნობით, მისი სახელისუფლო ჩინოვნიკების მიერ, ადამიანების წამების კადრების ჩვენების **„მართებულობაზე"** მესაუბრა...

მაშინ, ისინი ნანახი არ მქონდა, მაგრამ, რომ წარმოვიდგინე, თუ რა დამართეს უდანაშაულო ადამიანებს, კინაღამ ჭკუაზე შევიშალე, რადგან – უმეტესობა მათგანი იმას **„წუხდა"** – როგორ შეიძლება ასეთი კადრების ჩვენება (პორნოგრაფიას გულისხმობდნენ ეს უბედურ დღეზე გაჩენილები) და არა იმაზე, თუ რა საშინელება დამართეს ათასობით ადამიანს, რომელთაგან მხოლოდ ორი თუ სამი ვიხილეთ საჯაროდ!

– ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, არავის აღელვებდა, ვინ და რატომ ჩაიდინა ეს დანაშაული!

– რას აკეთებდა და როგორ აფასებდა ნაძირალა გვარამია და მისი **„პორნოტელეარხი "რუსთავი2"**-ზე მომხდარ ეროვნულ უბედურებას???

შემთხვევით არ მიხსენებია **„პორნოტელეარხი "რუსთავი2"** – 2009 წელს, ახალგახსნილ **„რედისონ ივერიაში"** ავსტრია-შვეიცარიიდან ჩამოსული სტუმრები განვათავსე. ერთი კვირის თავზე, გამგზავრების დილას, გასაცილებლად მისული, ავსტრიელი სტუმრის და სასტუმროს ახალბედა თანამშრომელი გოგონას საუბარს შევესწარი, რომელსაც ვერაფრით ვერ გაეგო, თუ, რა გადასახადის ანგარიშს ითხოვდა ავსტრიელი სტუმარი და მე შემომჩივლა – **„იქნება, გერმანულად კითხოთ რის გადახდას ითხოვსო!"**

ჩემი სტუმარი გამომიტყდა – **„წუხელ პორნოფილმებს ვუყურე, ანგარიში არ გამოუწერიათ და მერიდება შენ არ გადაგახდევინონო!"**

მეც, დარწმუნებულმა, რომ ახალგახსნილ მაღალი კლასის სასტუმროში, ახალი სერვისი შემოიღეს-მეთქი, სასტუმროს პორტიე გოგონას მოვახსენე – **„პორნო პროგრამისთვის"** უყურებია და იქნება გადაახდევინოთ-მეთქი!

ამან მთლად დააბნია გამოუცდელი ახალბედა და იქვე, შორიახლოს მდგარ კოლეგას აუხსნა საქმის ვითარება. სიტუაცია მაშინ განიმუხტა, როცა გაღიმებული სახით მომახსენა გოგონამ – ბატონო, ჩვენ მსგავსი სერვისი არ გაგვაჩნია. ეტყობა, თქვენმა სტუმარმა **"რუსთავი2"**-ს უყურა, 12 საათის შემდეგ და **„პორნოპროგრამა"** ეგონაო!

შვებით ამოვისუნთქეთ და თვითმფრინავზე დაგვიანებასაც გადავრჩით!

ახლა, ყველა იმ ნაბიჭვარს მივმართავ, რომლებმაც საყვედურნარევი ტონით მკითხა ამ დღეებში – თუ როგორ ვუყურებ მე, იმას, რომ, **„ამ კადრებს მცირეწლოვანი ბავშვებიც ნახავენო?!."**

რამდენიმე საათის წინ მეც ვნახე ეს კადრები. დამცირებული და თავზარდაცემული, ძლივს მოვერიე საკუთარ თავს კომპიუტერთან დავმჯდარვიყავი და ეს პასუხი დამეწერა.

– მე თქვენ გეკითხებით, თქვენ, ნაბიჭვრებო და ნაძირალებო, – ისე რამ დაგაბრმავათ და გაგათახსირათ, რომ ვერ შენიშნეთ, იმ კადრებში სწორედ მცირეწლოვან (თუმცა, ასაკს რა მნიშვნელობა აქვს!!!) ბავშვებს აუპატიურებენ და ამას ითმენთ???

– არა, თქვენ სულაც ფეხზე გკიდიათ ამ კადრებს ვინ ნახავს, თქვენ ამას საბაბად იყენებთ – **„მიშა-შეურაცხადის"**, მისი კრიმინალი მთავრობის და ნაცნაძირალების ნარჩენების დასაცავად, პარლამენტსა და მთავრობაში რომ აგრძელებენ ქვეყნის დაქცევას!

– თქვენ, ნაძირალა **„პირფანჩარა"** გვარამიას იცავთ, რომელმაც, – ცოლშვილის ამერიკაში გახიზვნა რომ ვერ მოასწრო, თორემ, საზარელ კადრებში ნანახი სულიერად და ხორციელად განადგურებული ყმაწვილკაცის მოთქმა-ტირილი, სულის ერთ სიმსაც არ შეგირხევთ, სინდისი თქვენ და თქვენისთანებს არ გაგაჩნიათ რომ შეგაწუხოთ, ჯვარი და ხატი თქვენ არ გწამთ, საკუთარი შვილების სულის გადარჩენაზე მაინც რომ იფიქროთ, თქვენნაირები რომ არ გაიზარდონ. ეს რომ არ მოხდეს, დროზე უნდა მოხერხდეს თქვენი გაჩუმება!

– კიდევ ერთხელ მოგმართავთ, თქვე ნაბიჭვრებო, რომლებიც იმაზე კამათობთ და **„წუხხართ" – „რატომ არ სჯიან იმათ, ვინაც ეს კადრები აჩვენა"** და ერთხელ არ წამოგცდენიათ ვისი ბრძანებით კეთდებოდა ეს გაუგონარი სისაძაგლე!

რამდენიმე დღეა გერმანიაში ვიმყოფები და იძულებული გამხადეთ ეს კადრები მენახა. გერმანია ჩემთვის მეორე სამშობლოა. მე, აქ, სხვებზე მეტის ნახვის და მოძიების საშუალება გამაჩნია. რამდენიმე ჩემი გერმანელი და ავსტრიელი მეგობარი დავითანხმე – დამეხმარონ და მოიძიონ, ფაშისტების მიერ ჩადენილ ავნამოქმედარ საქმეებში თუ ჩანს სადმე, მსგავსი კაცთმოძულეობა, რაც ნაცნაძირალებმა, **„მიშა-შეურაცხადმა"** და მისმა ხელისუფლებამ ჩაიდინა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ!

ყველას ვაფრთხილებ, წინასწარი დასკვნის გაკეთებას ნურავინ შეეცდება – ფაშისტების ნამოქმედარს კიდევ დიდი ხანი ვერ აღწერს ადამის ძეთა მოდგმა, მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია გაუწყოთ:

კაცთმოძულეობის ფაშისტური ფანტაზია ახლოსაც ვერ მივა, მიშა-შეურაცხადის და ნაცნაძირალების მიერ, საკუთარი ხალხის და კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულებთან!

ამ დღეებში, ევროპარლამენტის ერთ-ერთ მაღალი ჩინის წარმომადგენელთან მიწევს შეხვედრა. სწორედ ამ და სხვა თემებთან დაკავშირებით ვაპირებ მასთან საუბარს. არ ვიცი, რამდენად გულახდილი იქნება ჩემთან, მაგრამ, იმას ნამდვილად ვერ დამიმალავს, რომ **„ედუარდ-უხსენებელის"** დროიდან მოყოლებული, საქართველოს არავინ განიხილავს სერიოზულ სასაუბრო თემად, იგი უფრო იძულებითი დანამატია სხვა ქვეყნებზე საუბრისას!

**დავით ქობალია**

# საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული პრობლემები და მოსალოდნელი სავალალო შედეგები

ოჯახი (თურქული, ძველქართულად – ფანია) წარმოადგენს განსხვავებული სქესის წყვილთა ნებაყოფლობითი ქორწინებით შექმნილ ადამიანთა მცირე ჯგუფს, რომელიც შედგება მშობლებისა და მათი უახლოესი შთამომავლობისაგან.

მკითხველს აქვე მინდა შევახსენო მოსე წინასწარმეტყველის მიმართვა ებრაელი ხალხისადმი: **"მისმინე ისრაელო! ეცადე შეასრულო, კარგად იყო და დიდად იმრავლო ქვეყანაში"!**

ვფიქრობთ, რომ სწორედ ასეთი მიმართვა ესადაგება დღეს საქართველოს: **"ისმინე საქართველოვ! ეცადე კარგად იყო და იმრავლო შენს ქვეყანაში"!**

რითი დავიწყო?

**"არაოფიციალური მონაცემებით ყოველწლიურად საქართველოში მილიონამდე აბორტი კეთდება"** (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს საშობაო ეპისტოლედან).

ახლა მცირედ მიმოვიხილავ თუ რა მდგომარეობაა ევროპის ქვეყნებში დემოგრაფიის თვალსაზრისით (აზიის დიდ ქვეყნებში – ჩინეთი, ინდოეთი საწინააღმდეგო ღონისძიებები ტარდება) და შევადაროთ იგი საქართველოს მსგავს პრობლემებს.

ეპისკოპოსმა ანანია ჯაფარიძემ, რომელმაც დიდი სინანულითა და, ამავე დროსაც, აქტიურად გამოეხმაურა 2014 წლის საშობაო ეპისტოლეში ზემოაღნიშნულ უდაოდ საგანგაშო განცხადებას, ყოველკვირეულ ჟურნალ **„საპატრიარქოს უწყებანში"** (№9, №10) მოათავსა სტატია – **„საქართველოს დეპოპულაცია"**, სადაც მან ილაპარაკა ზოგადად და კერძოდ საქართველოში მიმდინარე დემოგრაფიულ პრობლემებზე. მან მოიყვანა ამონარიდი დეკანოზ ალ. ფადეევის სტატიიდან „Русская народная линия" – **„ევროპა აგონიაშია"**. აი, რას წერს ფადეევი: „დექრისტიანიზაცია პირდაპირი გზაა დეპოპულარიზაციისაკენ. ევროპული ქრისტიანობა, როგორც მართლმადიდებლობა, ისე კათოლიკობა ამ მომენტში კრიტიკულ მდგომარეობაშია. სოციოლოგები ამ პროცესს სიკვდილის წინა მდგომარეობას უწოდებენ. მშრალი სტატისტიკა დამაჯერებლად მოწმობს, რომ ევროპაში ქრისტიანების რაოდენობა ძალზედ მცირდება.

მართალია საქართველოში დღითიდღე მატულობს მართლმადიდებლური ეკლესიები და მრევლის რაოდენობა, მაგრამ ამის პარალელურად ინტენსიურად იზრდება არამკვიდრი მოსახლეობის რიცხვი და მტკიცედ ფუძნდება მათი სარწმუნოებები, შემდეგ ფადეევი წერს, რომ ევროპის ქვეყნების დეპოპულაცია იწვევს მათში ისლამის ჩანაცვლებას, რაც ყოველდღიური ცხოვრებიდან ქრისტიანულ პრინციპებისა და ინსტიტუტების გაქრობას გამოიწვევს. ისლამსა და ქრისტიანობას შორის დაპირისპირების შესახებ საინტერესო საუბარია სტატიაში. ინგლისში ერთ-ერთი მოლა ეუბნება ქრისტიან მღვდელს – **„ამ საუკუნის ბოლოს ლონდონის ყველა ტაძარი მეჩეთად გადაიქცევა"**, განცვიფრებული მღვდელი ეტყვის მოლას – რით ადასტურებთ ამას? მოლა პასუხობს: **„თქვენ არ გყავთ შვილები, ჩვენ – გვყავს. უშვილობის ტაბლეტები ანუ კონტრაცეპტივები გპირდებიან თავისუფლებას პასუხისმგებლობის გარეშე, ხოლო აბორტები გპირდებიან სხეულს მივცეთ თავისუფლება, რასაც ქვეყანა დეპოპულაციისაკენ მიჰყავს"**, იგივე პროცესი მიმდინარეობს საქართველოშიც.

ახლა გავცეთ პასუხი რომელი ერები იმყოფებიან **„სიკვდილის წინა მდგომარეობაში"** დეპოპულაციის საშუალო პროცესში არიან – გერმანია, ლატვია, ესტონეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, რუმინეთი, უკრაინა, რუსეთი და იტალია. ბევრად უფრო რთულ ფაზაში იმყოფებიან – დიდი ბრიტანეთი, დანია, შვედეთი, ავსტრია, ბელგია, ესპანეთი, სლოვაკეთი, იაპონია და ჩვენი სამშობლო – საქართველო. საქართველოს დეპოპულაციის ასეთ მდგომარეობას დემოგრაფები უწოდებენ მოსახლეობის სტაგნაციის პერიოდს, ანუ ისეთ პერიოდს, როცა მოსახლეობის რიცხვი წლითი-წლობით შეჩერებულია ან დაბლა ეცემა.

საქართველოს, უდაოდ მძიმე დღეები დაუდგა მე-20 საუკუნის დასასრულსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში, მას კოალიციურმა, ძლიერმა მტრებმა არათანაბარ ბრძოლაში წაართვეს უძველესი – კუთვნილი მიწა-წყალი აფხაზეთი და სამაჩაბლო, რაც დემოგრაფიული სიტუაციის დარღვევებმა გამოიწვიეს. დღესაც ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს წინაშე ბევრი გადასაჭრელი პრობლემაა აღმართული, რომელთა ჩამოთვლას და დასაბუთებას აქ არ შევუდგები, მაგრამ მათ შორის უმთავრესი ისევ და ისევ დემოგრაფიული პორტრეტია, რომელსაც ჯერ კიდევ საბჭოთა სისტემის დროს ჩაეყარა საფუძველი.

ქართველი დემოგრაფების მიერ გაკეთებული ანალიზისა და გაეროს გამოკვლევების საფუძველზე 2045-50 წ.წ., საქართველოში ქართული მოსახლეობა შემცირდება 1 მლნ. 170 ათასი კაცით, ხოლო ამავე პერიოდში აზერბაიჯანელი მოსახლეობა 1 მილიონს გადააჭარბებს, სომხების 700 ათასს. ეს გამოიწვევს იმას, რომ ქართული ენა და კულტურა დაკარგავს საზოგადოებრივ ფუნქციებს, ის აღარ იქნება სხვადასხვა ეთნოსისა და ხალხთა გამაერთიანებელი ენა, რაც მთავარია სახელმწიფო ენა. თუ 1926 წელს კავკასიაში ყოველი მე-3 ადამიანი ქართველი იყო, ამჟამად მხოლოდ ყოველი მე-19-ა ქართველი. ქართველების ასეთი რიცხვობრივი სიმცირე გამოწვეულია არამკვიდრი მოსახლეობის ზრდით, რაც მოხდა როგორც ადგილზე მათი გამრავლებით, ასევე სხვა რესპუბლიკიდან მიგრაციით.

რა თქმა უნდა, ყოველი მკვიდრი ერის უპირველესი მოწოდება და მოვალეობაა თავის ისტოტიულ მიწა-წყალზე იყოს უმრავლესობა, მის თვითმყოფადობას თავის ქვეყანაში რაიმე რეალური საფრთხე და გადაგვარება არ უნდა ემუქრებოდეს. ყველა ერი ამაში ხედავს თავის სასიცოცხლო ინტერესებს, რადგან ისინი საუკუნეების მანძილზე ებრძოდა უცხოელ დამპყრობლებს, რათა თავის ქვეყანაში იყოს სრულუფლებიანი გამგებელი.

მართალია, საქართველო თავისი მრავალეროვნებით ამაყობდა და ამაყობს კიდეც, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, გაეროს მიერ მოწოდებული მონაცემებით უახლოეს 20-25 წლებში ქართველები თავის ქვეყანაში აღმოჩნდებიან უმცირესობაში. რა თქმა უნდა, ასეთ შემზარავ, ქართველი ერისათვის გენეტიკურად შეურიგებელ რეალობას იგი არასდროს არ დაუშვებს.

დასამალი არც ის ფაქტია, რომ ჩვენი მოძმე ერების ზოგიერთი ისტორიკოსი ამტკიცებს არარეალურსა და ცრუ თეორიებს იმაზე, რომ მათი წინაპრები წარსულში ამ მიწა-წყალს ფლობდნენ. აი რას წერენ აზერბაიჯანელთა საზოგადოება **„ყაირათის"** ლიდერები: **„ჩვენი მამა-პაპანი ამ მიწაზე 3.500 წლის წინათ ცხოვრობდნენო"**. ამის დასადასტურებლად ისინი კასპიის ზღვის სახელწოდებას უკავშირებენ საქართველოში რაიონული ცენტრის კასპის სახელსაც. ამ სიცრუის გასაქარწყლებლად, ქართველ ისტორიკოსებს გაცემული აქვთ ამომწურავი, მიუკერძოებელი პასუხები.

მსგავს მითოლოგიურ ვერსიებს ავრცელებენ სომეხი ისტორიკოსებიც. აი, რას წერს დიდი ივანე ჯავახიშვილი – **„...1918 წ. სტამბოლში დაიბეჭდა სომხეთის ვითომც ისტორიული, ფანტასტიკური რუქა, სადაც ბათუმი, ახალციხე, თვით მცხეთა და ტფილისიც კი ამ რუქაზე სომხეთშია მოქცეული"**. აღნიშნულ ფანტასტიკურ სიცრუეზე მეც ვრცელი პასუხი მაქვს გაცემული **„ცოტნეიდელის"** მე-7 ტომში (2014 წ. გვ. 420). აღნიშნული მონაცემები იმიტომ გავახმიანე ამ სტატიაში, რომ ქართველებმა, აზერბაიჯანელებმა და სომხებმა – მოძმე ერებმა აქედანვე უნდა იფიქრონ დიალოგის გზით ოპტიმალური ვარიანტის შესამუშავებლად, რომელიც არ შეურაცხყოფს არცერთი ერის ინტერესებს, უპირველეს ყოვლისა ისტორიულად მკვიდრი ქართულ მოსახლეობას თავის მიწა-წყალზე ამგვარი, ურთულესი პრობლემების დროულად მოგვარება, მოსალოდნელი კონფრონტაციის თავიდან აცილების ერთ-ერთი რეალური საშუალებაა.

ქართველი ერის ისტორიაში, ქართული ოჯახები, მათი მრავალშვილიანობა, ჭეშმარიტად იყო და არის კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. იგი თავისი სიწმინდით, გამორჩეული და შეუვალი ტრადიციებით გამაგრებული და დამშვენებული იყო ოდითგანვე. ქართული ოჯახის შვილების სილამაზე, ნიჭიერება, ძლიერება, ტალანტი, თავდადებულობა, ურთულესი მდგომარეობიდან გამოსვლის ფაქტორი და სხვა შეუმჩნეველი არ დარჩენია ჩვენს ძლიერ, ახლო თუ შორეულ მეზობლებს, ჩვენს მოსისხლე მტრებს, ამიტომ ძალით თუ ნებით ჩვენს ახალგაზრდობას, ათასობით და ათი ათასობით ერეკებოდნენ შედარებით დაბალი განვითარების ქვეყნებში, მათი ჯიშობრივი ხარისხის გასაუმჯობესებლად! ასე იყო საბერძნეთში, რომში, ოსმალეთში, სპარსეთში და ბოლოს ქართული ელიტის ბაგრატიონებისა და სხვა დიდგვაროვანი თავადების გადასახლება პეტერბურგში იმპერატორთა სასახლეში. უამრავი დოკუმენტური მასალებია ოფიციალურად გამოქვეყნებული რუსეთის იმპერიის დიდი იმპერატორის, პეტრე დიდის მამით ქართველობაზე.

სწორედ, საქართველოს შესუსტებას და სხვა ქვეყნების გაძლიერებას ემსახურებოდა მონღოლი ურდოების მიერ საქართველოს დაშლა კუთხეებად და მათ შორის მიმდინარე კონფლიქტები, რამაც ხელი შეუწყო **„ტყვეთა სყიდვას"**, და ერი გადაშენების ზღვარამდე მიიყვანა. ეს უდიდესი ტრაგედია იყო ქართველი ერისათვის. როგორც ზემოთ ითქვა ტყვეებად იტაცებდნენ რჩეულებს, ერის გენოფონდს. ა. თვარაძის გამოკვლევების საფუძველზე მე-13 საუკუნის შუა ხანიდან, მეცხრამეტე საუკუნისათვის საქართველოს მოსახლეობა ერთ მილიონზე ნაკლები გახდა (იყო 5 მილიონი), ოჯახებმა თავისი მრავალმხრივი, ტრადიციული მნიშვნელობა დაკარგა, რადგან ისინი ყაჩაღების ყოველდღიური თავდასხმის მოლოდინის შიშით ნახევრად ხიზნურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამ პერიოდში საქართველოს კუთხეებიდან – ქართლ-კახეთიდან, გურია-სამეგრელოდან და აფხაზეთიდან ყოველწლიურად 10-12 ათასი ტყვე გაჰყავდათ. როგორც ისტორიული წყაროებიდან ცნობილია მე-16 საუკუნეში მამლუქთა უმეტესება **„გურჯები"** იყვნენ, რომელთა მრისხანე გაერთიანება თავზარს სცემდა ტუნისს, ლიბიას, სუდანს, ეთიოპიას, ეგვიპტეს, იორდანიას, სირიას და სხვა.

საბოლოოდ, ღვთის წყალობით, ქართველი ერი და მისი სული და გული, მისი ძლიერების წყარო, ოჯახები გადარჩა, მას მოუსწრო გასაბჭოებამ. მე სრულებითაც არ ვაპირებ სისტემის ავ-კარგიანობაზე საუბარს, მაგრამ მე იმას ვაფასებ და ვადიდებ, როცა ჩემი ხალხი იზრდება, მრავლდება, ლამაზდება და ძლიერდება.

მე გასული საუკუნის 50-იან წლებიდან მოვსწრებივარ მთელს საქართველოში აღორძინებულ სოფლებს, დამშვენებულს კეთილმოწყობილი გზებით, ხიდებით, სკოლებით, კინოთეატრებით, კლინიკური ლაბორატორიებითა და საავადმყოფოებით, ორსართულიანი სახლებითა და საკუთარი ავტომანქანებით, რაც მთავარია საკუთარ მამულში უშიშარი ცხოვრებით. იმ რაღაც 70 წელში საქართველოს მოსახლეობამ 5 მილიონს მიაღწია. მათ შორის ქართველი 3 მილიონ 700 ათასამდე იყო.

ყველაზე რთული და უბედური დრო დადგა საბჭოთა სისტემის ნგრევის შემდეგ, რომლის სისრულეში მოყვანა ქართველმა პატრიოტებმა იდვეს საკუთარ თავზე. სამაგიეროდ **„დიდი იმპერიის დაშლა"** ვერ შევძელით, მაგრამ პატარა, ჭრილობებმოშუშებული საქართველო ხელსა და თვალშუა ნაფლეთებად გვიქციეს, ნახევარ მილიონამდე ქართველი დევნილად იქცა თავის ქვეყანაში, ქალაქისა და სოფლის საკმაოდ მდიდარი მოსახლეობის 85% სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა, ასევე გაჩანაგდა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური დარგები, რომლებიც ერთიანი სისტემის დიდი ჯაჭვის ცალკეულ რგოლებს წარმოადგენდა. უმწვავეს სიტუაციაში აღმოჩნდა ქვეყნის დემოგრაფიული პორტრეტი, რის აღდგენას სახელმწიფოს დიდი კომპლექსური ძალისხმევა დასჭირდება. ეკონომიკის ნგრევამ, რესპუბლიკაში **„დიდი პოლიტიკოსისა და დიდი პატრიოტის"** ერთან დაპირისპირებამ, ქართველი ხალხის გახლეჩვამ, ვნახეთ თუ რა დიდი ზარალი მიაყენა ჩვენს აწყობილ ქვეყანას.

**სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**
**სიმონ ზაქარაია,**
**ბოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,**
**ონერი ძაძუა,**
**სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,**
**კლიმენტი კიკალიშვილი**

*(დასასრული შემდეგ ნომერში)*

# "ელდარ რიაზანოვთან ერთად ეპოქა დასრულდა..." – როგორ იხსენებენ ცნობილ კინორეჟისორს



*"ძალიან უყვარდა ქართველები და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის უმძიმეს პერიოდშიც კი თავის სათქმელს ამბობდა"*

**"ხელოვნების სფერომ უდიდესი მაესტრო დაკარგა, მე – მეგობარი, საზოგადოებამ კი ადამიანი, რომელიც კინოშედევრებს ქმნიდა"**, – ასე ეხმიანება მსახიობი ოლეგ ბასილაშვილი ცნობილი კინორეჟისორის, ელდარ რიაზანოვის გარდაცვალებას. ის, 89 წლის ასაკში, მოსკოვის ერთ-ერთ კლინიკაში გულის უკმარისობით გარდაიცვალა. რეჟისორის 30-მდე ფილმს შორისაა, ყველასთვის ცნობილი და საყვარელი **"ბედის ირონია"**, **"სამსახურებრივი რომანი"**, **"გარაჟი"** და კიდევ არაერთი კინოშედევრი, რომლებმაც ელდარ რიაზანოვს საყოველთაო აღიარება მოუტანა...

როგორც ცნობილია, თავის კინოშედევრებში ის არ ერიდებოდა კომუნისტური რეჟიმის ღიად ქილიკსა და თანამედროვე რუსეთის კრიტიკასაც...

ჟურნალისტი მსახიობ **ოლეგ ბასილაშვილს** დაუკავშირდა:

– რიაზანოვთან ერთად კინემატოგრაფიის მთელი ეპოქა წავიდა... ძალიან დამწუხრებული ვარ ამ ტრაგედიით, მაგრამ ძალიან მიხარია თბილისიდან ზარი, ეს ნიშნავს, რომ ის და მისი ფილმები ახსოვთ და უყვართ საქართველოშიც. ეს ძალიან სასიამოვნოა. გამოდის, რომ ადამიანურმა ურთიერთობებმა ბევრ სირთულეს გაუძლო. საბჭოთა წლებში ელდარ რიაზანოვსა და საქართველოში მოღვაწე ქართველ რეჟისორებს ბევრი რამ აკავშირებდათ. დარწმუნებული ვარ, მისი ნიჭის ქართველ თაყვანისმცემლებსაც დასწყვიტა გული, რადგან ჭეშმარიტი ხელოვნება ეროვნებასა და პოლიტიკას არ ცნობს... მისი ფილმები ხალასი, ადამიანური ურთიერთობებით, სიკეთით, სიყვარულითა და რაც მთავარია, იუმორით არის სავსე.

შემოდგომაზე ელდარი ძალიან ცუდად გამოიყურებოდა, მაგრამ მაინც ვიმედოვნებდი, რომ გამოძვრებოდა... მისი წასვლა ჩემთვის უდიდესი ტრაგედიაა, რადგან დავკარგე მეგობარი, ხელოვანი, მაესტრო, ვისგანაც მუდმივად რაღაცის სწავლა შეიძლებოდა... იცით, ფილმებში ადრეც ვმონაწილეობდი, მაგრამ მას შემდეგ, რაც რიაზანოვის გადასაღებ მოედანზე აღმოვჩნდი, ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა...

მან შექმნა კინემატოგრაფიის უმდიდრესი ეპოქა, რომელსაც თავისი გასაოცარი ნიჭით სრულყოფდა. ჩვენ წლების განმავლობაში ვმეგობრობდით, მასთან საუკეთესო წლები მაკავშირებს. ბოლო დროს ავადმყოფობდა და ხშირად ვსტუმრობდი ოჯახში, სადაც მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა. ბევრ რამეზე ვსაუბრობდით, ყოველთვის მხიბლავდა და მაოცებდა თავისი გონებამახვილობით, განსხვავებული ხედვითა და ღრმა ანალიზის უნარით. მძიმედ განვიცდიდი, რომ ყოველდღე სულ უფრო ცუდად გრძნობდა თავს, მაგრამ მაინც არ მეგონა, ასე მალე თუ დაგვტოვებდა. ძალიან მტკივა გული მისი წასვლით, მაგრამ თავს იმით ვიმხნევებ, რომ მისი ფილმები უკვდავია და მაყურებლის სიყვარულს შეინარჩუნებს.

**ბაადურ წულაძე, მსახიობი, კინორეჟისორი:**

– მე მასთან არ მითამაშია, მაგრამ ძალიან თბილი ურთიერთობა გვქონდა. ძალიან უყვარდა ქართველები... მაშინ, როდესაც ბევრი ჩუმად იყო და კოჭს უგორებდა ხელისუფალს, ის თავის სათქმელს ამბობდა და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ხელისუფლებას. მუდამ გამოხატავდა მხარდაჭერას და პატივისცემას საქართველოს მიმართ. ეს იყო მისი, როგორც ხელოვანის იარაღი. იგი არავის კრიტიკას არ ერიდებოდა – ერთხელ მიწასთან გაასწორა ნიკიტა მიხალკოვი და მისი თანამოაზრეები...

**– ბოლო პერიოდში თუ გქონდათ მასთან ურთიერთობა?**

– ბოლოს რამდენიმე წლის წინ ვნახე. საქართველოში იყო ჩამოსული, რეზო გაბრიაძემ თეატრის კოშკი რომ გახსნა, მაშინ... ძალიან გამიხარდა მის დანახვა და ისიც ძალიან ბედნიერი იყო, საქართველოში სტუმრობით. მაშინ რუსული ფილმების ფორუმიც იყო... ელდარ რიაზანოვი ქართულ ფილმებზე, კინემატოგრაფიაზე უპირობოდ შეყვარებული იყო, ქართულ ნიჭს გენიას უწოდებდა. ელდარი ძალიან პატიოსანი, სამართლიანი და ნიჭიერი, თავისი საქმის უბადლო ოსტატი იყო. პოლიტიკაში არასდროს ყოფილა, მაგრამ სიმართლის თქმას არასდროს ერიდებოდა. საწყენია, რომ კინოხელოვნებას ასეთი მეტრები სტოვებენ.

**ლალი პაპასკირი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაცობრიობის პირველი ენა

*(გაგრძელება "ილორის" წინა ნომრიდან)*

მაშინ ბევრი რამ იქნა ამოშლილი ქართლის რეალობიდან, კოლხების ღვაწლის შესახებ, საფუძველი დაედო ანტიკოლხურ იდეოლოგიასა და მეგრელთა დევნასა და სიძულვილს (რაც დღემდე გრძელდება), რის გამოც სომეხი ერი მონოფიზიტურ ერესში გადავარდა, მათი მოდგმა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიფანტა და საუკუნეების მანძილზე სამეფო დინასტია არ ჰყოლიათ. სპარსეთი მომდევნო საუკუნეში არაბებმა გაამუსულმანეს და თითქმის ნახევრად არაბიზირება განიცადეს. შემდეგ თურქული მოდგმის შემოსევებმა თავისი კვალი დატოვეს, როგორც ირანელი ისე სომეხი ერის იერსახეზე. ირანულ-სომხურ-ალანურ ინდოევროპული წამოშობის ნათესავთა ზეწოლამ განაპირობა აიელთა იგივე კოლხთა ისტორიული ღვაწლის შეუფასებლობა, კოლხური გონის დამცრობა და მათი დამსახურების მითვისება. თარგამოსიანთა და ნებროიანთა დაპირისპირება **„ქართლის ცხოვრებაშია"** აღწერილი. თავის დროზე არმენული კულტურის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულეს ძველმა აიელებმა (იბერებმა). შემთხვევით კი არ ერქვა სომხეთს ჰაიასტანი (აიასტანი). ირანული და ინდური უძველესი კულტურის საფუძველიც ჩვენი ნათესავის მიერ ჩაყრილი საძირკველი იყო. ბუნებაში არსებობს ოთხი სტიქია: წყალი, მიწა, ცეცხლი და ჰაერი. ყველა სტიქია სიმბოლურად თავის ნიშან-თვისებას შეიცავს: წყალს ინტუიციასა და ემოციურობას მიაწერენ, მიწა სტაბილურობისა და მდგრადობის სიმბოლოა, ცეცხლი – ნებისყოფის, ჰაერი – ინტელექტის. წყალი და მიწა მდედრობითი ნიშნის მატარებელია, ხოლო დანარჩენები მამრობითისა. ეგვიპტელები ჩვენს ნათესავს ზღვის ხალხს უწოდებდნენ. მესეფნი წყლის ღვთაებებად იწოდებოდნენ. ქალი მესეფი წყლის დედაა. ისინი ზღვისა და ოკეანის მიუვალ ადგილებში ცხოვრობდნენ.

ჩვენს ნათესავს, როდესაც მსოფლიოში წამყვანი როლი ეკავა, მაშინდელი ცივილიზაციების ნიშან-თვისება ინტუიციურობაში და ნათელმხილველობაში მდგომარეობდა. შემდგომში ჩვენივე ხალხიდან გამოსულმა ინდოევროპულმა რასამ, ცეცხლი და და ჰაერის სტიქიების ნიშანთვისებების მატარებელმა მოდგმამ, ჩვენივე დახმარებითა და ხელმძღვანელობით ნებელობისა და განსჯითი აზროვნების ცივილიზაციები შექმნა. მათი მანათობელნი ჩვენგან გამოსული ხვითოები იყვნენ, რომლებიც სხვა ქვეყნის სამსახურში დგებოდნენ. მომხდარი დაპირისპირების დროს დეკადანსი განიცადეს, რაც დღემდე მოდის.

ბგერათა დისიმილაციით **ბ** გადადის **პ**-ში, ამიტომ შეიძლება იბერია (ბერი) გამოითქმოდეს როგორც იპერია (პერი). ასეთი შემთხვევა იბერთა წარსულში პირველობას შეიძლება აღნიშნავდეს. არის ასეთი დისიმილაცია იბერია-იპერია. იბერია მოგვიანებით იწოდებოდა ივერიად (ბ და ვ-ს შენაცვლების გამო) შდრ: ბიქტორი და ვიქტორი, ბასილი და ვასილი. ასეთი ბგერითი სახეცვლილებებიდან ბევრი საიდუმლოს ამოხსნა შეიძლება.

სიბრძნის დედაღერძი და საყრდენი ინტუიციურობაში გამოიხატება. სულიერება უინტუიციოდ წამოუდგენელია. იყო შემთხვევა, როცა პირველი ქრისტიანები ქრისტე ღმერთს თევზის სახით გამოსახავდნენ და ამავე სახელითაც იხსენიებდნენ. მეგრულში **„მაცხოვარი"** ასე გამოითქმის: **„მაჩხონაფალი"** (ქართ. თევზი, მეგრ. ჩხომი) ორივე სიტყვის ფუძეა ჩხონაფა ე.ი. ცხონება. თევზი წყალში ცურავს. მისტიური მნიშვნელობით ინტუიციის სფეროში. მორწმუნენი ღმერთს თხოვენ წყალობას, შეწყალებას. არის ასეთი გამოთქმა: **„ღმერთი ჩვენი მწყალობელი"**. ყველა ამ სიტყვის ძირია წყალი. ე.ი. სულიერი წყალი (იხ. მეგრული ჭყოლოფუა, რისი ძირიც წყალთანაა კავშირში (ჭყარი-წყარი-წყალი) ხალხში იტყვიან წყლის ძალა მოგცემოდესო ე.ი. უძლეველობა. ამდენად, კოლხური ნათესავი სულიერების მქონე ხალხი იყო... ღმერთი სამყაროს შემოქმედი, თვითონ სულია და მის მიერ შექმნილი კაცობრიობაც თავდაპირველად სულიერების მქონე იქნებოდა.

აიელები ანუ კოლხები, იბერები, კარდუხები, მაკრონები, ტიბარენები, ხალიბები, კაბადოკიელები, ეტრუსკები, პელაზგები, დასავლეთ-იბერიელები, ბერბერების წინაპრები, ძველი სპარსეთის, ძველი ინდოეთის, პალესტინისა და სხვა ადგილების ძირძველი მოსახლეობა მეგრელ-კოლხების წინაპრები იყვნენ, მათი პირდაპირი შთამომავალია დღევანდელი მეგრული ენა, რომელიც დიდი სულიერი კულტურის ნაწილია. შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ნაწილი, რადგან სვანური და ქართული ენებიც წინარე აიურის შთამომავლები არიან.

დღევანდელ მეცნიერებაში არის დავა იმის შესახებ, არის თუ არა მეგრული ენა, თუ ის მხოლოდ დიალექტია. დიდი მეცნიერი ალ. ხახანაშვილი წერს: **„საჭიროა მიეცეს მეგრულ ენას შესაფერისი ადგილი ქართულ მწერლობაში."** (გაზეთი **„ივერია"**, 1889 წ. ნომ. 227, გვ. 3-4). იოსებ ყიფშიძის ნაშრომთა რიცხვს მიეკუთვნება წიგნი „грамматика мингрельского – иверского языка". ნიკო მარს აქვს დაწერილი „грамматика мингрельского – лазского языка". შ. ბერიძის **„მეგრული (ივერიული) ენა, შესავალი და მასალები"** (პირველი წიგნის პირველი ნაკვეთი. 1920წ.), ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის წიგნში **„ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონი"** – მეგრული და ლაზური დამოუკიდებელ ენებადაა მიჩნეული. გ. ახვლედიანისა და გ. ნებიერიძის **„ენათმეცნიერების შესწავლის საკითხებში"** მეგრული და ჭანური ენები ცალკე ენებადაა მიჩნეული.

ზემოთ აღნიშნული ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ მეგრული ენაა და არა დიალექტი. წინარეკოლხურს ყველაზე ადრე სვანური ენა გამოეყო. კიმერიელების გამანადგურებელი ლაშქრობის წინარე პერიოდში კოლხების ნაწილი მთებში გაიხიზნა და საერთო ოჯახიდან სვანები გამოეყვნენ. როგორც აღვნიშნეთ, სიტყვა სვანმა სახეცვლილება განიცადა: შან-შუან-შვან-სვან. შანი-მ კი შემდგომ საუკუნეებში ენის დაკნინებასთან ერთად ასეთი ცვლილება განიცადა: შანი-სანი-ჭანი. მიხაკო წერეთელი თავის წიგნში **„ერი და კაცობრიობა"** აღნიშნავს: ქართულ შტოს ეკუთვნოდნენ მესხნი, ტაოხნი, ჯავახნი, კახნი და სხვანი. დაბოლოება ხი ლინგვისტურად კუთვნილების აღმნიშვნელია. ბიბლიური თაბალი და თუბალიდან წარმომდგარი ხალხი მეგრულ-ჭანური ქართული შტოს ხალხი იყო. სომხეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდა მეგრულ-ლაზური ტომი, რომელსაც ერქვა კარდუხი, რაც ქარდუხს უდრის. ამ **„ქართუდან"** (მეგრ. ქართუ) **წარმოდგა სიტყვა ქართველი,"** (გვ.228). კოლხურ-არმენულ კულტურას ნაზიარებმა ქართებმა ქრისტიანობის ხანაში შექმნეს ბრწყინვალე ქართული კულტურა, რომლის უმთავრესი განმანათლებლები კოლხები იყვნენ. ქართული მენტალიტეტი დახვეწილი და ამაღლებული უბრალოების აპოთეოზია, რითაც იკვებებოდა ქართული პოეზია, პროზა, მუსიკა და სულიერი ცხოვრების სხვადასხვა სფერო. ეს უდაოდ უძველესი კოლხურ – მეგრული გენეტიკური შთამომავლობის გამოძახილია.

ძველი აია იყო დიდი მისტიკურ-მაგიური ცენტრი: აქ ტარდებოდა სხვადასხვა მისტერია. მისი სულიერი სიბრძნე ენათესავებოდა ეგვიპტის ქურუმთა სიბრძნეს.

ეგვიპტელთა განმანათლებლად და დამწერლობის მიმცემად ითვლებოდა ატლანტიდური წარმოშობის ღვთაება ტოტი (კოლხურად ნიშნავს მთვარეს ტოტ -ტუტ -თუთ -თუთა). პარალელურად არსებობს აიური სიტყვები: ტოტია, ტოტიკა, ტოტოჩია, ტატო, ტატაჩი, თუთა, თუთაშხა, თუთაბერი და ა.შ. აიური მისტერიები, განსხვავებით ეგვიპტურისგან, მცენარეულ სამყაროსთან, ბუნებასთან იყო შერწყმული. ეგვიპტეში ხუროთმოძღვრება იყო განვითარებული. ორივე ცივილიზაციის შემქმნელი პროტოაიელები იყვნენ, რომლებიც უძველესი ატლანტიდის შემქმნელთა პირდაპირი ნათესავები არიან.

კოლხეთში გავრცელებული იყო ფალოსის კულტი (მამაკაცური საწყისის) ასკეტური თაყვანისცემა. აიაში იყო ჩაგუნას კულტი, რომელიც მეტი მოკრძალებით იყო. დიონისეს კულტი ჩაგუნას კულტიდან გამომდინარეობდა. შესაძლებელია ჩაგუნას კულტის ტრადიციების ერთგვარი გაგრძელებაა დიონისური ორგიები, ოღონდ უარყოფითი გამოვლინებით. ქუთაისი (ქუთეში) წარმოადგენს ღვთის ქალაქს ხუტაშ-ხუტეშ-ქუთეშ-ქუთაისი) და ის დაკავშირებულია ღვთაება – ფალოსის კულტთან. ქუთა, კუტა ფალოსის ერთ-ერთი სახელწოდებაა. ქუთა(თი)სი კი ქუთას კუთვნილს, ოჯახს ნიშნავს. ქუთა მამაკაცის სახელი იყო ძველ აიაში და შემდგომ საუკუნეებშიც. **„თი"** მეგრულში ნიშნავს კუთვნილს, სახლობას, სახლსაც. თი დაბოლოება საკმაოდაა გავრცელებული კოლხურ ტოპონიმებში: გეგუთი, გელათი, ზანათი და ა. შ. კავკასიის მთიანეთში თუშ-ფშავ-ხევსურეთხევში, ქისტეთში ერთ დროს კოლხური მოსახლეობა იყო განფენილი. ამის შესახებ რამდენიმე ზეპირი გადმოცემა არსებობს, აგრეთვე რამდენიმე ტოპონიმიკა და ონომასტიკაც ამაზე მეტყველებს. არგ-უნის ხეობაში მცხოვრები მალხები ანუ ქისტები კოლხეთიდან გადმოსახლებულად ითვლებიან. ასევე ოსურ გვარებს **„თი"** დაბოლოება აქვთ. მაგალითად: ხარებათი, ხეთაგათი, პუხაითი და ა. შ. ქართველთა ხელით განხორციელებულ ბერძნულ იმპერიალისტურ განზრახვამდე (გათიშე და იბატონე) მთელი კავკასია ერთიან კოლხურ ოჯახს წარმოადგენდა.

ალექსანდრე დიუმა (მამა) თავის წიგნ **„კავკასიის"** შესავალში წერს, რომ მითიური გმირი ამირანი მიჯაჭვული იყო მყინვარწვერზე. დღეს კოლხეთი, ამირანთან ერთად მიჯაჭვული ხალხთა კონგლომერეტია.

ჩვენი ნათესავი გულში სიძულვილის დაბუდებისა, ქსენოფობიისა, პროვინციალიზმისა, რელიგიური აგრესიისა და ქვეწარმავლური ხასიათიდან გამომდინარე კარგავდა ტერიტორიებს, ის მიეჯაჭვა კავკასიას, საიდანაც ერთ დროს კაცობრიობის გენეზისი ხდებოდა (განსაკუთრებით წარღვნის შემდგომი პერიოდი). ამ ტერიტორიაზე შეიქმნა წინარეკაცობრიობის ბოლო დიდი სამეფო ძველი აიას სახით, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა მთელს კავკასიაში და მის ფარგლებს გარეთაც. თავდაპირველად მეფე აიეტი კუნძულ ევბეაზე (კორინთოზე) ცხოვრობდა. ინდოევროპული მომთაბარე ბერძნული ტომების შემოჭრისას მან დატოვა თავისი ხალხით დღევანდელი საბერძნეთის ტერიტორია და საცხოვრებლად გადმოვიდა აია – კოლხეთში, სადაც ჩვენი მოდგმის მოსახლეობა იყო. შეიქმნა აიას სამეფო, რომელიც წყაროებში აიური წამოშობის ტერმინით კოლხიდად იწოდებოდა. აია შეიქმნა სხვადასხვა ტერიტორიიდან ჩამოსული აიური – კოლხური მოსახლეობიდან. ეს ტერიტორიებია: მცირე აზია, ელადა, ეგვიპტე, პირინეის იბერია და ა.შ.

მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა აიეტის სატახტო ქალაქ აია თუ ეას, ჰეკატეს ბაღისა და არესის ჭალის მდებარეობის შესახებ (სადაც მუხაზე სიმბოლურად ოქროს საწმისი იყო ჩამოკიდებული). აქვე ცხოვრობდა სულიერი ოქროს მომპოვებელი უსახელო ბრძენი, რომელიც ელინიზებულმა პელაზგებმა აიელთა ნათესავებმა და ელინებმა გაიყვანეს მედეას დახმარებით. უძველესი მისტერიული სიბრძნე იმდენად უსახელო იყო, რომ ბერძენ ავტორებთან სიმბოლიზებული ოქროს საწმისის სახით. ჰეკატეს ბაღში და არესის ჭალაში ტარდებოდა მისტერიები, რომელიც ემსახურებოდა ადამიანის ინტუიციურ აღმავლობას. ჰეკატეს ბაღი მდინარე რიონის მარცხენა მხარეს, მდინარე აბაშის (აფშა) ქვემო წელთან მდებარეობდა არესის ჭალის ცენტრი (ე.წ. ოქროს საწმისის მუხა). არესის ჭალა უფრო ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა (უმთავრესად მდინარე აბაშას, ცხენწყალსა (ცხენწყარ – **hipius**) და ტეხურს შორის არსებულ ადგილს).

ზოგიერთები ვარაუდობენ რომ დღევანდელი ქუთაისის ადგილას იყო აია, მაგრამ იმ დროს ქუთაისი არ იყო კოლხეთის ცენტრი (იგულისხმება მეფე აიეტის დროინდელი კოლხა). შემდეგი საუკუნეების შესახებ ივანე ჯავახიშვილი წერს: **„ყურადღების ღირსია, რომ მაშინ ქუთაისი ჯერ არ ითვლებოდა კოლხეთის დედაქალაქად და მარტო ციხე ყოფილა. ცნობილი იყო კოლხეთის პირველი და უდიდესი ქალაქი არქეოპოლისი. როგორც ჩანს, ქუთაისად შემდგომი საუკუნეებში უქცევიათ"** (თხზულებათა 1 ტომი, გვ. 314 - 315). ზოგი მეცნიერი **აიას** არსებობას ვარაუდობს ფოთისა და ვანის ტერიტორიებზე. შესაძლებელია **აიას** სახელმწიფოში რამდენიმე მისტერიული დანიშნულების **აია** – ქალაქი არსებულიყო...

მკვლევარი ამბროსი კილასონია (იხ. ჟურნალი **„აიას"** მე-9, მე-10 ნომერში გვ. 62. ნაშრომი **„კოლხეთი სამი ათასი წლის წინათ – აიეტის მეფობის ხანა"**) წერს რომ ქალაქი აია, სადაც მეფე აიეტი ცხოვრობდა იყო ისულა, ადგილი სადაც მდინარე ტეხური უერთდება რიონს. პლინიუსი და სტეფანე ბიზანტიელი, ბერძენი ავტორები, წერდნენ, რომ აია მდებარეობდა მდინარე ფაზისის ნაპირას. ფსევდო სკილაქს კარიადელის **„პერიპლუსში"** აღნიშნულია: **„ზღვიდან მდინარე ფაზისის გაყოლებით 180 სტადიონის მანძილზე მდებარეობს დიდი ქალაქი, სადაც იყო მედეა."** (180 სტადიონი უდრის 34 კილომეტრს). ეს მანძილი ემთხვევა აბაშის რაიონის სოფელ კეთილარის მიდამოებს. მე-20 საუკუნის 70 -80-იან წლებში ნამარნუს მიდამოებში მიმდინარეობდა არქეოლოგიური გათხრები. შემდეგში ეს მეცნიერული კვლევა დროებით შეწყდა. არქეოლოგთა აზრით, სოფ. კეთილართან არსებული ეგრეთწოდებული **„ნამარნუს ქალაქი"** 40 საუკუნეს ითვლის. იგი ძველი წელთაღრიცხვით მე-7 საუკუნეში გადამწვარა. **„ოქროს საწმისის"** მითში აპოლონიოს როდოსელთან და სხვა ავტორებთან მითითებულია, რომ **„ქალაქ აიასთან, მდინარე ფაზისის მარცხენა მხარეს, იყო ჰეკატეს ბაღი, სადაც სამკურნალო მცენარეებს აგროვებდა მედეა და არესის ჭალა, სადაც მუხაზე „ოქროს საწმისი" სიმბოლურად ეკიდა, თავისი საკრალური მნიშვნელობით".**

წინარეკოლხური ლაზარეს ენაა. მინდა მოკლე მიმოხილვა გავაკეთო ლაზარეს ენის შესახებ, ენაში მთელი ერი იგულისხმება და მისი სულიერება კაცობრიობის წარღვნამდელი და წარღვნის შემდეგ ცნობილი თუ უცნობი ცივილიზაციები ბაბილონის გოდოლამდე, ენათა აღრევის შემდეგაც დიდი ხნის მანძილზე (პროტოაიური ენის დაქვეითებამდე, რომელიც დაახლოებით 40 საუკუნის წინათ დაიწყო) ერთ ენაზე მეტყველებდა. მსოფლიოს ერთი ენა წარმართავდა. ბაბილონის გოდოლის შემდეგ სხვა ენებიც არსებობდა, მაგრამ მთავარი ენა, რომელსაც ჩვენ პირობითად პროტოაიურს ვუწოდებთ მისტერიებისა და ინიციაციების დიდ სულიერებას ატარებდა, ცუდი გულისთქმების გამო კავკასიონს მიეჯაჭვა. პროტოაიურმა მოდგმამ თავისი დიდი მისტიკური ცოდნა ძველი აიის სამეფოში შემოინახა. საიდანაც სიმბოლურად ოქროს საწმისის სახით იქნა გადატანილი დიდი ზოგადსაკაცობრიო ცოდნა, რომლის საფუძველიც წარღვნამდელ ცივილიზაციებიდან მოდის. აიელებიდან ბერძნებმა ევროპას გადასცეს ეს ცოდნა, ევროპიდან კი მსოფლიოში გავრცელდა, რითაც დღემდე სარგებლობს კაცობრიობა. გამოდის რომ ისტორიული კოლხეთის ცენტრალური ადგილები და მისი მიმდებარე ტერიტორიები იყო კაცობრიობის თავისებური სამშობლო... მაგალითისთვის ერთ-ერთი მდინარის სახელწოდება აბაშისაგან მივიღებთ აბშას ანუ აფშას. აფშა აიურად სრულ სისავსეს ნიშნავს, ხოლო ეფშა გარკვეული ადგილის სისავსეს. აფშადან მოდის სახელწოდებები: აფშილი, აბაზგი, აფსუა, აფხაზი... მეფე აიეტის ძის, აფსირტეს (აფშირტე) სისავსის ძეს ნიშნავს. **Все, общий** იგივე ფშოა. რაც აფშადან მომდინარეობს.

ძველი აიურის შედარებით დღევანდელობასთან, აღმოვაჩენთ ბევრ მსგავსებას ძველსა და ახალ ენებში. მოვიყვან მაგალითებს: ძველი ეგვიპტის ქალაქ მემფისის სახელწოდება ეგვიპტურად ჟღერდა ასე – ხეთკუპთხა. ვეზირის თანამდებობას წათი ერქვა, ხოლო ხეოფსის პირამიდა ხუფუს პირამიდა. (ჟურნ. **„აია"** 11, გვ. 23). სამივე ეს სიტყვა ჟღერს აიურად და შეიძლება მისი განმარტება ამ ენაში ვეძიოთ. შუმერული ღვთაება ენქიდან მომდინარეობს მეგრული ქიანა. ურარტუში იყო სიტყვები: სერ, ქურ, ჩილ (იხ. გ. მელიქიშვილის **„ურარტუ"**, გვ.144), რომლებიც დღევანდელ მეგრულშიცაა. ურარტუელ თუ მეზობელ ხალხთა ღვთაებების, ადამიანთა თუ გეოგრაფიული პუნქტების სახელებში ხშირად ფიგურირებდა ია და აია დაბოლოებები: ჰაია, კაბადოკია, ფრიგია, კაკია და ა. შ. ძველ სომხურში ბევრი აიური სიტყვა იყო, რაც დღევანდელ სომხურშიც იხმარება. მაგალითად: ჭანჯი, გორდი, ლაკუტი (ლაკვი), აკანი... ბერძნულში ბევრია აიური წარმოშობის სიტყვა. ელინურში გვაქვს ხორონი, რაც სოფელს ნიშნავს. ონ დაბოლოება მეგრულში კრებით სახელებს აღნიშნავს: ტყალონი, სკალონი და ა. შ. ირინეოს ელინურად აღნიშნავს მშვიდობას. აიურად მისი ძირია ირ რინა ან ირიათო რინა, რაც ქართულად ყოფნას, მარადიულ ყოფნას ნიშნავს. ელინურად სიტყვა ღმერთი გამოითქმის როგორც თეოს (**deos** – ლათ.), ოთეოს. აიურში – თე, თეა, თეუშ, ლაზურში – თე. ღმერთი სინათლის წყაროა. ის არის ყველაზე დიდი ნათელი. ასე რომ **ო** თავსართიანი ოთეოს სასინათლეს ნიშნავს. ლათინური რეალის ძირი აიურ რეს ე. ი. ყოფნას, არსებულს უკავშირდება. უნია, იგივე აიური ონია შეკრებას, კავშირს ნიშნავს. ბონ სიტყვიდან მომდინარეობს მიმართვები: ბონჟურ, ბონჯორნო, ბონსუარ. ბონ აიურში სწორს, კარგს, გამართულს ნიშნავს. გავიხსენოთ ბონუა, რაც განბანვას ნიშნავს.

**მალხაზ გრიგოლია**

# საქართველოს სულიერ–რელიგიური მდგომარეობა

**„ქართველი ხალხი სამართლიანობის აღდგენას მოითხოვს ანუ მას ქრისტეს მეორედ მოსვლა სურს. აი, რა უნდა ქართველ ხალხს ქვეცნობიერად.“**
**მ. ქართველი**

მიუხედავად საგაზეთო სტატიის სიმცირისა, შეძლებისდაგვარად შევეცდები ავხსნა დედამიწაზე არსებული კაცობრიობის ჩამოყალიბება, მიმდინარე ცივილიზაციის ისტორია მეცნიერული რელიგიის თვალსაზრისით.

მსოფლიო ხალხთა სადიდებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს თანამედროვეობას, ჩვენს გარშემო არსებული უსასრულო კოსმოსისა და თავისი თავის შესაცნობად წინაპართაგან მიეცა ღვთაებრივი ცნობიერებით შექმნილი **„ბიბლია და სახარება“** (ძველი და ახალი აღთქმა).

მიწიერი ადამიანის სულიერი უმწიფრობიდან გამომდინარე წერილის შინაარსი შეიძლება მკითხველმა ვერ გაიზიაროს, მაგრამ ადამიანი, თუნდაც ათჯერ პროფესორი და აკადემიკოსი, ძველი და ახალი აღთქმის ინფორმაციას ვერ (არ) მიიღებს, თუ ციდან (მამა ღმერთისგან) არა აქვს მოცემული შესაბამისი სულიერი სიმწიფის ხარისხი.

სწორედ ამ ხარისხის მატარებელ ადამიანთათვის არის მსგავსი შინაარსის წერილები, რომელთა ავტორებიც მსოფლიო მასშტაბით პირველად კავკასიის არეალში შეიმჩნევიან, კერძოდ ლაზ-იბერთა ეთნოსის მქონე თანამედროვე საქართველოში.

ღვთაებრივი ბიბლიის პირველსავე თავში მოცემულია დედამიწაზე არსებული კაცობრიობის ჩამოყალიბების სრული დეტალური ინფორმაცია:

**„ბნელი იყო უფკრულზე და სული ღვთისა იძროდა წყლებს ზემოთ“** (დაბ. 1,1).

ამ ფონზე, მზისა და დედამიწის კოსმიური აქტის, დროთა დისტანციური შუალედებით პირველი ცოცხალი კვერცხუჯრედიდან მილიარდწლიანი ევოლუციის შედეგად მიღებული რეალობაა არსებული თანამედროვე მსოფლიო, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, დაყოფილია შვიდ (7) გენეტიკურ-ხარისხობრივ ჯგუფად, რომელთა შორის დროთა დისტანციური შუალედი შეიცავს ოთხი ათას (4000) წელს, რომლის რეალობა მსოფლიო მეცნიერებაში აღიარებულ ფაქტს წარმოადგენს.

კაცობრიობის გენეტიკურ-ცნობიერი ხარისხის სისტემა გენეტიკური ხაზი

კავკასიური რასა გენეტიკური ხაზი – 4000 წ.

ინდო–ევროპული რასა გენეტიკური ხაზი – 8000 წ.

ინდო–აზიური რასა გენეტიკური ხაზი – 14000 წ.

მდაბიოთა კლასი გენეტიკური ხაზი – 16000 წ.

აგართა კლასი გენეტიკური ხაზი – 20000 წ.

ნახევრად ველური კლასი გენეტიკური ხაზი – 24000 წ

ველური კლასი – 28000 წ.

კავკასიური რასა ოთხი ათასი წლის მარაგით უსწრებს სხვა დანარჩენ ხალხებს, რასაც შეფარვით საიდუმლოს გვიცხადებს ბრძენი **„იოანე ზოსიმე“:**

**„და სახარებასა შინა ქართულსა და თავსა მათვისასა**
**წილი ზის, რომელი ასოჲ არს,**
**და იტყვის ყოვლად**
**ოთხი ათასსა მარაგსა“.**

**„მხოლოდ კავკასიის ხალხში აღწევს სული თავის აბსოლუტურ მთლიანობას, ერთიანობას საკუთარ თავთან, აბსოლუტურ დამოუკიდებლობას... აღწევს თვითგამორკვევას, თვითგანვითარებას და ამით წინ მიჰყავს მთელი მსოფლიო ისტორია. მსოფლიო ისტორიაში პროგრესი მხოლოდ კავკასიური რასის წყალობით ხდება”** – ჰეგელი (გონის ფილოსოფია გვ 61-64).

ბიბლიაში სამყაროს დასაბამად დაფიქსირებულია დრო დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობიდან.

მილიარდწლიანი დროის პერიოდში თანდათან იხვეწებოდა და ევოლუციას განიცდიდა დედამიწაზე არსებული ყოველივე, როგორც ფლორა-ფაუნათა განფენილობა, ასევე – ნ-რაოდენობით ადამიანთა მოდგმა.

საბოლოოდ ფიზიონომიითა და გარეგნობით შედარებით დახვეწილმა ადამიანმა შეძლო პრიმიტიული აზროვნება და მის გარშემო არსებულის დაკვირვება, რომელიც ბიბლიური ინფორმაციის მიხედვით ჩვენგან უკუ ათვლით სამასი ათასი (300.000) წლით ადრე იწყება და რომელიც 284 ათას წელს გრძელდებოდა, რომელიც დააგვირგვინა დედამიწაზე პირველი მარტივი რჯულის სახით პატრიარქმა **„ადამმა“,** ჩვენგან უკუ ათვლით თექვსმეტი (16) ათას წელს, რომლის მსოფლიო საგანმანათლებლო პროგრამის სრულმა ხანგრძლივობამ 930 წელს იარსება და ა.შ. (სრული ხანი ადამისა, რაც იცოცხლა, იყო ცხრას ოცდაათი წელი და მოკვდა) (დაბ.5,5).

ბიბლიის **„დაბადების“** თავში მოხსენიებულია ადამიდან ქრისტემდე ოცდაოთხი მსოფლიო განმანათლებელი ქურუმ პატრიარქები, მათ შორის აღსანიშნავია შვიდი (7) უდიდესი განმანათლებლები: 1 ადამი, 2 ნოე, 3 აბრაამი, 4 ისაკი, 5 იაკობი, 6 მოსე და 7 იესო ქრისტე. ადამიდან ქრისტემდე აღნიშნული პატრიარქების მიერ შექმნილი მსოფლიო საგანმანათლებლო პროგრამების დედამიწაზე არსებობის ხანგრძლივობის ვადებს და თუ დავაჯამებთ (როგორც ბიბლიაშია მოცემული), მივიღებთ თექვსმეტ (16) ათას წელს, ანუ ჩვენს თანამედროვეობას ადამამდე აშორებს თექვსმეტი (16) ათასი წელი. ამინ!

ბიბლიაში ალეგორიულ-ქარაგმული ჟანრში მოცემულია ღმერთის მიერ ადამის შექმნა:

**„თქვა უფალმა ღმერთმა: აჰა, გახდა ადამი როგორც ერთი ჩვენთაგანი, შემცნობელი კეთილისა და ბოროტისა.“** (დაბ. 2.22)

პატრიარქ ადამის მოღვაწეობიდან რვა ათასი წლის შემდგომ დედამიწას ევლინება პატრიარქი **„ნოე“,** რომელმაც მანამდე არსებული საგანმანათლებლო სისტემების რეფორმა-რეორგანიზაცია ჩაატარა, ახალი შექმნა და ამით საფუძველი დაუდო მსოფლიოში პირველ კლასიკურ რჯულს **„ეფუთის“** სახით, რომელიც ბიბლიაში მოცემულია შემდეგი მინიშნებით:

**„ამგვარი უნდა ააგო იგი: სიგრძით სამასი წყრთა იყოს კიდობანი, სიგანით – ორმოცდაათი წყრთა, სიმაღლით – 30 წყრთა.“**

სამას წყრთაში იგულისხმება კაცობრიობის განათლების სისტემის შესაქმისი ქრონოლოგიური მანძილი, სამასი ათას წლიანი სიგრძის მანძილზე, ორმოცდაათი სიგანით (ასომთავრული 40 ნიშნიანი სრულყოფილი დამწერლობა და 10 რიცხობრივი სისტემა) მოედინება მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემა, რომელსაც საბოლოოდ 30 წლის იესო ქრისტე დააგვირგვინებს.

**„თვით იესო როცა იწყებდა, იქნებოდა ოცდაათი წლისა.“** (ლუკ. 3.23)

პატრიარქ **„ნოე“**-დან ოთხი ათასი წლის შემდგომ მსოფლიოს ევლინება პატრიარქი **„აბრაამი“,** რომელმაც შეუქმნა მსოფლიოს გარკვეულ ხალხებს დამწერლობა და საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე პატრიარქმა აბრაამმა გასაიდუმლოვა (დამარხა) ქრისტეს მეორედ მოსვლამდე ლაზარე – ქართული ენა.

**„დამარხა აბრამმა სარა, თავისი ცოლი, მახველის მინიდვრის მღვიმეში, მამრეს გასწვრივ, ეს არის ხებრონი ქანაანის ქვეყნად.“** (დაბ. 24.19)

(დაინტერესებულ პირებს ვურჩევ წაიკითხონ აწ გარდაცვლილი მ. ქართველის ნაშრომები).

პატრიარქ აბრაამის მოღვაწეობის შემდგომ, დაახლოებით ორასწლიანი (200) ინტერვალით ევლინებიან ქვეყანას და მოღვაწეობენ ჯერ პატრიარქი **„ისააკი“,** შემდეგ კი პატრიარქი **„იაკობი“**, რომლებმაც მანამდე შექმნილი დამწერლობები და საგანმანათლებლო პროგრამები საბოლოოდ დახვეწეს და შეასწორეს, ისევე, როგორც მათმა წინამორბედებმა შექმნეს სხვა დანარჩენ მსოფლიოს ხალხთათვის საგანმანათლებლო სისტემები და დამწერლობები.

ქრისტეშობამდე დაახლოებით ათას სამასი (1300) წლით ადრე კაცობრიობას ევლინება რიგით მეექვსე პატრიარქი **„მოსე“,** რომელმაც თავიდან გადაწერა წმინდა წერილები, შექმნა და უსახსოვრა კაცობრიობას მეორე კლასიკური რჯული **„თორა“**. ასევე კაცობრიობას მისცა ამქვეყნიური, ცხოვრებისეული, ნორმირებული დოგმა **„ათი მცნების“** სახით.

მოსეს მოღვაწეობის დაახლოებით ათას ორასი წლის შემდგომ, დედამიწაზე ჩნდება ადამიანი, რომელიც მახარობელია ქვეყნად უფლის სასუფევლის მოახლოებისა და წყლით ნათლისღების ეპოქის ქადაგებას იწყებს.

**„მე თქვენ წყლით გნათლავთ მოსანანიებლად, მაგრამ ჩემს შემდეგ მომავალი ჩემზე ძლიერია, ვისი სანდლის ტარების ღირსიც არა ვარ, ის მოგნათლავთ თქვენ სულიწმიდითა და ცეცხლით.“** (მათე 4.11)

**„იოანე ნათლავდა მონანიების ნათლისცემით და ეუბნებოდა ხალხს, რომ ერწმუნათ მის შემდგომ მომავალი, ანუ იესო ქრისტე“** (სახ 19.4).

როგორც სახარებიდან ირკვევა, დედამიწაზე ჯერ უნდა გატარებულიყო იოანეს, წყლით ნათლისცემის (ქრისტიანობისთვის მოსამზადებელი (ორიათასწლიანი) ეპოქა და ამის შემდგომ დადგებოდა ქვეყნად უფლის სასუფეველი და სულიწმიდითა და ცეცხლით მონათვლის ეპოქა, რომლის ჭეშმარიტებაში თანამედროვე სამღვდლოება ვერ გარკვეულა, არადა ეპოქა ითხოვს ჭეშმარიტებასა და სამართლიანობას. სწორედ ამ ეპოქის გზაგასაყარზე იმყოფება ამჟამად მიწიერი კაცობრიობა, რომლის მომქმედი ნიშნები შეიმჩნევა როგორც დედამიწაზე, ასევე კოსმოსში, ჩრდილოეთ პოლარულ ვარსკვლავზე, მზის გულის ცენტრში, თორმეტი ზოდიაქოს ნიშანსა და ირმის ნახტომის გალაქტიკაზე.

ძალიან ახლო დროში, დედამიწიერი ადამიანები ფიზიკურ პლანში დააფიქსირებენ კოსმოსში მიმდინარე მოვლენებს, ციურ სხეულთა გადაადგილებებს, ხოლო დედამიწაზე უფრო დამძიმდება როგორც პოლიტიკური, ასევე სეისმურ-კატაკლიზმური მოვლენები.

უნდა ვიცოდეთ, რომ მოსალოდნელი კოსმიური მოვლენები წარმოადგენს სამყაროში მარადიულად მიმდინარე პროცესების შემადგენელ ნაწილს, ამიტომ ეპოქალურ პროცესთა შეცვლა არ ხდება ათ ან ოც წელიწადში, არამედ ამისათვის მიწიერი დროით გარკვეული პერიოდია საჭირო, რომლის პროცესშიაც თანამედროვე მსოფლიო იმყოფება ამჟამად.

თანამედროვე მსოფლიო იმყოფება სრული ღვთაებრივი ინფორმაციის უკმარისობის ვაკუუმში, აქედან გამომდინარე, ახლო მომავალში მოსალოდნელია სიტუაციის უფრო დამძიმება და მხოლოდ ღვთაებრივი ცნობიერება და ამ ცნობიერების გამტარებელი ადამიანები შეძლებენ მსოფლიოს არსებული მდგომარეობიდან გამოყვანას. ამიტომ ვთვლით საჭიროდ დღეს არსებული მოვლენებიდან გამომდინარე, მაღალინტელექტუალურ მსოფლიო მოაზროვნე საზოგადო მოღვაწეთა ერთ სივრცეში კონსოლიდაციას, შეთანხმებასა და გაერთიანებას, მიუხედავად რელიგიურ-სარწმუნოებრივი და ეთნიკური წარმომავლობისა, რადგან მსოფლიო ახალი სიტყვის მიღების ფაზაში იმყოფება, რათა დროულად იქნას მსოფლიო და მეცნიერულ-რელიგიური სულიერი მდგომარეობის შესწავლა და მშვიდობიან ვითარებაში განხილული ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის საკითხები.

ის, რაც მოხდა მეოცე (XX) საუკუნის ბოლო მეოთხედში, უტყუარი დასტურია საქართველოსა და წმიდა წერილების წინასწარმეტყველურ შინაარსს შორის არსებული იდენტობისა.

ამით ვასკვნით, თუ რა ბიბლიურ-ქრონოლოგიური დროის მანძილზე ვიმყოფები სამყარო-კოსმიური ორიენტირების მონაკვეთში. აქედან გამომდინარე უნდა მივხვდეთ, რომ დედამიწიერი კაცობრიობა დღითიდღე უახლოვდება მაცხოვარ იესო ქრისტეს მეშვიდე და სამყაროში საბოლოო ღვთაებრივი ცნობიერების დადგომას, ღვთის სასუფევლის დამყარებას, რასაც მიწიერი ენით მაცხოვრის მეორედ მოსვლა ჰქვია.

ბოლო პერიოდში არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში გამოჩნდნენ მრავალი სექტანტური დაჯგუფებები, რომლებიც გვაჩეჩებენ თავიანთ უმსგავსო ცნობიერებას, რასაც ბევრი, ბავშვური მიამიტი და მსუბუქი ცნობიერების ადამიანები წამოეგნენ, რომლებმაც **„კილოგრამი ფქვილის“** სანაცვლოდ გაყიდეს თავიანთი **„ენა, მამული, სარწმუნოება.“**

სატირალია და საგანგაშო, რომ ქვეყნად მსგავსი სულიერი და დემოგრაფიული დაცემის დროს საქართველოს მთავრობა საპატრიარქოსთან შეთანხმებით იღებს დადგენილებას მსოფლიო რელიგიათა (სექტანტთა) თანაბარუფლებიანობის შესახებ, და ეს ხდება საქართველოში, იქ, სადაც ქრისტეს კვართია დაფლული, სადაც სვეტიცხოველი, გელათი, ოპიზაა აღმართული, რომლის ბარელიეფზეც ვკითხულობთ შემდეგ მინიშნებებს:

**„უნდა ვიცოდეთ, რომ იბერიელები, ე.ი. კუროპალატნისანი (ქართველთა სამეფოს მკვიდრნი) ამაყობენ იმით, რომ არიან შთამომავალნი შვილებისა, რომლებიც ბერსავია „ხეთელს“ შეეძინა დავით წინასწარმეტყველისგან, ამიტომ ისინი უწოდებენ თავიანთ თავს დავით მეფისა და წინასწარმეტყველის ნათესავს, და აქედან ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ნათესავსაც, რადგან ისიც (ღვთისმშობელიც) დავითისგან არის წარმოშობილი”.**

**ჩვენ უკვე მოხსენიებული გვქონდა ოპიზის ბარელიეფი აშოტ I დიდის ხანისა, რომელიც ეკუთვნის 818 წლის ახლო დროს და სადაც აშოტ I დიდი წარმოდგენილია, როგორც შთამომავალი დავით მეფე წინასწარმეტყველისა და ნათესავი ქრისტესი. ბარელიეფზე, როგორც მოვიხსენიეთ, წარმოდგენილია ჯგუფი: შუაში ტახტზე ზის ქრისტე, რომლის ერთ მხარეზე წარმოდგენილია დავით წინასწარმეტყველი, როგორც წინაპარი აშოტ I-ისა და ქრისტესი, რომლის მეშვეობით აშოტ I ენათესავება ქრისტეს.“** (პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, ნაწილი პირველი, გვერდი 81-84)

ზემოთხსენებულიდან ვგებულობთ, რომ მაცხოვარი იესო ქრისტე იწოდება აბრაამის ძედ, დავითის ძედ. ქართული სამეფო დინასტია (ბაგრატიონები) მომდინარეობენ პროტოიბერიული სამყაროდან, ანუ ლაზურ-კოლხური სამყაროდან, რომელსაც საგულდაგულოდ უმალავდნენ ქართულ სამყაროს, შემდეგ კი მთელს მსოფლიოს.

მსგავს საკითხებს უნდა ქადაგებდეს სამღვდლოება მრევლის წინაშე და აყვარებდეს ერს თავისი წარსულის ისტორიას, ასევე ზოგადკაცობრიობის მიმართ უნდა ქმნიდეს წარსულის სწორ წარმოდგენას, რადგან წარსულის ფონზე უნდა წარიმართოს მომავალი.

– არა მგონია, ხსენებული საკითხის წინ წამოწევა შეძლოს საქართველოს მომქმედი სამოციქულო ეკლესიის მესვეურებმა (ერთეულებთან ბოდიშს ვიხდი), რადგან მათ უკვე ჰქონდათ ღვთისგან დადგენილი პერიოდისა და პიროვნების შეცნობის საშუალება, რომელსაც **„ქაშოეთიდან“** ზარბაზნების სროლით უპასუხეს (მღვდელმთავრები და ფარისევლები პირს კრავენ იესოს მოსაკლავად). (იოანე 11.47)

არსებული მდგომარეობით მიღებული შეცდომებით საუკეთესო შეფასება იქნებოდა სრულიად საქართველოს იმ დროისათის სულიერი მდგომარეობის არასრულ კონდიციამდე ასვლა, უფრო მეტიც: მაშინდელმა მთავრობამ და მისმა გარემოცვამ ვერ შეძლო მიწიერი ყოფითი ცნობიერების სიმდაბლიდან გამომდინარე მასში არსებულის მაქსიმუმის დანახვა (შეცნობა). აქედან მივიღეთ ცნობიერ-აზრობრივი შეუთანხმებლობა, რასაც შემდგომ ღალატი ეწოდა.

სინამდვილეში მივიღეთ ფაქტი, რომ მისმა გარემოცვამ და სრულიად საქართველომ კი არ უღალატა მას, არამედ ვერ უღალატეს თავიანთში არსებულ წუთისოფლურ ყოფითი ცნობიერ შეხედულებებს. და აღმოჩნდა გენიალური ადამიანი (ბიბლიური პერსონაჟი) მარტოდმარტო პირისპირ მიწიერი ბოროტების წინააღმდეგ.

ვიმეორებ, არსებული წერილი განკუთვნილია სულიერად მოწიფულთათვის და არა მატერიალურად განწყობილთა და ფართო, ბრმად მორწმუნე ადამიანთა მასისათვის, რომლებიც ეკლესიიდან გამომავალი შუშებდაბურულ **„ჯიპებს“** კოცნიან იმ იმედით, რომ შიგ **„მამაოები“** სხედან.

**„მღვდლის ბაგეები უნდა იმარხავდეს ცოდნას და მისი პირიდან უნდა მოელოდნენ რჯულს, რადგან ცაბაოთ ულის მოციქულია იგი.“** (მალ 2.7)

**„ყოველი მღვდელი ყოველდღე დგას მსახურებად და მრავალგზის სწირავს იგივე მსხვერპლთ, რომლითაც არასდროს არ ძალუძს ცოდვების მოსპობა.“** (ებრ 10,11)

**მურმან ხუბულავა, (უფლისკარელი)**

*(გაგრძელება იქნება)*

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია თანაუგრძნობს ბატონ არველოდ ბერულავას ძმის

ვალიკო ბერულავას

გარდაცვალების გამო

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# დავით ზირაქაშვილი – ქართული რაგბის ბურჯი



გთავაზობთ ინტერვიუს ქართული რაგბის ყოფილ ბურჯ დავით ზირაქაშვილთან:

**– "ნაკრების ყოფილი მორაგბე დავით ზირაქაშვილი" – არ გიჭირს ამ ფრაზასთან შეგუება?**

– **"ყოფილი"** ვარ, აბა რა?! ყველაფერს თავის სახელი უნდა დაერქვას... ჩემი ოჯახის და ამჟამინდელი კარიერისთვის ასე სჯობდა... გადაწყვეტილება ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მივიღე და ინგლისში გამგზავრებისას უკვე ვიცოდი, რომ მსოფლიო თასის მერე სანაკრებო კარიერას დავასრულებდი. რაც შემეძლო, გავაკეთე ნაკრებისთვის. ჩემი წასვლა გუნდს პრობლემებს რომ უქმნიდეს, აუცილებლად დავრჩებოდი, მაგრამ ამის საჭიროებას ვერ ვხედავ, 3 ნომრის პოზიციაზე არაერთი ძლიერი მორაგბე გვყავს. მიჭირს თუ არა? ბოლომდე ჯერაც ვერ ვაცნობიერებ და თებერვალში, როცა სანაკრებო მატჩები დაიწყება, უფრო მეტად გამიჭირდება, მაგრამ როცა გადაწყვეტილებას მიიღებ, აღარ უნდა ინანო!

**– მინდა, ოჯახს მეტი დრო დავუთმოო... მეუღლემ და შვილებმა გაიხარეს შენი გადაწყვეტილებით?**

– ბავშვები ჯერ პატარები არიან და დიდად არ აინტერესებთ, მამა სად და როდის თამაშობს (იცინის). მაგრამ მეც ასე ხომ არ ვარ? ჩემმა მეოთხე შვილმა ფეხი ისე აიდგა, არ მინახავს – სანაკრებო შეკრებაზე ვიყავი. უფროსი გოგონა უკვე 12 წლისაა. ზამთრის შვებულება შვილებთან არასდროს გამიტარებია – როცა კლუბიდან თავისუფალი ვიყავი, ნაკრებში მოვდიოდი და ა.შ. თანაც, უკვე 32 წლის ვარ...

**– ბევრმა არ იცის, რომ რაგბიში ვარჯიში საკმაოდ გვიან დაიწყე. მანამდე – მოჭიდავე იყავი...**

– ხუთი წლის განმავლობაში ჯერ ქართული ჭიდაობის სექციაში ვვარჯიშობდი, მერე – თავისუფალ ჭიდაობაში, მორაგბე კი 17 წლის ასაკში გავხდი. მეგობარმა მთხოვა – რაგბის გუნდს ვქმნით, მოთამაშეები გვაკლია და დაგვეხმარეო. მაინცდამაინც იმ დღეს წვიმდა და... ტალახის აბაზანებმა დიდად არ მომხიბლა. შევპირდი, ხვალაც მოვალ-მეთქი, მაგრამ მოვატყუე – ჭიდაობის დარბაზში ტალახი მაინც არ იყო... ბოლოს მაინც დამითანხმეს, მაგრამ მაშინ მოთამაშეების ნაკლებობის გამო რუსთავში გუნდი მაინც ვერ ჩამოვაყალიბეთ. მერე სკა-ში გადავედი და ჩემი სარაგბო კარიერა იქ დაიწყო.

**– ჭიდაობაში მიღებული გამოცდილება რაგბიშიც გამოგდგომია?**

– ახალბედა მორაგბეები ისე ეცემიან ხოლმე, თავ-პირს იმტვრევენ, მე კი ჭიდაობიდან უკვე ვიცოდი "სწორად დავარდნა", მეტოქის წაქცევა, შებოჭვა და ა.შ.

**– რა არის რაგბიში მთავარი?**

– ამ, ერთი შეხედვით, უხეშ და ძალისმიერ სახეობაში, სიყვარულია მთავარი – ვისაც სიყვარული არ შეუძლია, რაგბის ვერ ითამაშებს! თუ გვერდით მდგომი არ გიყვარს, თანაგუნდელის, ქვეყნის, ოჯახისთვის თავის გაწირვა არ შეგიძლია, შენგან მორაგბე არ დადგება!

**–ალბათ, ამიტომაც მორაგბე და კარგი კაცი საქართველოში სინონიმები გახდა!**

– კაცს თუ სიყვარული შეუძლია, ცუდი როგორღა იქნება?! ბურთს გადააგდებს, მეტოქეს შებოჭავს, მაგრამ თუ არ უყვარს, რაგბის ვერ ითამაშებს! ბევრს მხოლოდ ჯაჯგური და დაჯახება რომ ჰგონია, სინამდვილეში, რაგბი ძალიან საინტერესო და აზრიანი თამაშია.

**– ნაკრებში ბოლო მატჩი 2015 წლის მსოფლიო თასზე ითამაშე. მაგრამ სევდასთან ერთად, ინგლისის სტადიონების გახსენება სიამაყითაც ხომ გავსებს?**

– ტონგასთან ისტორიული გამარჯვება არასდროს დამავიწყდება! კარიერის განმავლობაში ნათამაშები რვა ფინალიდან, ერთადერთი მაქვს მოგებული. ასე რომ, ამ მხრივ, უიღბლო ვარ და ტონგასთან მატჩისას, უფალს ვთხოვდი, გლოსტერშიც იგივე არ განმეორებულიყო. იმ გამარჯვებით განცდილ ემოციას ვერც გამოვთქვამ – ამიერიდან, რაც უნდა მოვიგო და გავაკეთო, ტონგასთან გამარჯვებას თავისი ადგილი აქვს ჩემს გულში...

**– რაც შეეხება საქართველო-ზელანდიას?**

– როგორ შეიძლება, მორაგბე პატივს არ სცემდეს ზელანდიას, მაგრამ **"ოლ ბლექსის"** დანახვისას ეიფორია ნამდვილად არ განმიცდია. მეტოქის პატივისცემა აუცილებელია, მაგრამ თუ აღტაცებით დაუწყებ ყურებას, არაფერი გამოგივა! ამპარტავნებად ნუ ჩამითვლით, თუმცა, ის ზელანდიელები ხვალ-ზეგ ჩემი თანაკლუბელები რომ გახდებიან, შესაძლოა, მე ვითამაშო და ისინი თადარიგში ისხდნენ. ასე რომ, აღტაცებით არა და სიამაყით დღემდე სავსე ვარ იმის გამო, რომ ზელანდიას სამი ჯარიმა ავაღებინეთ შერკინებაში და კიდევ ორს ვიმსახურებდით!

**– რაგბიში ვარჯიში 2000 წელს დაიწყე, უკვე 2003-ში კი ფრანგულ კლუბში აღმოჩნდი... ეს რის დამსახურებაა?**

– თავდაუზოგავი შრომის, გამართლების და რა თქმა უნდა, ჩემი მფარველი ანგელოზის – გოდერძი შველიძის. გოდერძის რომ საფრანგეთში არ წავეყვანე, ძნელი წარმოსადგენია, სად ვიქნებოდი დღეს...

**– შენი პოზიციის და წონისთვის უჩვეულოდ სწრაფი ხარ – ეს ბუნებრივი თვისებაა, თუ ვარჯიშის შედეგი?**

– ბავშვობიდან ასეთი აღნაგობა მქონდა, მაგრამ სირბილი არასდროს მიჭირდა, ჭიდაობაც დამეხმარა. თანდათან სარაგბო "ეშმაკობებიც" ვისწავლე – როდის აჩქარდე, როდის შეანელო სისწრაფე და ა.შ.

**– Rugby world-ის სტატიაში ეწერა: დავით ზირაქაშვილი არასდროს ბუზღუნებს, არ ყვირის და შერკინების შემდეგ, არასდროს იფერთხავს ნახერხს მუხლებიდან – დგება და თამაშს აგრძელებსო... შენ როგორ დაახასიათებ თავს – რით გამოირჩევა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ბურჯი?**

– ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ჯერ კიდევ სწავლის პროცესში ვარ. თუ უნდა, რომ წინსვლა გააგრძელოს, ბურჯმა ყოველი შერკინების შემდეგ უნდა ისწავლოს რაღაც ახალი. როგორც კი ჩათვლი – ერთ-ერთი საუკეთესო ბურჯი ვარ და ყველაფერი ვიციო, მაშინვე წაიმტვრევ ცხვირ-პირს. შერკინებაში თითოეული სანტიმეტრი და წამი მნიშვნელოვანია, ამიტომ, წინასწარ უნდა შეაფასო და განსაზღვრო. ასე რომ, რა დროს ბუზღუნია, ჯერ კიდევ ვსწავლობ (იცინის).

**– საფრანგეთში მოთამაშე ქართველებს კლუბებისგან არაერთხელ შეგქმნიათ პრობლემა ნაკრებში გამოშვებაზე...**

– ამ მხრივ მე ლამის ყველაზე დაჩაგრული ვიყავი: **"კლერმონის"** ყოფილ მწვრთნელ ვერნ კოტერთან სასაყვედურო რა მაქვს, ძლიერ მორაგბედ მის ხელში ჩამოვყალიბდი, მაგრამ ნაკრებში მხოლოდ მაშინ მიშვებდა, როცა სხვა გზა არ ჰქონდა. თუმცა, რუმინეთსა და რუსეთთან პრინციპულ შეხვედრებში სათამაშოდ გაშვებაზე უარი არასდროს უთქვამს!

**– ბოლო დროს განსაკუთრებით ხშირად ლაპარაკობენ "ექვსი ერის" გაფართოებაზე... როგორ ფიქრობ, საქართველო მზად არის ამ ტურნირისთვის?**

– არ არის... აქ მხოლოდ რაგბიზე არაა ლაპარაკი – პირველ რიგში, ქვეყანა უნდა იყოს მზად! **"ექვს ერს"** რომ დაემატო, მილიონებია საჭირო, საქართველოს რაგბის კავშირს კი მხოლოდ რამდენიმე მილიონიანი, თანაც – ოთხ წელიწადზე გადანაწილებული ბიუჯეტი აქვს. რაც შეეხება სპორტულ მხარეს, თუ უახლოეს წლებში მოგვეცემა შანსი, თავიდან, ალბათ, ყველა თამაშს წავაგებთ, მაგრამ მეორე წელს, როცა მათთან თამაშს **"შევეჩვევით"**, თბილისში იოლად ვერც იტალია მოიგებს, ვერც შოტლანდია და საფრანგეთი. რამდენი წელია, იტალია წვალობს და **"ბუქსაობს"**? ჩვენ ისეთი მომთხოვნი, ისეთი მაგარი გენის ქვეყანა ვართ, მათსავით დაფინანსება და ის შანსი რომ გვქონდეს, როგორიც იტალიას მისცეს **"ხუთ ერზე"** დამატებით, აპენინელებზე წინ ვიქნებოდით!

**– საფრანგეთში რას ფიქრობენ ამ თემაზე?**

– მსოფლიო თასის შემდეგ ფრანგულმა ვებგვერდმა rugbyrama, რომელსაც 20 მილიონამდე მომხმარებელი ჰყავს, ჩაატარა გამოკითხვა: **"დაუშვებდით თუ არა საქართველოს ნაკრებს "ექვს ერში"?** გამოკითხულთა 75%-მა დადებითი პასუხი გასცა! უმეტესობა დარწმუნებულია, რომ რამდენიმე წელიწადში საქართველო პრობლემებს შეუქმნის დიდ გუნდებს. მაგრამ მათ ხომ არ იციან, როგორი ეკონომიკური მდგომარეობაა საქართველოში?


## გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა




უკვე გამოვიდა I, II,III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

გამოვიდა ჟურნალ „აია"-ს მომდევნო ნომერი (№19), რომლის მთავარი რედაქტორია ბატონი გიორგი სიჭინავა.

ჟურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ თბილისში, ტაშკენტის ქუჩა №25-ში, I სადარბაზო, ბინა 1.

ზუგდიდში, ფოთში, ხობში, სენაკში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, აბაშაში და მარტვილში ჟურნალის შეძენა შეგიძლიათ სახალხო მოძრაობა „სამეგრელო"-ს წარმომადგენლობაში.

ტელ. 238-03-11

ჟურნალის ფასია 4 ლარი.

## სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში




დომენტი გაბნიძის *მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ციროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*მკურნალის კოორდინატებია:* თელავი, სოფელი შალაური, გაბნიძე ბიჭიკო (დომენტი). ტელ: 593-22-66-51

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.



მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან


ISSN 1987-8966 ilori

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია

გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge